

ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და

კლასტერები:

ისტორია და თანამედროვეობა

COUNTRY COMPETITIVENESS AND

CLUSTERS:

HISTORY AND NOWADAYS

ინეზა გაგნიძე

INEZA GAGNIDZE

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2012

ინეზა გაგნიძე

ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები:

ისტორია და თანამედროვეობა

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში ნაციონალური კონკურენტუნარიანობა ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და კვლევის თვალსაზრისით, საკმაოდ რთული საკითხია. ამავდროულად, პოსტსაბჭოთა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დგანან ისეთი დიდი გამოწვევის წინაშე, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ახალ გარემოებებთან ადაპტაციის შესაბამისი ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რამაც უმოკლეს ვადაში უნდა განაპირობოს განსხვავებული სასტარტო პირობებისა და მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და ეროვნული კულტურის ფასეულობების მქონე ქვეყნების წარმატება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე მრავალი ქვეყანა თავისი ეკონომიკის განვითარების სტრატეგიაში წარმატებით იყენებს ნაციონალური კონკურენტუნარიანობისა და კლასტერების კონცეფციებს. ვფიქრობთ, მათი გამოყენება საქართველოს ეკონომიკის პირობებშიც ასევე წარმატებული იქნება. წარმოდგენილი ნაშრომი, ერთგვარი გზამკვლევის როლს შეასრულებს ამ საკითხებზე მომუშავე მეცნიერების, სტუდენტების, პრაქტიკოსი ეკონომისტებისა და დაინტერესებული მკითხველის ფართო წრისთვის.

რედაქტორები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ გოგოხია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

რეცენზენტი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი იზა ნათელაური

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: ნანა მაისურაძე

დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-
საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ი. გაგნიძე, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 222 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-637-1

INEZA GAGNIDZE

**COUNTRY COMPETITIVENESS AND CLUSTERS:
HISTORY AND NOWADAYS**

Edited by **Revaz Gogokhia**, Doctor of Economic Sciences, Professor
Irina Gogorishvili, Doctor of Economics, Associate
Professor

Reviewed by **Iza Natelauri**, Doctor of Economics, Associate Professor

English text edited by **Nana Maisuradze**

Approved by the Editorial and Publishing Board of the Faculty of
Economics and Business, Iv. Javakhishvili Tbilisi State University.

© I. Gagnidze, 2012

Publishing House “UNIVERSAL”

19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia: 222 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-637-1

ავტორისგან

ქვეყნების კონკურენტუნარიანობისა და კლასტერების სამეცნიერო კვლევით დავინტერესდით რამდენიმე წლის წინ, სამაგისტრო სასწავლო კურსის მომზადების მიზნით დაწყებული მუშაობის შედეგად და იგი თანდათან გახდა ჩვენი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულება. 2007 წლიდან სხვადასხვა საერთაშორისო თუ საუნივერსიტეტოშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენს მიერ წაკითხული მოხსენებები და გამოქვეყნებული საჟურნალო სტატიები შეადგენს წინამდებარე ნაშრომის ძირითად ნაწილს, რაც გადამუშავდა და განახლდა ფართომასშტაბიანი გამოცემისთვის. ყველა მითითებული ლიტერატურული წყარო (ელექტრონული და/ან ფიზიკური ფორმით) ინახება ჩვენს პირად ბიბლიოთეკაში, რასაც სიამოვნებით გავუზიარებთ დაინტერესებულ პირებს. შესასწავლი საკითხის სიდიდისა და სიღრმის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ფორმატი, ბუნებრივია, ძალზე მცირეა, თუმცა იგი დაინტერესებულ მკითხველს პრობლემაზე ზოგად წარმოდგენას მაინც შეუქმნის.

ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის თემას მიეძღვნა 2008 და 2010 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარებული ორი საუნივერსიტეტოშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“, რომელთა ერთ-ერთი ინიციატორი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც თავად გახლდით.

აღვნიშნავთ, რომ მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი ეს ნაშრომი ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი პირველი ფართოფორმატიანი გამოცემაა, რაც ჩვენთვის დიდად საპატიოა, მაგრამ, ამასთან ერთად, საპასუხის-

მგებლოც, ვინაიდან ის ვერ იქნება სრულყოფილი და ყოვლისმომცველი. დიდი მოცულობის ინფორმაცია ჩვენ მიერ პირველად ითარგმნა და არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი ტერმინი სათანადოდ დახვეწილი არაა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომი, სავარაუდოდ, არაა დაზღვეული შეცდომებისა და უზუსტობებისაგან, რომელთა მითითების შემთხვევაში წინასწარ გიხდით დიდ მადლობას.

ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები საკამათო და ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი პრობლემაა. ვიმედოვნებთ, რომ მის გარშემო მომავალში მრავალი სტატია და მონოგრაფია დაიწერება, რასაც მივესალმებით და თავადაც ვფიქრობთ გავაგრძელოთ კვლევა ამ მიმართულებით.

ინეზა გაგნიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

ასოცირებული პროფესორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

From the Author

We got interested in the scientific study of competitiveness and clusters a few years ago while preparing a masters course for the students. The interest deepened and gradually it turned into scientific and research direction. The main part of the present monograph consists of the papers presented at different international and interuniversity scientific conferences and the articles published in different journals since 2007, which have been specially reviewed and revised for the monograph. All the references noted in the monograph are kept in our private library (e-version and or hard copy) and we would gladly share them with anyone, interested in the issue. Taking into account the depth and the importance of the issue discussed, the volume of the monograph is rather small, though, it will give a general idea to the reader willing to know more about country competitiveness and clusters.

Two interuniversity scientific conferences “Economy of Georgia in the World Competitiveness Indicators: Problems and Perspectives“, held at the Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2008 and 2010 were dedicated to the issue of global competitiveness of countries. The conferences were initiated by us and we actively participated in organizing them.

We would like to note that the present work is one of the first large-scale publications regarding this issue. This is a great honor for us but a great responsibility at the same, as the work can't be complete and comprehensive. A large amount of information was translated and processed by us for the first time and thus, there is a possibility that some of the terms and definitions are not quite properly interpreted. Taking into consideration all the above-

mentioned, there might be some mistakes and inaccuracies in the text and we would be grateful to everyone for indicating them to us.

The issues of clusters and competitiveness are controversial and at the same time very important for further development of Georgia's economy and we hope that a lot of articles and monographs will be dedicated to these issues in future as well. We appreciate all such initiatives and suppose to continue our research in this direction either.

Ineza Gagnidze

Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Economics and Business

შინაარსი

ავტორისგან	5
From the Author	7
შესავალი	12
ნაწილი I. ქვეყნების მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა	
1.1.ნაციონალური (ქვეყნების) კონკურენტუნარიანობის კვლევის ისტორიული მიმოხილვა	16
1.2.მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა - ცნებიდან პოლიტიკამდე.....	34
1.3.ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის თანამედროვე გამოკვლევები	40
1.4.ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე გამოკვლევები	59
ნაწილი II. კლასტერები	
2.1. კლასტერების თეორიის ჩამოყალიბების ისტორია	73
2.2. კლასტერების პოლიტიკის ევროპული ნაბიჯები.....	87
2.3. კლასტერების თანამედროვე ინიციატივები ევროპაში და მისი სამეცნიერო კვლევა	98
2.4. ცოდნის სამკუთხედი და კლასტერები – ევროპის საინოვაციო პოლიტიკაში.....	106
ნაწილი III. საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარება – გზა ცოდნის სამკუთხედიდან კლასტერებისკენ	
3.1. საქართველოს საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირები – ეკონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების საფუძველი	119

3.2. საქართველოს ეკონომიკაში პოტენციური კლასტერების შესახებ

137

About Potencial Clusters in Georgias’s Economy.....155

გამოყენებული ლიტერატურა 164

დანართი 1..... 171

დანართი 2..... 177

CONTENTS

From the Author	7
Introduction	12
Part I. World and Global Competitiveness of Countries	
1.1. Historical Overview of National Competitiveness Study	16
1.2. World and Global Competitiveness – from Notion to the Policy	34
1.3. Modern Studies of the Global Competitiveness of Countries	40
1.4. Modern Studies of the World Competitiveness of Countries	59
Part II. Clusters	
2.1. Cluster Theory Formation History	73
2.2. European Activities in Cluster Policy	87
2.3. Modern Cluster Initiatives in Europe and their Scientific Study	98
2.4. Clusters and Knowledge Triangle in European Innovation Policy	106
Part III. Innovative Development of Georgia’s Economy - the Way from Knowledge Triangle to Clusters	
3.1. International Educational Links of Georgia – Basis for Knowledge Triangle Formation	119
3.2. Potential Clusters in Georgia’s Economy	137
About Potencial Clusters in Georgias’s Economy (In English)	155
Bibliography.....	164
Appendix 1.....	171
Appendix 2.....	177

შესავალი

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან გლობალიზაციის მასშტაბებმა მეცნიერ-ეკონომისტთა მსჯელობის დღის წესრიგში საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თემატიკა წამოსწია. შედეგად დაიწყო ნაციონალური კონკურენტუნარიანობის აქტიური კვლევა. თუმცა, კონკურენტუნარიანობის კონცეფცია ეკონომიკური აზროვნების იმ ხანგრძლივი ისტორიის შედეგია, რომელმაც თავისი განუმეორებელი წვლილი შეიტანა ამ თანამედროვე, საკამათო და რთული ცნების განსაზღვრაში. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: კლასიკოსი ეკონომისტები - ადამ სმითი (რომელმაც ოთხ საწარმოო ფაქტორზე გააკეთა აქცენტი: მიწა, კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები და შრომა) და დევიდ რიკარდო (რომელმაც მოგვცა შეფარდებითი უპირატესობის თეორია); მარქსისტმა ეკონომისტებმა გამოიკვლიეს ეკონომიკურ განვითარებაზე სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გავლენა (კარლ მარქსი); მაქს ვებერმა ერთმანეთს დაუკავშირა ფასეულობები, რელიგიური მრწამსი და ეკონომიკური მაჩვენებლები; ჯოზეფ შუმპეტერმა კონკურენტუნარიანობის მისაღწევად წინა პლანზე მეწარმის როლი წამოწია; ალფრედ პ. სლოანმა და პიტერ დრუკერმა მართვის გაუმჯობესება ჩათვალეს კონკურენტუნარიანობის ფაქტორად; რობერტ სოლოუმ ეკონომიკური ზრდა განათლებას, ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და ნოუ-ჰაუსს დაუკავშირა. ნიკოლას ნეგროფონტემ და მრავალმა სხვა თანამედროვე ეპოქის მეცნიერმა კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორად ცოდნა აღიარა. მაიკლ პორტერმა სცადა ამ იდეების ერთ სისტემურ მოდელად გაერთიანება და შექმნა კონკურენტუნარიანობის აღმასი¹. ნა-

¹ Stephane Garelli, The Fundamentals and History of Competitiveness, IMD World Competitiveness Yearbook, 2011, p.501.

ციონალური კონკურენტუნარიანობის კვლევის ევროპულმა სკოლამ, სტეფანე გარელის ხელმძღვანელობით, აღმასის წესს დაუმატა მთავრობის როლი. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქვეყნების კონკურენციული უპირატესობებისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ იმდენი მოსაზრებაა, რამდენი ავტორიც წერს ამ პრობლემაზე.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ტენდენცია გახდა და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე. ეს ორი მოვლენა მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ასახავს ცალკეული ინდივიდის, კომპანიის, დარგისა და ქვეყნის ინტერესებს შორის წინააღმდეგობრივ ურთიერთობებს. კონკურენციის გამძაფრების შედეგად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისობა სხვა ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რაც გარდამავალი ქვეყნების შემთხვევაში განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს.

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილი მასალა ეყრდნობა მსოფლიოში აღიარებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მომზადებულ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანგარიშებს და მასზე მომუშავე ცნობილი მეცნიერების მ. პორტერის, კ. შვაბის, ს. გარელის, ს. როზელეთ-მაქქაულის, ო. სოლველის, ე. ქეთელსის და სხვათა ნაშრომებს.

იმის მიუხედავად, რომ კონკურენტუნარიანობის შესახებ კვლევები მსოფლიოს მასშტაბითაც კი, ეკონომიკური თეორიის ახალი მიმართულებაა, ქართველ მეცნიერთა სასიქადულოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ კონკურენტუნარიანობის საკითხების კვლევა უკვე მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს, კერძოდ: ქვეყნების, რეგიონების, დარგებისა და ბაზრების, პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სხვა. მათ შორის წინამ-

დებარე ნაშრომში განხილულ ქვეყნების გლობალურ კონკურენტუნარიანობას სხვადასხვა ასპექტით იკვლევენ: გ. გრიგოლაშვილი¹, ე. ეთერია², ე. ლეკაშვილი, ი. მესხია, ი. ნათელაური, ი. ნაცვლიშვილი, უ. სამადაშვილი³, ე. სეფაშვილი⁴, ნ. ხადური⁵, ლ. ჩიქავა⁶, ა. ჩუთლაშვილი⁷ და სხვები.

ეკონომიკის განვითარებაში კლასტერების როლზე საკუთარი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული თ. აბრალავას⁸, ე. ბარათაშვილს, კ. გაბელაშვილს⁹, ბ. გეჩაიას¹⁰, მ. დიასამიძეს, ც. დურულს, მ. თეთრუაშვილს, დ. მესხიშვილს, ნ. ფარესაშვილს, ლ. ქელბაქიანს, ი. ჯელიას¹¹ და სხვებს.

¹ გრიგოლაშვილი გ., ნაცვლიშვილი ი., ფირმის დივერსიფიკაციის სტრატეგიები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კონტექსტით; ლეკაშვილი ე., რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია – მცირე ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზა; მესხია ი., საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა: ანალიზი და პროგნოზები; ნათელაური ი., მსოფლიო რეიტინგი ბიზნესის რეგულირების ინდექსის მიხედვით და დასაქმების აქტუალური პრობლემები პოსტკომუნისტურ საქართველოში; მესხიშვილი დ., კლასტერული სისტემა: თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები; იხ. კრებულში: II საუნივერსიტეტაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“, თბ., 2011.

² ეთერია ე., ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში, ჟ. „ახალი აზრი“, #1(15), თბ., 2004.

³ სამადაშვილი უ., კონკურენტუნარიანობა, როგორც გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს აქტიური მონაწილეობის საშუალება, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, #13, 2010.

⁴ სეფაშვილი ე., ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერული განვითარების სტრატეგია, ჟ. „ეკონომიკა“, საუნივერსიტეტაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, V ტომი, #1-4, თბ., 2007.

⁵ ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, USAID, თბ., 2010.

⁶ ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ. 2009.

⁷ ჩუთლაშვილი ა., გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2010.

⁸ ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ., აბრალავა თ., ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2012.

⁹ გაბელაშვილი კ., ქელბაქიანი ლ., ტურისტული კლასტერების როლი რეგიონული განვითარების სტრატეგიის ფორმირებაში; დიასამიძე მ., ტურიზმის კლასტერი და მეღვინეობა აჭარაში; დურული ც., თეთრუაშვილი მ., ეროვნულ-კულტურული კლასტერები საერთაშორისო ტურიზმში, იხილეთ კრებულში, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი-ტრაპიზონი, 2010.

¹⁰ გეჩაია ბ., მცირე და საშუალო ბიზნესის კლასტერული განვითარების საფუძვლები საქართველოში, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.

¹¹ ჯელია ი., საქართველოს ეკონომიკის კლასტერიზაცია მსოფლიო გამოცდილების კონტექსტში, ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, #6(12), თბ. 2010.

ვფიქრობთ, ქვეყნების კონკურენტუნარიანობისა და კლასტერების თემაზე შექმნილ ნებისმიერ ქართულენოვან ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში სამეცნიერო კვლევის ამ მიმართულებისა და ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის.

ნაწილი I. ქვეყნების მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა

1.1. ნაციონალური (ქვეყნების) კონკურენტუნარიანობის კვლევის ისტორიული მიმოხილვა*

ქვეყნების კონკურენტუნარიანობის თანამედროვე კვლევებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროფ. მ. პორტერის კონკურენტუნარიანობის აღმასის წესს, რის გამოც, გადავწყვიტეთ საკითხის ისტორიული მიმოხილვა გადმოგვეცა მის ნაშრომზე დაყრდნობით.

მ. პორტერი წერს – ნაციონალური წარმატება მემკვიდრეობითი არაა – ის იქმნება. ნაციონალური აყვავება მხოლოდ ბუნებრივი რესურსებიდან, არსებული სამუშაო ძალიდან, სარგებლის განაკვეთისა და ეროვნული ვალუტის მყიდველობითუნარიანობიდან არ გამომდინარეობს, როგორც ამას ამტკიცებს კლასიკური თეორია.

კონკრეტული ერის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია საწარმოო პროცესების მოდერნიზებისა და სიახლეების შემოღების უნარზე. კომპანიები, ბაზრის მოთხოვნებისა და ზეწოლის შედეგად, ზრდიან თავის უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე არსებულ ყველაზე ძლიერ კონკურენტებთან ბრძოლაში. ისინი ითვალისწინებენ ძლიერი შიდა მოწინააღმდეგეების მიღწევებს, აგრესიული მიმწოდებლების ქცევას და მომთხოვნი ადგილობრივი მომხმარებლების გემოვნებას, რასაც მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს მათთვის.

მსოფლიო მასშტაბით გამძაფრებული კონკურენცია ზრდის სახელმწიფოს მნიშვნელობას, ვინაიდან კონკურენციული ბრძოლის საფუძვე-

* პარაგრაფში მოცემული მასალა კონსპექტური სახისაა და მთლიანად ეყრდნობა: Майкл Портер – Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев; 2002, с.162-279.

ლი გადაადგილდება ცოდნის ათვისებისა და შექმნის მიმართულებით. კონკურენციული უპირატესობა იქმნება და ნარჩუნდება ძლიერ ლოკალიზებული პროცესების საშუალებით. განსხვავებებს ეროვნულ ფასეულობებში, კულტურაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, არსებულ ორგანიზაციებსა და ისტორიულ განვითარებაში, თავისი განუმეორებელი წვლილი შეაქვს კონკურენციული უპირატესობის მოპოვებაში. იმის გამო, რომ ქვეყანა ვერ იქნება კონკურენტუნარიანი ყველა ან თუნდაც დარგების უმრავლესობაში, თითოეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტრუქტურა ძალზე განსხვავებულია. კონკრეტული ქვეყანა რომელიმე დარგში წარმატებას აღწევს მაშინ, როცა გარკვეულ პერიოდში მისი შიდა პირობები აღმოჩნდება უკეთესი, დინამიკური და პერსპექტიული სხვებთან შედარებით.

ცალკეული სახელმწიფოს მიერ დარგებში კონკურენციული უპირატესობის მიღწევის წინაპირობებისა და გზების შესწავლის მიზნით, აშშ-ს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ მაიკლ პორტერის ხელმძღვანელობით, 1985-1989 წლებში ჩატარდა ოთხწლიანი გამოკვლევა მსოფლიოს ათ ქვეყანაში, რომელთა ერთობლივმა ექსპორტმა 1985 წელს შეადგინა მსოფლიო ექსპორტის 50%. ეს ქვეყნებია: დანია, გერმანია, იტალია, იაპონია, კორეა, სინგაპური, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და აშშ. ამ გამოკვლევის სათანადო დონეზე ჩატარებაში პროფ. მ. პორტერს ეხმარებოდა 30-ზე მეტი მეცნიერ-მკვლევარი იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც მიმდინარეობდა გამოკვლევა. ქვეყნების გამოკვლევა ერთიან მეთოდოლოგიაზე იყო დაფუძნებული. აშშ-ს, იაპონიასა და გერმანიას, როგორც მოწინავე ქვეყნებს, გამოკვლევაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი. სხვა ქვეყნები ჩართული იყვნენ იმის გამო, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ მოსახლეობის რიცხოვნობით, მრეწველობით, სახელმწი-

ფო პოლიტიკით, სოციალური ფილოსოფიით, გეოგრაფიული მდებარეობითა და მასშტაბებით.

ნაციონალური კონკურენტუნარიანობის შესახებ 1985 წლამდე ჩატარებულ გამოკვლევებში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ერთ ქვეყანას ან ორი ქვეყნის შედარებას. ახალი ინიციატივის მიზანი იყო სხვადასხვა პარამეტრის მქონე ქვეყნებში ნაციონალური კონკურენციული უპირატესობის განმსაზღვრელი ძალების გამოვლენა.

ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში ჩატარებული გამოკვლევა შედგებოდა ორი ეტაპისაგან. პირველ ეტაპზე განხორციელდა მრეწველობის ყველა იმ დარგის იდენტიფიკაცია, რომლებშიც ეროვნულმა კომპანიებმა საერთაშორისო მასშტაბებში მიაღწიეს წარმატებას. აღნიშნული ამოცანა განხორციელდა სტატისტიკურ მონაცემებზე, გამოქვეყნებულ მასალებსა და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით. ქვეყანაში დარგი წარმატებულად მიიჩნეოდა, თუ მას ჰქონდა კონკურენციული უპირატესობა, მსოფლიო ბაზარზე არსებულ სხვა კონკურენტუნარიან მეტოქეებთან შედარებით.

აღნიშნულის გამო, მკვლევარებმა კონკურენტუნარიანობის ოპტიმალურ პარამეტრებად მიიჩნიეს მნიშვნელოვანი და სტაბილური ექსპორტის არსებობა სხვა ქვეყნებში და/ან ინვესტიციების დიდი ექსპორტი, რომელიც ემყარებოდა საკუთარ ქვეყანაში შექმნილ აქტივებსა და გამოცდილებას. კომპანიისათვის ქვეყანა მშობლიურად (წარმომშობად) იმ შემთხვევაში ითვლებოდა, თუ ეს კომპანია ამ ქვეყნის რეზიდენტების მფლობელობაში იყო, ან დასაწყისში ადგილობრივ წარმოებას წარმოადგენდა, ან ავტონომიურად იმართებოდა, უცხოური კომპანიის მიერ მფლობელობის ან ინვესტორობის მიუხედავად. გამოკვლევის შემდგომ ეტაპზე შეიქმნა ყველა დარგის პროფილი, რომლებშიც თითოეული ქვე-

ყანა საერთაშორისო მასშტაბებში წარმატებული იყო დროის სამი მომენტისათვის: 1971, 1978 და 1985 წლები. აღნიშნულის განხორციელების შედეგად კონკურენტუნარიანი დარგების სტრუქტურაში შემთხვევითობა თავიდან იქნა აცილებული. გამოკვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო აეხსნა და გამოევლინა დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ურთიერთკავშირები და ის ურთიერთდამოკიდებულება, რაც დაფიქსირდა სხვადასხვა ქვეყნის კონკურენტუნარიან დარგებს შორის.

გამოკვლევის მეორე ეტაპზე მკვლევარებმა შეისწავლეს კონკრეტულ დარგში კონკურენციული ბრძოლის ისტორია, რაც აუცილებელი იყო კონკურენციული უპირატესობის მიღწევის მიზეზების დასადგენად. ამ სახის ნაციონალური პროფილების საფუძველზე, შეირჩა გამოსაკვლევ დარგთა ჯგუფები. პარალელურად, ზოგიერთი დარგი შეისწავლეს ნაკლები დეტალიზაციით.

მკვლევარები ისტორიაში ბრუნდებოდნენ იმდენად უკან, რამდენიც საჭირო იყო იმის გასაგებად, თუ როგორ და რა მიზეზების გამო ჩაისახა მოცემული დარგი კონკრეტულ სახელმწიფოში, როგორ მიმდინარეობდა მისი ზრდა, როდის და რატომ აღწევდნენ ნაციონალური კომპანიები წარმატებას საერთაშორისო დონეზე, ასევე იმ პროცესების გასაგებად, რომლის გამოც კონკურენციული უპირატესობები ნარჩუნდებოდა ან შემდგომში იკარგებოდა. მიღებული შედეგები ქმნიდა წარმოდგენას დარგის ან ეკონომიკის განვითარების შესახებ. დარგი ყოველი ქვეყნიდან შერჩეული იქნა იმ განზრახვით, რომ ის იყო ადგილობრივი ეკონომიკის კონკურენტუნარიანი დარგების შემადგენელი ნაწილი. შერჩეულ და გამოკვლეულ დარგებზე მოდიოდა თითოეული ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, იაპონიაში, გერმანიაში და შვეიცარიაში.

რიაში ექსპორტის ნაკადის 20%-ზე მეტი, სამხრეთ კორეაში – 40 %-ზე მეტი.

მკვლევარებმა შეისწავლეს საერთაშორისო ბაზარზე დიდი წარმატების შემთხვევები, კერძოდ, გერმანული მაღალმწარმოებლური მანქანები და ქიმიური მრეწველობის პროდუქტები, იაპონური ნახევარგამტარების მოწყობილობები და ვიდეომაგნიტოფონები, შვეიცარული ბანკები და ფარმაცევტიკა, იტალიური ფეხსაცმელი და საფეიქრო ნაწარმი, ამერიკული კომერციული თვითმფრინავები და კინონდუსტრია, აგრეთვე, ზოგიერთი ნაკლებადცნობილი, მაგრამ მაღალკონკურენტუნარიანი დარგი: სამხრეთკორეული პიანინო, იტალიური საციგურაო ჩექმები და ინგლისური ორცხობილა.

მეცნიერებმა განიხილეს პარადოქსული შემთხვევებიც, მათ შორის ერთ-ერთი იყო, იაპონიაში დასავლეთის ენების შრიფტის მქონე საბეჭდი მანქანების წარმოება. მასზე ქვეყანაში შიდა მოთხოვნა არ იყო, თუმცა ამ დარგში იაპონია ინარჩუნებდა ძლიერ პოზიციებს ექსპორტსა და უცხოურ ინვესტიციებში.

მკვლევარებმა თავი აარიდეს ისეთი დარგების განხილვას, რომლებიც დიდად იყვნენ დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ასეთი დარგები ვერ ქმნიან განვითარებულ ეკონომიკას, ხოლო კონკურენციულ ბრძოლაში ქვეყნის უნარი მარტივად აიხსნება კლასიკური თეორიის საფუძველზე. გამოიკვლიეს ისეთი დარგები, რომლებიც ბუნებრივ წიაღისეულთან ერთად იყენებდნენ ინტენსიურ ტექნოლოგიებს, როგორცაა, საგაზეთო ქალაქის წარმოება და ქიმიკატები სოფლის მეურნეობისათვის. ქვეყნებისა და დარგების ასეთმა მაგალითებმა შექმნა მდიდარი ემპირიული ბაზა ქვეყნების კონკურენციული უპირატესობის მიღწევის თეორიის შესამუშავებლად და შესამოწმებლად.

თანამედროვე პერიოდში მენეჯერები მთავრობებზე ახორციელებენ ზეწოლას დარგებისათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ასევე, მთავრობების მხრიდან ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ექსპერიმენტი, კერძოდ, სავალუტო კურსებისა და ვაჭრობის რეგულირების ახალი მეთოდებით დაწყებული, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შერბილებით დამთავრებული, რაც ხშირად მთავრდება აფეთქებით. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ღონისძიებები მნიშვნელოვნად ასუსტებს იმ ჭეშმარიტი წყაროების მოქმედებას, რაც უზრუნველყოფს წარმატებას კონკურენციაში.

ნაციონალური კონკურენტუნარიანობა დღემდე საკამათო საკითხია მრავალი მეცნიერისა თუ პრაქტიკოსისთვის. ზოგიერთი მათგანი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განიხილავს როგორც მაკროეკონომიკურ მოვლენას, რომელიც იმართება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა, **სავალუტო კურსი, სარგებლის განაკვეთი და ბიუჯეტის დეფიციტი**. თუმცა იაპონია, იტალია და სამხრეთ კორეა სწრაფად ამაღლებდნენ ცხოვრების დონეს, ბიუჯეტის დეფიციტის მიუხედავად; ასევე გერმანია და შვეიცარია - ვალუტის ღირებულების გაზრდის მიუხედავად, ხოლო იტალია და კორეა - სარგებლის მაღალი განაკვეთის პირობებში. არსებობს მოსაზრება, რომ კონკურენტუნარიანობა აღმოცენდება იაფი და ჭარბი სამუშაო ძალის პირობებში. თუმცა გერმანიამ, შვეიცარიამ და შვედეთმა - აყვავებას მიაღწიეს მაღალი ხელფასებისა და სამუშაო ძალის უკმარისობის პირობებში.

კიდევ ერთი შეხედულება მოცემულ საკითხზე კონკურენტუნარიანობას უკავშირებს **მდიდარ ბუნებრივ რესურსებს**. თუმცა, რითი შეიძლება აიხსნას წარმატებები, რასაც მიაღწიეს შეზღუდული ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებმა, როგორცაა: **გერმანია, იაპონია, შვეიცარია, იტალია და სამხრეთ კორეა**.

ბოლო დროს უპირატესობას ანიჭებენ მტკიცებას იმის შესახებ, რომ კონკურენტუნარიანობა იმართება **სამთავრობო პოლიტიკის საშუალებით**: მიზანმიმართულობა, დაცვა, იმპორტის და სუბსიდიების შემსუბუქება. მიიჩნევენ, რომ ამ სახის ღონისძიებებმა განაპირობა მსოფლიო მასშტაბით იაპონური და კორეული ავტომობილების გავრცელება, ფოლადსადნობი მრეწველობის, გემთმშენებლობის და ნახევრგამტარების ინდუსტრიის განვითარება. თუმცა, საკითხის ყურადღებით განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ასე ერთმნიშვნელოვანი არ იყო.

იტალიაში მთავრობის ჩარევა არაეფექტიანი აღმოჩნდა, თუმცა მსოფლიო ექსპორტში იტალიის წილის ზრდის ნამდვილი ბუმი იყო. **გერმანიაში მთავრობის უშუალო ჩარევა** საექსპორტო დარგებში საკმაოდ იშვიათია. იაპონიასა და სამხრეთ კორეაშიც კი, მთავრობის როლი ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორცაა ფაქსების, ასლების, ქსეროქსის ავტომატების და გაუმჯობესებული მასალების წარმოება, იყო საკმაოდ ზომიერი. დასახელებული მაგალითები, კი როგორცაა საქსოვი მანქანების წარმოება, ფოლადის გამოშვება და გემთმშენებლობა, დღეისათვის უკვე **მოძველებულად ითვლება**.

ქვეყნების განსხვავებული კონკურენტუნარიანობის კიდევ ერთი პოპულარული ახსნა **მართვის განსხვავებული პრაქტიკაა**, სამუშაო ძალასა და მართვას შორის ურთიერთდამოკიდებულების ჩათვლით. აქ პრობლემა მრეწველობის სხვადასხვა დარგის მართვის განსხვავებულ მეთოდებშია. წარმატების განმაპირობებელი მართვის პრაქტიკა მცირე, კერძო და სუსტადორგანიზებული იტალიური საოჯახო კომპანიებისათვის, ფეხსაცმლის, საფეიქრო და ბიჟუტერიის წარმოებაში სავარაუდოდ გამოიწვევდა ქაოსს, თუ მას (ამ პრაქტიკას, გამოცდილებას) გამოიყენებდნენ გერმანულ ქიმიურ ან ავტომობილების კომპანიებში, შვეიცარიულ კომპანიებში სამედიცინო

მედიკამენტების წარმოებაში ან თვითმფრინავების მწარმოებელ ამერიკულ კომპანიებში.

საკმაოდ გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, რომ ძლიერი პროფკავშირები ამცირებენ კონკურენტუნარიანობას, პროფკავშირები გერმანიასა და შვედეთში ძლიერია, თუმცა, ეს ქვეყნები ამაყოფენ თავისი ძალზე ძლიერი საერთაშორისო კომპანიებით.

ზემოაღნიშნული ფაქტების ანალიზის შედეგად მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ კონკურენტუნარიანობის უნივერსალური და აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი ახსნა არ არსებობს. **ჭეშმარიტება გარკვეულწილად ყოველ მათგანშია, მაგრამ მოქმედებს უფრო ფართო, უფრო რთული ფაქტორები.**

მეცნიერებს, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცათ რამდენიმე კითხვაზე: **რა არის კონკურენტუნარიანი სახელმწიფო?** უნდა ჩაითვალოს თუ არა კონკურენტუნარიანად ქვეყანა, რომელშიც ყოველი კომპანია, მრეწველობის ყოველი დარგი კონკურენტუნარიანია? არც ერთი ქვეყანა არ ხვდებოდა ასეთ განსაზღვრაში. იაპონიაშიც კი იყო ეკონომიკის დიდი სექტორები, რომლებიც ძალიან ჩამორჩებოდა მსოფლიოს ყველაზე ძლიერ კონკურენტებს; დასაშვებია, რომ კონკურენტუნარიანი ქვეყნის სავალუტო კურსს უზრუნველყოფდეს მსოფლიო ბაზარზე პროდუქტებზე კონკურენტუნარიანი ფასები? როგორც გერმანიაში, ასევე იაპონიაში, ძლიერი ვალუტის არარსებობისა და ფასების ზრდის პირობებში მაღლდებოდა ცხოვრების დონე; თუ ვაჭრობაში დადებითი ბალანსი განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას? შვეიცარიის სავაჭრო ბალანსი სამაგალითოდ დაბალანსებული იყო, იტალია კი მუდმივ დეფიციტს განიცდიდა ვაჭრობაში და ამასთან, ორივე ქვეყანაში შეინიშნებოდა ეროვნული შემოსავლის მუდმივი ზრდა; კონკურენტუნარიან ქვეყანას სამუ-

შაო ძალის დაბალი ღირებულება აქვს? ინდოეთსა და მექსიკაში როგორც ხელფასები, ასევე სამუშაო ძალის ფასი, ძალზე დაბალია, მაგრამ ამ ქვეყნებს შორის სამაგალითო და მისაბადი არცერთია. კონკურენტუნარიანობა ასევე არ ნიშნავს სამუშაო ადგილების არსებობას. შეთავაზებული სამუშაო ადგილების სახეობა და არა უბრალოდ დაბალი ხელფასით შრომითი მოწყობის შესაძლებლობა – აი, რა არის გადამწყვეტი ფაქტორი ეკონომიკის აყვავებისთვის.

ქვეყანა ყველა დარგში ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. იდეალური ვარიანტით კონკრეტული ქვეყნისათვის არსებული შეზღუდული ადამიანური და სხვა რესურსები საჭიროა განაწილდეს ისე, რომ გამოიყენებოდეს მაქსიმალური ეფექტიანობით.

ცხოვრების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს აქვთ მრავალი დარგი, რომელშიც მათი ადგილობრივი კომპანიები არაკონკურენტუნარიანია.

ერთადერთი გონივრული კონცეფცია კონკურენტუნარიანობის შესახებ ნაციონალურ დონეზე, რომელიც მიიღეს მკვლევარებმა - მწარმოებლურობაა.

მწარმოებლურობა ესაა დროის განსაზღვრულ პერიოდში წარმოებული პროდუქტის მოცულობა გამოყენებული კაპიტალის ერთეულზე ან მატერიალურ რესურსებზე. მწარმოებლურობა ცხოვრების გრძელვადიანი სტანდარტის ძირითადი დეტერმინანტი და ეროვნული შემოსავლის ძირითადი წყაროა. კონკრეტული ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია ნაციონალური კომპანიების უნარზე მიაღწიონ მწარმოებლურობის მაღალ დონეს.

მწარმოებლურობის ზრდა მოითხოვს ეკონომიკის მუდმივ სრულყოფას. ნაციონალური კომპანიები უნდა ეცადონ მუდმივად გაზარდონ მწარმოებლურობა მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ხარისხის ამაღ-

ლებით, მისთვის ახალი სამომხმარებლო თვისებების მინიჭებით, ტექნოლოგიის სრულყოფით ან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით.

ამგვარად, პროფ. მ. პორტერის ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევის მიზანი იყო სახელმწიფოს იმ ძირითადი მახასიათებლების მოძებნა, რაც კომპანიებს უქმნის შესაძლებლობას მიაღწიონ და შეინარჩუნონ კონკურენციული უპირატესობა განსაზღვრულ სფეროში, ეს იყო სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციული უპირატესობების კვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მეცნიერ-მკვლევარების მოსაზრებით, ახალი თეორია უნდა გამოსულიყო შეფარდებითი უპირატესობის ჩარჩოებიდან. მას უნდა აესახა კონკურენციის ცნების მდიდარი შინაარსი, რომელიც მოიცავს ბაზრის სეგმენტაციას, პროდუქტის დიფერენციაციას, ტექნოლოგიურ განსხვავებებს, ასევე, წარმოების მასშტაბის ზრდით გამოწვეულ ეკონომიას და სხვა. ახალი თეორია უნდა გამოსულიყო დანახარჯებით უპირატესობის მოპოვების ჩარჩოებიდან და უნდა გაეშუქებინა, თუ რატომ ხდებოდა კომპანია სხვებთან შედარებით უკეთესი ისეთი უპირატესობების შექმნისას, რაც ეფუძნებოდა ხარისხს, ახალი პროდუქტის შემუშავებას და სხვა. ახალ თეორიას უნდა გაეცა პასუხი მრავალ კითხვაზე, კერძოდ, რატომ ნერგავენ განსაზღვრულ ქვეყნებში არსებული კომპანიები მეტი სიახლეებს, ვიდრე სხვები? რატომ უზრუნველყოფს ზოგიერთი ქვეყანა ისეთ გარემოს, რომელიც აძლევს კომპანიას საშუალებას სრულყოს და განაახლოს თავისი საქმიანობა უფრო სწრაფად, ვიდრე მისი უცხოელი კონკურენტები?

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ყურადღებით განხილვის შედეგად მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ სხვადასხვა დარგი განსხვავებული კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. ამის გამო, პროფ. მ. პორტერის აზრით, გამოკვლევის დროს აუცილებელი იყო ყურადღების ფოკუსირება არა

ეკონომიკაზე მთლიანად, არამედ განსაზღვრულ დარგებსა და დარგთა სეგმენტებზე, სადაც უცხოელ მოწინააღმდეგეებთან, კონკრეტულ დარგსა და სეგმენტში კონკურენციული უპირატესობის მოსაპოვებლად ხანგრძლივი და აქტიური ბრძოლის შედეგად, იქმნება და უმჯობესდება ახალი პროდუქტები და პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს ნაციონალური განახლების პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭირო იყო ახალი პერსპექტივა და ახალი ინსტრუმენტები. კონკურენტუნარიანობის საკითხისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობდა მსოფლიო ბაზარზე წარმატებული დარგების ანალიზიდან, რაც არ იყო კავშირში ტრადიციულ იდეოლოგიასა და მოცემულ სფეროში იმწუთიერ მოდასთან. მეცნიერებს უნდა სცოდნოდათ რა მექანიზმები და როგორ მუშაობდა.

რა არის იმის მიზეზი, რომ კომპანიები მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის მუდმივად მზად არიან? რატომ ცდილობენ ისინი დაუღალავად იარონ გაუმჯობესებისაკენ, ეძებონ უფრო რთული წყაროები კონკურენციული უპირატესობის მოსაპოვებლად? რა უზრუნველყოფს მათ უნარს გადალახონ სერიოზული წინააღმდეგობები ცვლილებებისა და სიახლეების შესატანად, რასაც ასე ხშირად მოსდევს წარმატება?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად მ. პორტერმა შექმნა **ალმასის წესი (Michael Porter's Diamond Theory)¹** და კლასტერების თეორია.

¹ რუსულენოვან ლიტერატურაში თარგმნიან როგორც „კონკურენტუნარიანობის რომბს ან რომბის წესს“. ასევეა კლასტერების შემთხვევაშიც, როცა რუსი მეცნიერები მათ განსაზღვრავენ იმ ქვეყნის სახელწოდებით, სადაც ისინი მოქმედებენ (მაგ. ჩინური კლასტერები, იტალიური კლასტერები და სხვა), არ ითვალისწინებენ რა იმას, რომ კლასტერების მოქმედების არეალი ხშირად არ ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს, რაც ხაზგასმით აქვს აღნიშნული კლასტერების თეორიის ავტორს პროფ. მ. პორტერს. ლიტერატურული პირველწყაროს ამგვარი „ინტერპრეტაციის“ ხშირი შემთხვევების გამო, ვფიქრობთ, საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა რუსულენოვანი ლიტერატურის სამეცნიერო კვლევებში გამოყენებისას.

აღმასის წესს (იხ. სქემა 1.1.1) განაპირობებს ქვეყნის ოთხი ატრიბუტი, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად შეადგენს ქვეყნის კონკურენციული უპირატესობის საფუძველს, რასაც ყოველი სახელმწიფო ქმნის და ინარჩუნებს თავისი დარგებისათვის.

ეს ატრიბუტებია:

1. **პირობები ფაქტორებისათვის.** ქვეყნის პოზიცია საწარმოო ფაქტორების მიხედვით, როგორცაა კვალიფიცირებული სამუშაო ძალა და ინფრასტრუქტურა, რაც აუცილებელია მოცემულ დარგში კონკურენციული ბრძოლისა და უპირატესობის მოსაპოვებლად;


2. **მოთხოვნის მდგომარეობა.** შიდა ბაზარზე დარგის პროდუქტსა ან მომსახურებაზე მოთხოვნის ხასიათი (მომთხოვნელობა, აგრესიულობა);

3. **მონათესავე და ხელშემწყობი დარგები.** ქვეყანაში საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი დარგი-მიმწოდებლის ან სხვა თანამდევნი (მონათესავე, ხელშემწყობი, დაკავშირებული) დარგების არსებობა;

4. **მყარი სტრატეგია, სტრუქტურა და შეჯიბრება.** ქვეყანაში კომპანიის შექმნის, ორგანიზებისა და მართვის პირობები, აგრეთვე შიდა კონკურენციის ხასიათი.

ზემოჩამოთვლილი ფაქტორები განაპირობებს ქვეყანაში ისეთი გარემოს ფორმირებას, რომელშიც კომპანია იქმნება და სწავლობს კონკურენციას. აღმასის მოდელი მთლიანობაში და მისი ყოველი წიბო იმ კომპონენტთა ერთობლიობაა, რაც განაპირობებს კონკურენციაში კომპანიის წარმატებას საერთაშორისო მასშტაბით. კერძოდ, რესურსებისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა აუცილებელია დარგში კონკურენციული უპირატესობის მისაღწევად; ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო შესაძლებლობებს, ხელს უწყობს იმ მიმართულებების

დასახვას, რომლებშიც ფირმებმა უნდა გამოქმედონ რესურსები და თანამშრომელთა კვალიფიკაცია; მფლობელების, მენეჯერებისა და კომპანიის ცალკეულ თანამშრომელთა მიზნები და კონკურენტთა ზეწოლა კომპანიას აიძულებს თანხები დააბანდოს სიახლეების დანერგვაში.



კონკურენტუნარიანობის ალმასის წესის მოქმედება იტალიური კერამიკული ფილების (კაფელის) წარმოებაში. 1987 წელს იტალიური კომპანიები იყვნენ მსოფლიო ლიდერები კერამიკული ფილების წარმოებასა და ექსპორტში. ეს იყო მრეწველობის დარგი 10 მლრდ დოლარის მოცულობის ბრუნვით. იტალიის ემილია-რომანიას ოლქის პატარა ქალაქ სასუოლოში იწარმოებოდა კაფელის მსოფლიო წარმოების 30%, ხოლო ექსპორტი შეადგენდა მსოფლიო ექსპორტის 60%-ს. იმ წელს კერამიკული ფილების იტალიურმა ექსპორტმა გადააჭარბა იმპორტს დაახლოებით 1,4 მლრდ დოლარით.

იტალიური კერამიკული ფილების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ნათლად გვიჩვენებს ალმასის წესის მოქმედებას ქვეყნის

კონკურენციული უპირატესობის მისაღწევად. ფილების წარმოებაში კონკურენტუნარიანობა გაიზარდა არა რაიმე სტატიკური ან ისტორიულად არსებული უპირატესობებით, არამედ განვითარების დინამიზმითა და მუდმივი ცვლილებებით.

ძალზე მომთხოვნი და პრესტიჟული მყიდველები, ძლიერი და დამახასიათებელი თავისებურებების მქონე მომარაგების არხები, ასევე, ადგილობრივ კომპანიებს შორის ძლიერი კონკურენცია ქმნიდა მუდმივი ზეწოლის გარემოს, რაც ინოვაციების პირველწყაროა. ცოდნა სწრაფად უმჯობესდებოდა მუდმივი ექსპერიმენტებისა და წარმოების გამოცდილების დაგროვების ხარჯზე.

კერძო საკუთრების კომპანიების სახელმწიფოსადმი ერთგულების განცდა საფუძვლად დაედო ამ დარგში ინვესტიციების მოზიდვას. ფილების მწარმოებლების უპირატესობა იყოს ისიც, რომ რეგიონში მოქმედებდა მაღალგანვითარებული მოწყობილობების ადგილობრივი მიმწოდებლები, მრეწველობის სხვა ხელშემწყობი დარგები, მასალების მწარმოებელი და მომსახურების კომპანიები, არსებობდა განვითარებული ინფრასტრუქტურა. შედეგად, ყველა აუცილებელი ელემენტის ერთ რეგიონში თავმოყრამ ხელი შეუწყო მთლიანად პროცესის სინერგიას.

სასულოლოში ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან დაიწყო ფაიანსის ქურქლის წარმოება. ფილების საწარმოებლად კი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სასულოლოსა და მის შემოგარენში, ადგილობრივი ბაზრის მომსახურე, რამდენიმე საწარმო არსებობდა. იტალიაში კერამიკულ ფილებზე მოთხოვნა განაპირობა კლიმატმა, ადგილობრივმა გემოვნებამ და სამშენებლო ტექნოლოგიამ. ომისშემდგომ პერიოდში იტალიის ეკონომიკის აღდგენის კვალობაზე გაიზარდა მოთხოვნა სამშენებლო მასალებსა და კერამიკულ ფილებზე.

სასულო მდებარეობდა იტალიის შედარებით განვითარებულ ნაწილში, სადაც ცხოვრობდა კომპანიის დაარსებისათვის აუცილებელი საწყისი კაპიტალისა და ორგანიზაციული უნარის მქონე ადამიანები. 1955 წელს სასულოში იყო ფილების მწარმოებელი 14 კომპანია, ხოლო 1962 წელს უკვე - 102. ახალი კომპანიების უპირატესობა იყო რეგიონში აუცილებელი უნარ-ჩვევების მქონე მომუშავეების არსებობა. ამას განაპირობებდა ის, რომ სასულოს რეგიონი საბაზო იყო ისეთი კომპანიებისათვის, როგორცაა **Ferrari, Maserati, Lamborghini** და ტექნიკური თვალსაზრისით მოწინავე სხვა ფირმები. ფილების წარმოების განვითარებასთან ერთად, მრავალი ინჟინერი და კვალიფიციური მომუშავე გადავიდა წარმატებით მომუშავე კომპანიებში.

XX საუკუნის 50-იან წლებში კაფელის წარმოებაში ძირითადი მასალა იყო კოლინის (თეთრი) თიხა. ვინაიდან სასულოს მიდამოებში თეთრი თიხის საბადოები არ იყო, იტალიელ მწარმოებლებს თეთრი თიხა შემოჰქონდათ დიდი ბრიტანეთიდან, გამოსაწვავი ქურები - გერმანიიდან, ამერიკასა და საფრანგეთიდან; ფილების პრესები კი - გერმანიიდან. დროთა განმავლობაში იტალიელმა მწარმოებლებმა ისწავლეს იმპორტირებული მოწყობილობების მოდიფიცირება.

იტალიელი ინჟინრები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ქმნიდნენ ტექნიკას: წითელ თიხას იყენებდნენ თეთრის მაგიერ; ბუნებრივ აირს, ნავთობის სანაცვლოდ. სასულოში თანდათანობით ჩაისახა საკუთარი მანქანათმშენებლობა. 1970 წლისთვის გამოჩნდა გამოწვის ქურების და პრესების მსოფლიო სტანდარტებით მწარმოებელი კომპანიები და სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: ისინი ყიდიდნენ მსოფლიოში თეთრი თიხის, წითელი თიხით მწარმოებელ საწარმოო მოწყობილობებს.

კაფელისა და მოწყობილობების იტალიელ მწარმოებლებს შორის აღმოცენდა ურთიერთმხარდაჭერა, რასაც აძლიერებდა გეოგრაფიული სიახლოვე. XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში იტალიაში იყო მოწყობილობის მწარმოებელი 200 კომპანია, რომელთა 60 %-ზე მეტი ლოკალიზებული იყო სასულოლოს ოლქში. მოწყობილობების იტალიელ მწარმოებლებს შორის ძლიერი კონკურენცია იყო, რაც თავის მხრივ ფილების მწარმოებელ კომპანიებს უცხოელ კონკურენტებთან შედარებით უქმნიდა უპირატესობას დაბალი ფასებითა და თანამედროვე მოწყობილობებთან ხელმისაწვდომობით.

ზრდისა და კონკურენციის პირობებში, სასულოლოს რეგიონში შექმნილი ფილების მწარმოებელთა ჯგუფის შესაბამისად, იზრდებოდა კვალიფიციური სამუშაო ძალისა და ტექნიკური მომუშავეების ბაზარი, რომელიც აერთიანებდა ინჟინრებს, წარმოების სპეციალისტებს, მომსახურე ტექნიკურ პერსონალსა და დიზაინერებს. გეოგრაფიული თვალსაზრისით, წარმოების კონცენტრაციამ განაპირობა სხვა ხელშემწყობი კომპანიების წარმოქმნა, რომლებიც ამზადებდნენ ფილების ფორმებს, შესაფუთ მასალებს, მინანქარს და სთავაზობდნენ ტრანსპორტირებას.

წარმოიქმნა სპეციალიზებული კომპანიების დიდი სპექტრი, კერძოდ, საკონსულტაციო, მომარაგების, კომერციული, სარეკლამო და სხვა. ერთიმეორესთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ განაპირობა კერამიკული ფილების მწარმოებელი ინდუსტრიის მომუშავეთა ასოციაციის Assopiastrelle შექმნა, რომელმაც თავს იდო საგარეო ბაზრის შესწავლა, კონსულტაციები კანონმდებლობასა და გადასახადების სფეროში, საბითუმო შესყიდვები და სერვისული მომსახურება.

ფილების წარმოების ცენტრის ზრდამ სტიმული მისცა წარმოების ფაქტორების შემქმნელი ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას: 1976 წელს

ბოლონიის უნივერსიტეტის კონსორციუმმა, რეგიონულმა სააგენტომ და კერამიკის წარმოების ასოციაციამ ბოლონიაში დააფუძნეს კერამიკის ცენტრი, რომელიც იკვლევდა საწარმოო პროცესებსა და პროდუქტებს.

იტალიური კერამიკული ფილების წარმოება ალმასის მოდელის მიხედვით. **შიდა მოთხოვნა.** იტალიაში მოსახლეობის ერთ სულზე, XX საუკუნის 60-იან წლებში, კაფელის მოხმარება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. იტალიურ ბაზარს ახასიათებდა მკაცრად მომთხოვნი მყიდველი. იტალიელი მწარმოებლები მუდმივად ახორციელებდნენ სიახლეებს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისა და ახალი დიზაინის შემუშავების მიმართულებით. შედეგად ეს ორი მხარე ერთმანეთს აძლიერებდა.

შიდა მოთხოვნის განსაკუთრებით დახვეწილი ხასიათი ვრცელდებოდა აგრეთვე საცალო ვაჭრობის საწარმოებზე. ამ პერიოდში იტალიაში გაიხსნა ფილების გასაყიდი სპეციალური საგამოფენო დარბაზები. 1985 წელს იტალიაში იყო 7000 სპეციალიზებული საგამოფენო დარბაზი, რომელზეც მოდიოდა შიდა გაყიდვების 80%.

სასულოლოში კომპანიების დიდმა რიცხვმა განაპირობა ძლიერი შიდა კონკურენცია, რაც მათ აიძულებდა ევლოთ მუდმივი განახლების მიმართულებით. ფილების მწარმოებელი ყველა კომპანია კერძო მფლობელობაში იყო და ხშირად ოჯახურად იმართებოდა. მფლობელები ცხოვრობდნენ ერთ რეგიონში, იცნობდნენ ერთმანეთს, იყვნენ ერთი და იმავე ქალაქის ცნობილი ბიზნესმენები. აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა კონკურენციაში პიროვნული ელემენტის შეტანა.

სრულყოფის მოთხოვნილება. მძაფრი კონკურენციისა და 1975 წლის ენერგეტიკული კრიზისის შედეგად იტალიურმა კომპანიებმა დაიწყეს ბრძოლა დანახარჯების შესამცირებლად, კერძოდ ბუნებრივი აირის

გამოყენებისა და შრომის ანაზღაურების მიმართულებით. ამ ძალისხმევას შედეგად ტექნოლოგიური გარღვევა მოყვა. სულ მალე ორჯერადი გამოწვის მეთოდით 255 მუშის გამოყენების მაჩვენებელი შემცირდა 90 მომუშავემდე, ხოლო ფილის დამზადების მთლიანი 16-20 საათიანი ციკლი - 50-55 წუთამდე. ახალი, უფრო მსუბუქი და პატარა ზომის მოწყობილობის ექსპორტიც უფრო მარტივი გახდა. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იტალიური მოწყობილობის ექსპორტმა გადააჭარბა გაყიდვების მაჩვენებელს შიდა ბაზარზე, 1988 წელს კი, ექსპორტმა შეადგინა მთელი გაყიდვების 80%.

ფილებისა და მოწყობილობების მწარმოებელთა ერთობლივი მუშაობა სინერგიული აღმოჩნდა. გამოწვის ქურის გაცემა და შემდგომ ხელახლა გახურება დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. 70-იანი წლების შუა ხანებში განხორციელდა ახალი ტექნოლოგიური გარღვევა: შეიმუშავეს სპეციალური მოწყობილობა, რომელმაც მასალების დამუშავების პროცესი გადაიყვანა უწყვეტ რეჟიმში, რის შედეგადაც იტალიელები პირველები გადავიდნენ უწყვეტ ავტომატიზებულ წარმოებაზე.

ინტერნაციონალიზაცია. 1970 წლისთვის კერამიკულ ფილებზე შიდა მოთხოვნა იტალიაში ძირითადად დაკმაყოფილებული იყო. კომპანიებმა გარე ბაზრის დაპყრობა გადაწყვიტეს. იტალიაში თანამდევნი და ხელშემწყობი დარგების არსებობამ პროდუქტის ექსპორტი გაააქტიურა. ფილების ცალკეულმა მწარმოებლებმა პროდუქტის რეკლამები განათავსეს უცხოურ ჟურნალებში, რომლებიც ვრცელდებოდა არქიტექტორებს, დიზაინერებსა და საბოლოო მომხმარებლებს შორის. ცნობადობის ამაღლებამ გამოიწვია იტალიური ფილის ხარისხის შესახებ წარმოდგენის ფორმირება.

ფილების მწარმოებლებმა შეძლეს გამოეყენებინათ სხვა იტალიური ფირმების საექსპორტო პოზიციები, რომელთა წარმოებით იტალია ლიდერობდა მსოფლიოში (მარმარილო, სამშენებლო ქვა, ხელსაბანები, ავეჯი და სახლის აქსესუარები). ასოციაცია Assopiastrelle-მ შექმნა სპეციალური სავაჭრო წარმომადგენლობები აშშ-ში 1980 წ.; გერმანიაში - 1984 წ.; საფრანგეთში - 1987 წ. მან ორგანიზება გაუკეთა კარგად დაგეგმილ სავაჭრო გამოფენებს დიდ ქალაქებში და აწარმოებდა მაღალხარისხიან რეკლამას. 1980-1987 წლებში ამ ასოციაციამ თითქმის 8 მლრდ დოლარი დახარჯა აშშ-ს ბაზარზე იტალიური ფილების წინ წაწევის მიზნით (ფრომოუმენისთვის).

1.2. მსოფლიო და გლობალური

კონკურენტუნარიანობა – ცნებიდან პოლიტიკამდე*

ნაციონალური კონკურენტუნარიანობის შესახებ ზემოთაღწერილმა გამოკვლევამ საკითხისადმი ფართო დაინტერესება გამოიწვია და წამყვან კვლევით ორგანიზაციებში სათავე დაუდო სპეციალური ცენტრების შექმნას.

თანამედროვე პერიოდში ქვეყნების კონკურენტუნარიანობას ყველაზე დიდი მასშტაბით ორი სკოლა იკვლევს: **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის და მიღწევების ცენტრი (Centre for Global Competitiveness and Performance)** და **მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრი (The World Competitiveness Centre)**

* პარაგრაფში მოცემული მასალა ეყრდნობა: ი. გაგნიძე, მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა – ცნებიდან პოლიტიკამდე, II საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: "საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები" თსუ, გამომც. "უნივერსალი", თბ., 2011, გვ. 11-16.

(შვეიცარია, ლოზანა). პარაგრაფში განვიხილავთ ამ ორი ცნობილი ცენტრის მიერ შემოთავაზებულ ცნებებს კონკურენტუნარიანობის შესახებ.

2009-2010 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევითმა ჯგუფმა გამოაქვეყნა კონკურენტუნარიანობის შემდეგი განმარტება: "კონკურენტუნარიანობა ესაა ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში უზრუნველყოფს მწარმოებლურობის განსაზღვრულ დონეს. მწარმოებლურობის დონე, თავის მხრივ, განაპირობებს კეთილდღეობის მდგრადობას, რასაც ეკონომიკა ქმნის საკუთარი მოსახლეობისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, უფრო მეტად ზრუნავს ქონდეს მაღალი შემოსავლები თავისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ"¹. აღნიშნული განმარტება, ვფიქრობთ, ასახავს ეკონომიკური პოლიტიკის იმ ძირითად მიმართულებებს, რასაც ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერი მთავრობა თავის სამოქმედო გეგმაში.

საკითხის ანალიზს გავაგრძელებთ შვეიცარიაში არსებული ლოზანის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრების განხილვით. ამ სკოლის წარმომადგენლებმა, პროფ. ს. გარელის ხელმძღვანელობით, ჩამოაყალიბეს კონკურენტუნარიანობის მოკლე და გავრცობილი განსაზღვრებები. მოკლე განმარტებით: "კონკურენტუნარიანობა ანალიზებს ქვეყნებისა და საწარმოების მართვის უნარს კეთილდღეობისა და მოგების მიღების მიზნით". ეს განსაზღვრება გარკვეულწილად შეზღუდულია, მაგალითად, ის არ ითვალისწინებს იმას, რომ ქვეყანა ან ფირმა საქმიანობის პროცესში დამოკიდებულია წმინდა ფიზიკურ აქტივებზე, როგორცაა ბუნებრივი რესურსების ადგილმდებარეობა და ხელმისაწვდომობა, წარსული პოლიტიკის მემკვიდ-

¹ <http://www.weforum.org/pdf/GCR09/GCR20092010fullreport.pdf> p.4.

რეობა და სხვა. თუმცა, ცოდნის ან დღეს უკვე ინოვაციური ეკონომიკის-თვის, სადაც ბუნებრივი რესურსები დიდ როლს აღარ თამაშობს, ეს კარგი განმარტებაა.

მრავალი ინდივიდისთვის კონკურენტუნარიანობის ცნება უკავშირდება მხოლოდ მოგებას ან ზარალს, როცა ერთი ადამიანი, საწარმო ან ქვეყანა მეორეზე უკეთესია. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ერთი კონკურენტუნარიანი ადამიანი, საწარმო ან ქვეყანა იღვწის შეფარდებითი უპირატესობის მისაღწევად იმ სფეროში, სადაც მას შეუძლია სხვაზე უკეთესი იყოს. საერთოდ, კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე ყველა სფეროში ნაკლებადაა შესაძლებელი. ამაზე ცნობილი მეცნიერები ხაზგასმით მიუთითებენ.

ამ სკოლის წარმომადგენელთა კიდევ ერთი განმარტებით: „**კონკურენტუნარიანობა არის ის, თუ როგორ მართავს ერი თავის რესურსებსა და კომპეტენციებს საიმისოდ, რომ აამაღლოს ხალხის კეთილდღეობა**“. კონკურენტუნარიანობა შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი. მოკლევადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას (ფასდება მშპ-ს ზრდით) და საწარმოთა მომგებიანობას. გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდაზე მეტს, რაც გამოიხატება წარმატებაში (კეთილდღეობაში, აყვავებაში). არასპეციალისტის გაგებით, ეს შეიძლება იყოს: ეკონომიკურ ზრდას დამატებული „კიდევ რაიმე“. და ეს „რაიმე“ შესაძლებელია იყოს ცხოვრების ხარისხი, გარემოს დაცვა, დაცული საზოგადოება, სამართლის გავრცობადობა, განათლების ხარისხი და ა. შ“.¹

ევროპელი მკვლევარების მიერ შემოთავაზებული კონკურენტუნარიანობის აკადემიური, გავრცობილი განსაზღვრება მოიცავს ცნების

¹ <http://www.imd.ch/research/publications/wcy/upload/20years.pdf> pp.4.

თითქმის ყველა ასპექტს და ჩამოყალიბებულია ასეთი სახით: „ქვეყნების კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკური თეორიის სფერო, რომელიც აანალიზებს ფაქტებსა და ეკონომიკურ კურსს, რაც ქვეყანას უქმნის შესაძლებლობას შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შეიქმნას უფრო მეტი ღირებულება საწარმოებისთვის და მეტი კეთილდღეობა საკუთარი მოსახლეობისთვის“¹.

აღნიშნული განსაზღვრების უკეთ გასაგებად, იგი განვიხილოთ შემადგენელი ფრაზების მიხედვით. ამ განმარტების დიდი ნაწილი ეყრდნობა პროფ. სტეფანე გარელის ნაშრომს - „ერების კონკურენტუნარიანობა: საფუძვლები“.

„ქვეყნების კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკური თეორიის სფერო ...“ ეკონომიკური ცოდნის ეს სფერო ორ ათეულ წელს ითვლის და შედარებით ახალია, თუმცა იგი ეფუძნება იმ მრავალ ეკონომიკურ კონცეფციას, რომლებიც სათავეს იღებს კლასიკოსი ეკონომისტებისგან, როგორც იყვნენ: ადამ სმიტი, დეივიდ რიკარდო, ჟან ბაბტისტ სეი და სხვები.

„... რომელიც აანალიზებს ფაქტებსა და ეკონომიკურ კურსს, რომლებიც ქვეყანას უქმნის შესაძლებლობას შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი გარემო ...“ ქვეყნის გარემო არის ფაქტების (რომლებზეც ადამიანების მცდელობას ძალიან მცირე გავლენა აქვს და შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ეგზოგენური) და ეკონომიკური კურსის (რომელზეც ადამიანებს შეუძლიათ და ახდენენ კიდევ გავლენას და შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ენდოგენური) კომბინაციის შედეგი. იმ ფაქტებს შორის, რომლებიც ქვეყნის

¹ S. Garelli, Competitiveness of nations: The Fundamentals, IMD, the World Competitiveness Project, IMD WORLD COMPETITIVENESS YEARBOOK, p.608.

<http://www.imd.org/research/centers/wcc/upload/Fundamentals.pdf>

კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას, არის ბუნებრივი რესურსები, ასევე, ბუნებრივი კატასტროფები (მაგ: მიწისძვრა, მეწყერი და ა.შ.) ან ადამიანური უბედურებების რისკები (როგორცაა ეპიდემიები, ომი და ა.შ.). ქვეყანას შეუძლია ზოგიერთი ცხოვრებისეული მძიმე სიტუაციის შემსუბუქება, მაგალითად, ანტი-სეისმური ნაგებობების, ჯებირების და ა.შ. აგება ან მოსახლეობის ვაქცინაცია, თუმცა, ბუნებრივი რესურსების ნაკლებობის კომპენსირების ალბათობა ძალიან შეზღუდულია. ეკონომიკური კურსი კი, მისი განსაზღვრა-ჩამოყალიბება, გადასინჯვა და ცხოვრებაში გატარება მთლიანად დამოკიდებულია ადამიანთა გადაწყვეტილებებზე და ექვემდებარება მათ სურვილებს. **ფაქტები და კურსი** ერთიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიას და მოქმედების თავისუფლებას სწორი კონკურენტუნარიანი ჩარჩოს შესაქმნელად. ეს კი აუცილებლად უნდა აისახოს გრძელვადიან პერსპექტივაში, რასაც გულისხმობს სიტყვა – შენარჩუნება.

„... რომელიც ხელს შეუწყობს შეიქმნას უფრო მეტი ღირებულება საწარმოებისთვის ...“ კონცეფცია, რომ მხოლოდ საწარმოები ქმნის ეკონომიკურ ღირებულებას, ხშირადაა ხაზგასმული. ამ ფრაზაში აქცენტირებულია უფრო მეტი - ქვეყანას ძალიან კარგად შეუძლია მართოს თავისი კონკურენტუნარიანი გარემო. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მან უნდა შეინარჩუნოს თავისი ცხოვრების ხარისხი, კულტურული მემკვიდრეობა, ან ისინი იმდენად მდიდრები არიან, რომ შეიძლება კონკურენტუნარიანობის გარეშეც იოლად გავიდნენ. ისტორიული სტანდარტებით ისინი თითქოს კარგად არიან, მაგრამ კონკურენტუნარიანობის სტანდარტებით ისინი თანდათან კარგავენ შეფარდებით უპირატესობას. „უფრო მეტი“-ს ქვეშ იგულისხმება საკუთარი კონკურენტუნარიანობის სრულად გამოყენების პოტენციალი.

„... მეტი კეთილდღეობა საკუთარი მოქალაქეებისთვის ...“ საბოლოოდ, კონკურენტუნარიანობა არის ცნება ხალხის კეთილდღეობის ამაღლების შესახებ, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც შემოსავლის, ცხოვრების დონისა და ცხოვრების ხარისხის ერთობლიობა. ამ კონტექსტით „კეთილდღეობა“ არის ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან იგი ხაზს უსვამს კონკურენტუნარიანობის არაეკონომიკურ მხარეს და იმავდროულად მიუთითებს იმ სტრატეგიის არამდგრადობაზე, რომელიც ეყრდნობა პრინციპს – კონკურენტუნარიანობა ნებისმიერ ფასად.

კონკურენტუნარიანობა არ დაიყვანება პროდუქტიულობამდე ან მოგებამდე. ინტუიციურად ყველამ იცის, რომ ქვეყანა, რომელიც სხვას არ უზიარებს მის მიერ შექმნილ სიმდიდრეს, რომელიც არ უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და განათლების ადეკვატურ ინფრასტრუქტურას თავისი ხალხისთვის ან ვერ ინარჩუნებს პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას, გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატებას ვერ მიაღწევს. სინგაპურის მთავრობა ყოველთვის მონდომებული იყო ხალხისთვის მიეცა ეკონომიკის წარმატების ხელშესახები ნიშნები უკეთესი საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების და განათლების სახით.

ვინაიდან პროფ. ს. გარელი მიუთითებს, რომ „არ არსებობს კონკურენტუნარიანობის ერთიანი რეცეპტი. სხვადასხვა პოლიტიკა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სტანდარტად, ხოლო შემდეგ თითოეულ ქვეყანას სჭირდება მისი საკუთარ გარემოსთან ადაპტირება. კონკურენტუნარიანობის სტრატეგია წარმატებას აღწევს მაშინ, როდესაც წონასწორობას ინარჩუნებენ მსოფლიო ბაზრების მიერ თავსმოხვეულ იმპერატივებსა და ისტორი-

ულად ჩამოყალიბებულ ქვეყნის სოციალურ მოთხოვნებს, ფასეულობათა სისტემებსა და ტრადიციებს შორის“¹.

ამგვარად, კონკურენტუნარიანობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებაა თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებაში. მისი საკვანძო წვლილი კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში არის ის, რომ იგი მოიცავს არაეკონომიკური საკითხების ეკონომიკურ შედეგებს, როგორცაა განათლება, მეცნიერება, პოლიტიკური სტაბილურობა თუ ფასეულობათა სისტემები. სწორედ იმ ფაქტმა, რომ იგი არის მრავალწახნაგოვანი ცნება, განაპირობა მისი დეფინიციების მრავალფეროვნება. თუმცა, ეს განსხვავებულობა მისასაღმებელია საიმისოდ, რომ დაიხვეწოს ისეთი კომპლექსური მაჩვენებლის განსაზღვრება, რომელსაც აქვს ამბიცია უზრუნველყოს დინამიკური და სისტემური მიდგომა ქვეყნებისთვის სიმდიდრის შექმნასა და ადამიანებისთვის გრძელვადიანი კეთილდღეობის მისაღწევად.

1.3. ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის თანამედროვე გამოკვლევები

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (**The World Economic Forum**)² არის საერთაშორისო, დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია საიმისოდ, რომ გლობალური, რეგიონული და დარგობრივი პროგრამების ფორმირებით, გააუმჯობესოს მსოფლიო სიტუაცია პროცესებში ბიზნესლიდერების, პოლიტიკური, სამეცნიერო და საზოგადოების სხვა ხელმძღვანელების ჩართვით. ევროპული მენეჯმენტის ფორუმის შექმნის იდეა პროფ. კლაუს შვაბს გაუჩნდა 1971 წელს და 1972 წლის იან-

¹ S. Garelli, Competitiveness of nations: The Fundamentals, IMD, the World Competitiveness Project, IMD WORLD COMPETITIVENESS YEARBOOK, p.609.

<http://www.imd.org/research/centers/wcc/upload/Fundamentals.pdf>


² www.weforum.org

ვარში შვეიცარიის ალპებში არსებულ კურორტ დავოსში შედგა პირველი ფორუმი. 1987 წელს ფორუმს სახელი შეეცვალა და ეწოდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. გასულ წელს აღინიშნა ფორუმის დაარსების 40 წლისთავი. ფორუმის ძირითადი შტაბ-ბინა დავოსშია, ხოლო ოფისები არის ნიუ-ორკსა და პეკინში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი პროფ. კ. შვაბის ხელმძღვანელობით აქვეყნებს მრავალი სახეობის ანგარიშებს, რომელთა შორისაა გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში.

ფორუმმა თავის 2008 წლის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მიუთითა იმის შესახებ, რომ სამეცნიერო კვლევები წარიმართა კონკურენტუნარიანობის ახალი ინდექსის მიხედვით. ამ პროცესის განმაპირობებელი იყო რამდენიმე ფაქტი, კერძოდ, 2000 წელს პროფ. ჯ. საქსმა ეკონომიკური ზრდის თეორიაზე დაყრდნობით შეიმუშავა **ზრდის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Growth Competitiveness Index)**. ასევე 2000 წელს პროფ. მ. პორტერმა მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიმუშავა **ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Business Competitiveness Index - BCI)**. 2004 წელს პროფ. ხავიერ სალა-ი-მარტინმა შეიმუშავა **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index - GCI)**, რომელიც აერთიანებდა როგორც მაკროეკონომიკურ, ასევე მიკროეკონომიკურ დონეებს. აღნიშნულის გამო, 2004 წელს მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა კვლევებში გააერთიანა ეს მაჩვენებლები და შეიმუშავა **ახალი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (New Global Competitiveness Index - New GCI)**. ახალი ინდექსის განვითარების მიზნით, პროფ. მ. პორტერმა მოიწვია: პროფ. ს. შტერნი, პროფ. ა. ჩიკონე, პროფ. პ. ფაბრა, პროფ. მ. დელგადო და


დოქტორი ქ. ქეთელსი.¹ აღნიშნულ ავტორთა მიერ შემოთავაზებული იქნა კონკურენტუნარიანობის სქემატური განსაზღვრა, რომელიც მოცემულია სქემებზე 1.3.1 „ა“ და „ბ“².

სქემიდან 1.3.1 "ბ" ნათლად ჩანს, რომ მეცნიერ-მკვლევარები კლასტერებს განიხილავენ როგორც მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შემადგენელ ნაწილს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ეფუძნება 12 კომპლექსურ მდგენელს, რომლებიც თავის მხრივ შედგება რამდენიმე მაჩვენებლებისგან. აღნიშნული მდგენელებია: 1) ინსტიტუტები; 2) ინფრასტრუქტურა; 3) მაკროეკონომიკური სტაბილურობა); 4) ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება; 5) უმაღლესი განათლება და ტრენინგები; 6) სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა; 7) შრომის ბაზრის ეფექტიანობა; 8) საფინანსო ბაზრების განვითარების ხარისხი; 9) ტექნოლოგიური აღჭურვა; 10) ბაზრის სიდიდე; 11) ბიზნესის განვითარების ხარისხი; 12) ინოვაციები. აღნიშნული 12 მდგენელი და მათი შემადგენელი მაჩვენებლები მოცემულია დანართში 1.



¹ M. E. PORTER, M. DELGADO, C. KETELS, S. STERN, Moving to a New Global Competitiveness Index, The Global Competitiveness Report 2008-2009, World Economic Forum. CHAPTER 1.2. pdf. pp.43-44.

² M. E. PORTER, M. DELGADO, C. KETELS, S. STERN, Moving to a New Global Competitiveness Index, The Global Competitiveness Report 2008-2009, World Economic Forum. CHAPTER 1.2. pdf. pp.45-46.



ყოველწლიურ ანგარიშებში მკვლევარები ხსნიან, თუ რატომ ანიჭებენ აღნიშნულ მდგენელს ასეთ დიდ მნიშვნელობას, კერძოდ:

1) **ინსტიტუტები.** ინსტიტუციონალური გარემო განისაზღვრება სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოებით, სადაც ფიზიკური პირები, კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებების ურთიერთქმედება მიმართულია ეკონომიკაში შემოსავლების დაგროვებისაკენ. მყარი ინსტიტუციონალური გარემოს მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოჩნდა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც ასეთმა დაწესებულებებმა პირდაპირი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებაში.

ინსტიტუტების ხარისხი ძალიან დიდ გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობასა და ზრდაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, პროდუქტების წარმოებაზე, განვითარების სტრატეგიებსა და პოლიტიკაზე.

ინსტიტუტების როლი სცდება სამართლებრივ ჩარჩოებს - ბაზრისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება და სათანადო ნაბიჯების ეფექტიანობა ძალიან მნიშვნელოვანია. ზედმეტი ბიუროკრატია, ფორმალურობა, კორუფცია, არაკეთილსინდისიერება, გაუმჭვირვალობა, ნდობის ნაკლებობა, სასამართლო სისტემის პოლიტიკური დამოკიდებულება, ძალიან ძვირად უჯდება ბიზნესგარემოს, რაც აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადი აქცენტი ხშირად საჯარო ინსტიტუტებზე კეთდება, ყურადსაღებია, რომ კერძო სექტორი არანაკლებ როლს ასრულებს დოვლათის შექმნაში. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა არსებული საბუღალტრო სტანდარტების დაცვის მართებულობა და ბიზნესგარემოში გამჭვირვალობის აუცილებლობა საიმისოდ, რომ თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური მაქინაციები და შენარჩუნდეს ინვესტორისა და მომხმარებლის ნდობა.

2) ინფრასტრუქტურა. მასშტაბური და ეფექტიანი ინფრასტრუქტურა მთავარი მამოძრავებელი ძალაა კონკურენტუნარიანობის მისაღწევად. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ამცირებს რეგიონებს შორის მანძილით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს და ხელს უწყობს ეროვნული ბაზრის ინტეგრირებას სხვა ქვეყნებსა და რეგიონებთან.

ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, როგორც არის გზები, რკინიგზა, პორტები, საჰაერო ტრანსპორტი საშუალებას აძლევს მეწარმეებს უსაფრთხოდ და დროულად მიაწოდონ პროდუქტები და მომსახურება დანიშნულების ადგილზე.

ეკონომიკა დამოკიდებულია აგრეთვე ენერგოწყაროებზე, უწყვეტი ენერგომომარაგება ეკონომიკის კარგი ფუნქციონირების პირდაპირპროპორციულია; დაბოლოს ერთიანი, ფართო სატელეკომუნიკაციო ქსელი ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, ზრდის და აიოლებს საქმიან კომუნიკაციას.

3) მაკროეკონომიკური სტაბილურობა. მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობა მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობისთვის, თუმცა, მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობა ქვეყანაში მწარმოებლობის ზრდის გარანტი არაა. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან მართვას, თუ მას უწევს სარგებლის მაღალი განაკვეთებით ძველი ვალეების გადახდა. ფისკალური დეფიციტის პირობებში სახელმწიფო სათანადოდ ვერ ზემოქმედებს ბიზნესის აქტივობის ციკლებზე და უკონტროლო ინფლაციის პირობებში, ფირმები ვერ საქმიანობენ ეფექტიანად. ეკონომიკის ზრდა მიუღწეველ ოცნებად რჩება, თუ მაკროგარემო არ არის მყარი და სტაბილური.

4) ჯანმრთელობა და საბაზისო განათლება. ქვეყანაში მწარმოებლობის ასამაღლებლად ჯანსაღ სამუშაო ძალას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ავადმყოფი მუშახელი თავის პოტენციალს ბოლომდე ვერ იყენებს და შესაბამისად ნაკლებად პროდუქტიულია. ჯანმრთელობის პრობლემები დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან ბიზნესში – დასაქმებულის არყოფნა ან შეზღუდულად მუშაობა გარკვეულწილად აისახება შედეგზე. ამრიგად, ჯანდაცვაში ჩადებული ინვესტიციები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მორალური თვალსაზრისით, არამედ წმინდა ეკონომიკური თაყ.

ჯანმრთელობასთან ერთად მხედველობაში მისაღებია მოსახლეობის განათლების დონე. რაც უფრო დაბალი განათლების მქონეა პერსონალი,

მით უფრო უჭირს მას მარალტექნოლოგიურ საწარმოო პროცესებთან შეგუება.

5) უმაღლესი განათლება და ტრენინგი. საწარმოო პროცესების განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის ხარისხიანი განათლება და ტრენინგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. დღევანდელი გლობალიზებული ეკონომიკა საჭიროებს კარგი განათლების მქონე შრომით რესურსებს, რომელთაც შესწევთ ცვალებად გარემოსთან სწრაფი ადაპტირების უნარი. აღსანიშნავია ასევე დასაქმებული მომუშავე პერსონალის პერიოდული გადამზადების აუცილებლობა. ზრდადი და განვითარებადი ეკონომიკისთვის დასაქმებულის უნარების განახლების უზრუნველყოფა სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

6) სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა. ჯანსაღი საბაზრო კონკურენცია მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე წარმატების მისაღწევად. ბიზნესაქტიურობის გასაუმჯობესებლად მთავრობის მხრიდან სათანადო გარემოს ფორმირება მოითხოვს სავაჭრო ბარიერების შემცირებას. მაგალითად, კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებს გადასახადები, შემზღუდველი და დისკრიმინაციული წესები და სხვა. ბაზრების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოთხოვნის პირობებზეც, როგორცაა მომხმარებელზე ორიენტაცია და მყიდველის გათვითცნობიერების, მომთხოვნელობის მაღალი ხარისხი. სხვადასხვა კულტურულ-ტრადიციული მიზეზიდან გამომდინარე, მომხმარებელი ზოგ ქვეყანაში უფრო მომთხოვნია, რაც აიძულებს კომპანიებს შემოიღონ ინოვაციები.

7) შრომის ბაზრის ეფექტიანობა. შრომის ბაზრის ეფექტიანობა და მოქნილობა არსებითია დასაქმებულთა მაქსიმალური მოტივირებისათვის. შრომის ბაზრის მოქნილობა გულისხმობს დასაქმებულის ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადაყვანის შესაძლებლობას მაქსიმალურად სწრაფად

და მინიმალური დანახარჯებით. ეფექტიან შრომის ბაზარზე მომუშავეს შესაძლებლობები სრულადაა გამოყენებული და დაკმაყოფილებულია მისი პირობები და უფლებები (მაგალითად, გენდერული თანასწორობა ბიზნესში).

8) საფინანსო ბაზრის განვითარების ხარისხი. საფინანსო კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეკონომიკურ საქმიანობაში ჯანსაღი და კარგად-ფუქციონირებადი საფინანსო სექტორის დიდი მნიშვნელობა. ეფექტიანი საფინანსო სექტორი მოქალაქეებისა და უცხოეთიდან შემოსულ რესურსებს ათავსებს მაღალშემოსავლიან სამეწარმეო თუ საინვესტიციო პროექტებში, სადაც რისკფაქტორების ყოველმხრივი და ზუსტი შეფასება ძალზე არსებითია. მწარმოებლურობის ასამაღლებლად აუცილებელია მაღალი ხარისხის საფინანსო ბაზარი, რათა ხელმისაწვდომი იყოს: სესხები ჯანსაღი საბანკო სექტორისგან, ფასიანი ქაღალდები კარგად რეგულირებული საფონდო ბირჟიდან, სარისკო კაპიტალი და სხვა ფინანსური პროდუქტები. საფინანსო ბაზრებს ევალება შეიმუშავოს კრიზისულ სიტუაციებში ინვესტორებისა და ბიზნესსექტორის სხვა წარმომადგენლებისთვის დამცავი მექანიზმები.

9) ტექნოლოგიური მზაობა. ამ მაჩვენებლებით ფასდება, თუ რა სისწრაფით ითვისებს ეკონომიკა ახალ ტექნოლოგიებს მწარმოებლურობის ასამაღლებლად. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დღეისათვის უნივერსალურ ტექნოლოგიებად გადაიქცა, უმნიშვნელოვანესია მათი როლი ეკონომიკური სექტორისთვის. ქვეყნის შიგნით ტექნოლოგიის განვითარება შესაძლებლობას აძლევს მოქმედ ფირმებს ისარგებლონ თანამედროვე პროდუქტებით. ამასთან, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ფირმების ტექნოლოგიური დონე და ზოგადად ქვეყნის მზაობა ინოვაციებისა და წინსვლისკენ განსხვავებული ცნებებია.

10) ბაზრის სიდიდე. ბაზრის სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე. დიდი ბაზარი ფირმებს საშუალებას აძლევს ქონდეთ ფართომასშტაბიანი წარმოება. ბაზრის საზღვრები ფირმებისთვის ტრადიციულად ქვეყნის საზღვრების მიხედვით განისაზღვრება, მაგრამ გლობალიზაციის ერაში საერთაშორისო ბაზრებმა შეცვალა ქვეყნის შიდა ბაზრების სიდიდე, რაც განსაკუთრებით პატარა ქვეყნებშია შესამჩნევი. ამრიგად, ექსპორტს შეუძლია შეცვალოს შიდა ბაზრის მოთხოვნა.

11) ბიზნესის განვითარების ხარისხი. ბიზნესის განვითარების ხარისხი ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და აფასებს ამა თუ იმ ქვეყნის ბიზნესქსელისა და კერძო ფირმების მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და სტრატეგიების ხარისხს. ქვეყნის ბიზნესინდუსტრიული ქსელების მაღალი ხარისხი ფასდება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების მიხედვით. კომპანიებისა და მომმარაგებლების ჯგუფური მჭიდრო ურთიერთკავშირის (*Cluster Group*) ღროს ეფექტიანობა უფრო იზრდება და მეტი შესაძლებლობები ჩნდება ინოვაციების შესაქმნელად. აღნიშნულის გამო, ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნებისთვისაც. კერძო ფირმის ოპერაციებსა და სტრატეგიებს (ბრენდინგი, მარკეტინგი, ღირებულებათა ჯაჭვი, უნიკალური და ხარისხიანი პროდუქტის წარმოება) მივყავართ თანამედროვე მაღალგანვითარებულ ბიზნეს-პროცესებამდე.

12) ინოვაცია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის მწარმოებლობის ამაღლება არსებული ტექნოლოგიების ადაპტაციით ან საქმიანობის არეალის გაფართოებით მიმდინარეობს. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ქვეყნებისთვის კი, საკმარისი არაა მხოლოდ მწარმოებლობაზე აქცენტირება, მათ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებ-

ლად ბაზარს პროგრესული, მოთხოვნადი პროდუქტები უნდა შესთავაზონ. საამისოდ ხელშემწყობი გარემოს შექმნა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში, გულისხმობს ინვესტირებას სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების მიმართულებით, მაღალი დონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არსებობას და მათთან ფირმებისა და საგანმანათლებლო სისტემის დაწესებულებათა ნაყოფიერ თანამშრომლობას.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლის მეთოდიკა*. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობისა და მიღწევების ცენტრი დიდი ხანია წარმატებით იკვლევს გაძლიერებული ინტეგრაციული პროცესებისა და მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა გამოწვევებს. 2011-2012 წლის **გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში (The Global Competitiveness Report)** მოცემულია 142 ქვეყნის ეკონომიკის ანალიზი.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლა ეფუძნება შეფასებათა თანმიმდევრულ შეჯამებას, ძალზე დეტალიზებულიდან, მთლიანად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსამდე. ცალკეული ცვლადების ერთობლიობის ერთ კატეგორიაში დაჯგუფების მიზნით გამოიყენება გამოთვლები: i კატეგორიისთვის, რომელიც შედგება k რაოდენობის ინდიკატორებისგან, გვექნება:

$$\text{კატეგორია}_i = \frac{\sum_{k=1}^K \text{ინდიკატორი}_k}{K} \quad (1.3.1)$$

ცნობილია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ეფუძნება 12 კომპლექსურ მდგენელს, რომლებიც შედგება ცალკეული მაჩვენებლებისგან. გამოთვლების საწყის ეტაპზე ქვეყნების შეფასება ხდე-

* მოცემული მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, მსოფლიო, გლობალური და მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსების შესახებ, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაცია და მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“, თსუ, თბ., 2012, გვ. 43-49.

ბა მდგენელთა დიდი ჯგუფების – ქვე-ინდექსების მიხედვით. ცხრილში 1.3.1 მოცემული 12 მდგენელიდან # 1-4 შეადგენს ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსს; #5-დან 10-მდე – ეფექტიანობის ამამაღლებელ ფაქტორთა ქვეინდექსს; #11-12 კი, მკვლევარები ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორთა ქვეინდექსში აერთიანებენ. თითოეული მდგენელის წილი ქვეყნის ეკონომიკის საბოლოო შესაფებაში და მაჩვენებელთა დიდი ჯგუფის წილი, აღნიშნული მდგენელის შიგნით, მოცემულია ცხრილში 1.3.1.

აგრეგირების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გამოიყენება თითოეული კატეგორიის პროცენტული თანაფარდობა. კატეგორიის მნიშვნელობა მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვად, მაგრამ გვი-ს გამოსათვლელად გამოიყენება საწყისი წილადი რიცხვითი მნიშვნელობები. მაგალითად, ქვეყნის განვითარების დონის მიუხედავად, ცხრილში 1.3.1 მოცემული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მაჩვენებელი 50%-ით იქნება წარმოდგენილი მეორე მდგენელის - „ინფრასტრუქტურა“ - საბოლოო შედეგში, მაშინ როცა თავად „ინფრასტრუქტურის“ ხვედრითი წონა ქვეყნის საბოლოო მაჩვენებელში 25%-ია.

თუ არ მოითხოვება მაჩვენებელთა გამსხვილება, გაანგარიშების სიმძიმე გადადის ქვე-ინდექსებზე (საბაზო მოთხოვნები, ეფექტიანობის ამამაღლებელი ფაქტორები და ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორები), რომელთა ხვედრითი წონა არაა ფიქსირებული სიდიდე, მათი მნიშვნელობა ვარიირებს ქვეყნების განვითარების საფეხურების მიხედვით და დამოკიდებულია ქვეყანაში კაპიტალის ერთეულზე მშპ-ს რაოდენობაზე.

ცხრილი 1.3.1. კომპლექსურ მაჩვენებელთა პროცენტული წილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2011-2012 წლის* ანგარიშის მიხედვით

#	მდგენელი და მასში შემავალ მაჩვენებელთა საერთო რაოდენობა	მდგენელის წილი საერთო შეფასებაში	მდგენელში შემავალ მაჩვენებელთა დიდი ჯგუფები და მათი პროცენტული წილი იმავე მდგენელის საბოლოო შედეგში		
1	ინსტიტუტები - 19	25 %	სახელმწიფო ინსტიტუტები - 75%	კერძო ინსტიტუტები - 25%	
2	ინფრასტრუქტურა - 8	25%	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - 50%	ენერგეტიკული და სატელეფონო ინფრასტრუქტურა - 50%	
3	მაკროეკონომიკური გარემო - 5	25%	-	-	
4	ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება - 11	25%	ჯანდაცვა - 50%	დაწყებითი განათლება - 50%	
5	უმაღლესი განათლება და ტრენინგები - 8	17%	განათლების სისტემაში ჩართულთა რაოდენობა - 33%	განათლების ხარისხი - 33%	ტრენინგები - 33%
6	სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა - 15	17%	კონკურენცია - 67%	მოთხოვნის ხარისხი - 33%	
7	შრომის ბაზრის ეფექტიანობა - 10	17%	მოქნილობა - 50%	უნარებისა და ნიჭის გამოყენების ეფექტიანობა - 50%	
8	საფინანსო ბაზრების განვითარების ხარისხი - 9	17%	ეფექტიანობა - 50%	კრედიტუნარიანობა და კონფიდენციალურობა - 50%	
9	ტექნოლოგიური მზაობა - 8	17%	ტექნოლოგიური ადაპტაცია - 50%	გამოყენებაში არსებული საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - 50%	
10	ბაზრის სიდიდე - 2	17%	შიდა ბაზრის სიდიდე - 75%	გარე ბაზრის სიდიდე - 25%	
11	ბიზნესის განვითარების ხარისხი - 9	50%	-	-	
12	ინოვაციები - 7	50%	-	-	

* მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის აღმნიშვნელ თარიღში ორი წელი ფიგურირებს, როგორც, მაგალითად აკადემიური სასწავლო წლის შემთხვევაში.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში ქვეყნები განვითარების მიხედვით ნაწილდება 3 ძირითად და 2 გარდამავალ საფეხურზე: ფაქტორებზე ორიენტირებული (I საფეხური); I-დან II საფეხურზე გარდამავალი; ეფექტიანობაზე ორიენტირებული (II საფეხური); II-დან III საფეხურზე გარდამავალი და ინოვაციებზე ორიენტირებული (III საფეხური). აღნიშნული საფეხურებისა და ქვეინდექსების მაჩვენებელთა დამოკიდებულება მოცემულია ცხრილში 1.3.2.

ცხრილი 1.3.2. ქვეყნების განვითარების საფეხურები და მათი დამოკიდებულება ქვეინდექსებთან

მაჩვენებლები და ქვეინდექსები	ფაქტორებზე ორიენტირებული (I საფეხური)	I-დან II საფეხურზე გარდამავალი	ეფექტიანობაზე ორიენტირებული (II საფეხური);	II-დან III საფეხურზე გარდამავალი	ინოვაციებზე ორიენტირებული (III საფეხური)
მშპ კაპიტალის ერთეულზე	< 2000 აშშ\$	2000-2999 აშშ\$	3000-8999 აშშ\$	9000-17000 აშშ\$	>17000 აშშ\$
ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსის წონა	60%	40-60%	40%	20-40%	20%
ეფექტიანობის ამამალღებელი ქვეინდექსი	35%	35-50%	50%	50%	50%
ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორთა ქვეინდექსის წონა	5%	5-10%	10%	10-30%	30%

საქართველო 2011-2012 წლის ანგარიშის მიხედვით იმყოფება I-დან II საფეხურზე გარდამავალ პოზიციაში, სადაც ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსის წონა საბოლოო შესფასებაში არის 40-60%, ეფექტიანობის ამამალღებელი ფაქტორების ქვეინდექსის წონა შეადგენს – 35-50% და ა.შ.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლისას იყენებენ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს. ამ გზით მიღებული ცვლადების მნიშვნელობის გამოთვლისას, შედეგებს აჯამებენ ისე, რომ მათი მნიშვნელობები მერყეობდეს 1-დან 7-მდე. გამოკვლევულ ქვეყნებს შორის ერთ მათგანს ენიჭება უმაღლესი ქულა და ერთს – ყველაზე დაბალი, დანარჩენი ქვეყნების მაჩვენებლების გამოთვლა მიმდინარეობს აღნიშნულ უკიდურეს შემთხვევებთან შედარების გზით.

საამისოდ გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$6 \times \frac{(\text{ქვეყნის ქულა} - \text{მინიმალური ქულა})}{(\text{მაქსიმალური ქულა} - \text{მინიმალური ქულა})} + 1 \quad (1.3.2)$$

არატიპური ექსტრემუმების მიღებისას ხდება მაჩვენებელთა კორექტირება. ისეთი მაჩვენებლებისთვის, რომელთათვისაც უმჯობესია იყოს დაბალი ქულა, ვიდრე მაღალი (მაგალითად, სახელმწიფო ვალი, ავადმყოფობის შემთხვევები და სხვა), ტრანსფორმირებული ფორმულა იღებს ისეთ სახეს, რომ მაღალი ქულა შეესაბამება კარგ მდგომარეობას, კერძოდ:

$$-6 \times \frac{(\text{ქვეყნის ქულა} - \text{მინიმალური ქულა})}{(\text{მაქსიმალური ქულა} - \text{მინიმალური ქულა})} + 7 \quad (1.3.3)$$

იმ კატეგორიებისთვის, რომლებიც შეიცავს ერთ ან რამდენიმე წილადის მნიშვნელობის მქონე ცვლადს, ქვეყნის ქულა გამოითვლება შემდეგნაირად (იხ. ფორმულა 1.3.4):

$$\frac{(\text{მთელი მნიშვნელობის მქონე ცვლადების ქულათა ჯამი}) + \frac{1}{2} \times (\text{წილადი მნიშვნელობის მქონე ცვლადების ქულათა ჯამი})}{(\text{მთელი მნიშვნელობის მქონე ცვლადების რაოდენობა}) + \frac{1}{2} \times (\text{წილადი მნიშვნელობის მქონე ცვლადების რაოდენობა})} \quad (1.3.4)$$

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში გათვალისწინებულია ის, რომ მაღალი ინფლაცია გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობაზე. ინფლაციის გავლენა ინდექსის მოდელში შედის U-ს ფორმით, კერძოდ, ქვეყანაში ინფლაციის მერყეობა 0,5-2,9% დიაპაზონში ფასდება უმაღლესი 7 ქულით. ამ დიაპაზონის გარეთ ქულა მცირდება ამ მაჩვენებლიდან გადახრის წრფივი დამოკიდებულების შესაბამისად.

კონკურენტუნარიანობაზე მალარიის, ტუბერკულოზისა და შიდსის გავლენა დამოკიდებულია არა მარტო ამ დაავადებათა რაოდენობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ძვირადღირებულია ისინი ბიზნესისთვის. აღნიშნულის გამო, გავლენის შესაფასებლად, დასაწყისში გამოითვლება ქვეყნებში დაავადებათა გავრცელების მაჩვენებლები, რისთვისაც გამოიყენება ზემოაღნიშნული მულტიპლიკატორი (იხ. ფორმულა 1.3.3), შედეგად კი, ის ქვეყნები, სადაც დაავადებათა რაოდენობა ნულის ტოლია, ფასდება 7 ქულით, ხოლო სადაც მაღალია, შეფასება მცირდება.

კონკურენტუნარიანობის ქვეინდექსი არის ორი კომპონენტის საშუალოშეწონილი, კერძოდ: შიდა კონკურენცია და გარე კონკურენცია. მკვლევართა მოსაზრებით, შიდა კონკურენცია არის მოხმარების (Consumption – C), ინვესტიციების (Investment – I), სახელმწიფო ხარჯების (Government Spending – G) და ექსპორტის (Exports – X) ჯამი, მაშინ როცა გარე კონკურენციისთვის გამოიყენება იმპორტი (Import – M). ამგვარად, შიდა კონკურენცია ფასდება შემდეგი თანაფარდობით: $(C + I + X)/(C + I + X + M)$, ხოლო გარე კონკურენცია კი, $M/(C + I + G + X + M)$.

შიდა ბაზრის სიდიდე განისაზღვრება როგორც იმ ჯამის ნატურალური ლოგარითმი, რომელიც მიიღება მშპ-ს დამატებული იმპორტირებული პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება და გამოკლებული ექსპორტირებული პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება (აღნიშნული ჯამის ყველა წევრი შეფასებულია მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით – Purchased Power Parity – PPP). მონაცემები ნაწილდება 1-7 ქულიან სისტემაში. მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული იმპორტი და ექსპორტი მიიღება, როგორც ექსპორტირებული პროდუქტების პროცენტი მშპ-სთან მიმართებაში.

გარე ბაზრის სიდიდე განისაზღვრება მყიდველობითუნარიანობის პარტიკტით შეფასებული ექსპორტირებული პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი ღირებულების ნატურალური ლოგარითმით, რომელიც განაწილებულია 1-7 ქულიან სისტემაში. მყიდველობითუნარიანობის პარტიკტით შეფასებული ექსპორტი გამოითვლება, ისევე როგორც შიდა ბაზრის პირობებში.

2011-2012 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 93-ე პოზიციიდან 88-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნულ რეიტინგში საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებაზე გავლენა იქონია შემდეგმა კომპონენტებმა და ქვეინდექსებმა¹.

- **ძირითადი მოთხოვნები** – საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 9 ადგილით და 95-ე პოზიციიდან 86-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. აღნიშნულ კომპონენტზე გავლენა იქონია საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებამ შემდეგ ქვე-ინდექსებში:

ინსტიტუციური მშენებლობა – გაუმჯობესდა 6 ადგილით და 69-ე პოზიციიდან მე-60 პოზიციაზე გადმოინაცვლა;

ინფრასტრუქტურა – გაუმჯობესდა 5 ადგილით და 73-ე პოზიციიდან 68-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

- **ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები** – გაუმჯობესდა 5 ადგილით და 94-ე პოზიციიდან 89-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. კომპონენტზე გავლენა იქონია საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებამ შემდეგ ქვეინდექსებში:

¹ www.economy.ge

უმაღლესი განათლება და ტრენინგები - გაუმჯობესდა 2 ადგილით და 90-ე პოზიციიდან 88-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა;

საფინანსო ბაზრის განვითარება - გაუმჯობესდა 9 ადგილით და 108-ე პოზიციიდან 99-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა;

ბაზრის სიდიდე - გაუმჯობესდა 1 ადგილით და 107-ე პოზიციიდან 106-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

- **ინოვაციები და განვითარება** – გაუმჯობესდა 4 ადგილით და 121-ე პოზიციიდან 117-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. აღნიშნულ კომპონენტზე გავლენა იქონია საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებამ შემდეგ ქვეინდექსებში:

ბაზრის განვითარება - გაუმჯობესდა 1 ადგილით და 111-ე პოზიციიდან 110-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა;

ინოვაცია - გაუმჯობესდა 7 ადგილით და 125-ე პოზიციიდან 118-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Sustainable Competitiveness Index). მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის მკვლევარებმა 2011-2012 წლების ანგარიშში დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას გრძელვადიან პერიოდში, რის გამოც შეიმუშავეს **მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი** (ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კონტექსტებით). **მდგრადი კონკურენტუნარიანობა (Sustainable Competitiveness)** განისაზღვრება, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს ქვეყნის მწარმოებლურობას იმ პირობით, რომ მომავალმა თაობამ აგრეთვე შეძლოს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

სხვა სიტყვებით რომ აღვწეროთ, ახალი ინდექსი მოიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უფრო მყარ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვის მიმართულებით. ახალი ინდექსი მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რომლებიც მოცემულია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში და მნიშვნელოვანია როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდებში (მაგ: მმართველობა, განათლება და ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ბაზარი, ინოვაციები), ასევე დამატებით მოიცავს იმ ასპექტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერიოდში (დემოგრაფია, სოციალური ერთობა და გარემოს სტრატეგიული მართვა). ამგვარად, **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივას აღწერს, ხოლო მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი კი - გრძელვადიანს.** მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსის ჩარჩო მოცემულია ცხრილში 1.3.3.

2011-2012 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში შესწავლილ ქვეყანებს შორის საქართველოს 88-ე ადგილი უკავია (რაც 5 პუნქტით მაღალია, ვიდრე გასული წლის 93-ე ადგილი), თუმცა ეს წინსვლა არ ასახულა კონკურენტუნარიანობის ამსახველ მაჩვენებელთა საერთო რაოდენობაში, მათი რიცხვი, როგორც გასულ წელს ისევ 114-დან 23 იყო. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ კონკურენტუნარიანობაზე მდგრადობის გავლენის მიხედვით საქართველო 70-ე ადგილზეა, რაც ნიშნავს, იმას რომ გავლენის ეფექტი დადებითია. ეს კი არ შეინიშნება აზერბაიჯანისა და სომხეთის მაჩვენებლებში.

ცხრილი 1.3.3. მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსის

მაჩვენებლები

Aადამიანური კაპიტალი	საბაზრო პირობები	ტექნოლოგია და ინოვაციები	პოლიტიკური გარემო და პირობები	გარემო პირობები
<ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება • უმაღლესი განათლება და ტრენინგები • სოციალური ერთობა 	<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზრის ეფექტიანობა • საფინანსო ბაზრის განვითარების ხარისხი • ბაზრის სიდიდე • სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა 	<ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური მზაობა • ბიზნესის განვითარების დონე • ინოვაციები 	<ul style="list-style-type: none"> • ინსტიტუტები • ინფრასტრუქტურა • მაკროეკონომიკური გარემო • გარემოს დაცვის პოლიტიკა 	<ul style="list-style-type: none"> • რესურსების ეფექტიანობა • განახლებადი რესურსების მართვა • გარემოს დეგრადაციის დონე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საქართველოსთვის აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის აგება როგორც გლობალური, ასევე მდგრადი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების მაღალი დონის მისაღწევად, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება მოკლე და საშუალოვადიან წარმატებას განაპირობებს, ხოლო მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსში შემავალი მაჩვენებლები კი, გრძელვადიან შედეგებზე აკეთებს აქცენტს. ნებისმიერი ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ მაშინაა ეფექტიანი, თუ ის გრძელვადიან დადებით შედეგებზე იქნება ორიენტირებული, რასაც ადასტურებს მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრების მიერ ორგანიზებული გამოკვლევები.

1.4. ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე გამოკვლევები*

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრში (ლოზანა)¹ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის საკითხს იკვლევენ საუკეთესო ეკონომიკური შედეგების მქონე ქვეყნების მასშტაბით და წელიწდეულებს პროფ. სტეფანე გარელის ხელმძღვანელობით 1989 წლიდან ამზადებენ. შესწავლილი ქვეყნების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და 2011 წლის ანგარიშში უკვე 59 ეკონომიკა იქნა შეფასებული. სამწუხაროდ, საქართველო ამ ქვეყანებს შორის არ არის და შესაბამისად ქართულ სამეცნიერო წრეებში კვლევის ეს სკოლა ნაკლებადაა ცნობილი.

ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის გამოსაკვლევად ცენტრში ანალიზებენ და ახასიათებენ ეროვნულ პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოს უნარს, რომელიც ხელს უწყობს დამატებული ღირებულების შექმნის სტაბილურ პროცესს. იგულისხმება, რომ კონკურენტუნარიანობა დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ დამატებული ღირებულების შექმნის მყარი პროცესის ხელშემწყობი ეკონომიკურ-სამართლებრივი გარემოს შექმნის უნარზე.

ლოზანის კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევებს ისტორიულ რაკურსში განვიხილავთ. 1998 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანო-


* პარაგრაფში მოცემული მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, კონკურენტუნარიანობის მიღწევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები გარდამავალ ქვეყნებში, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“, თსუ, 22-24 ოქტომბერი, 2008, გვ. 49-53.

¹ <http://www.imd.org>

ბის მოდელი და მასზე მოქმედი ფაქტორები მოცემულია სქემაზე 1.4.1¹. იმ დროისთვის გამოყვეს კონკურენტუნარიანობის 8 ძირითადი და 45 ქვეფაქტორი. ძირითადი ფაქტორები იყო: **1) ეროვნული ეკონომიკა** (ქვეფაქტორები: დამატებული ღირებულება, ინვესტიციები, დანაზოგები, მოხმარება, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ცხოვრების ღირებულება, პროგნოზები); **2) ინტერნაციონალიზაცია** (მიმდინარე საგადასხდელო ბალანსი, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, პორტფელური ინვესტიციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პროტექციონიზმი, ეკონომიკის გახსნილობა); **3) მთავრობა** (საგარეო და საშინაო ვალი, სამთავრობო ხარჯები, ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო აპარატის ეფექტიანობა, კანონიერება და უსაფრთხოება); **4) ფინანსები** (კაპიტალის ღირებულება, კაპიტალის არსებობა, საფონდო ბაზრის დინამიკა, საბანკო სექტორის ეფექტიანობა); **5) ინფრასტრუქტურა** (ძირითადი ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, საკუთარი ენერგორესურსებით უზრუნველყოფა, გარემო); **6) მენეჯმენტი** (მწარმოებლობა, შრომაზე დანახარჯები, საწარმოს საქმიანობის მაჩვენებლები, მენეჯმენტის ეფექტიანობა, კორპორატიული კულტურა); **7) მეცნიერება და ტექნოლოგიები** (დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, სამეცნიერო-კვლევითი კადრები, ტექნოლოგიური მენეჯმენტი, სამეცნიერო გარემო, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა); **8. ადამიანური რესურსები** (დემოგრაფიული მაჩვენებლები, სამუშაო ძალა, დასაქმება და უმუშევრობა, განათლების სტრუქტურა, ცხოვრების დონე, საზოგადოებრივი ფასეულობები).

¹ Куликов Г. В., Японский менеджмент и теория международной конкурентоспособности, М., 2000, с. 201.

ბოლო ათი წლის მანძილზე კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები კიდევ უფრო დაიხვეწა. 2011 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ამსახველ ყოველწლიურ გამოცემაში ის ფაქტორთა ოთხ ძირითად ჯგუფში გაერთიანდა (მიღებული შედეგები ეყრდნობა 331 კრიტერიუმს, რომელთა 2/3 სტატისტიკური მონაცემებია, ხოლო 1/3 - ცნობილ მენეჯერთა პირადი გამოკითხვის ანალიზი; კვლევა მიმდინარეობდა 50-ზე მეტ პარტნიორ საერთაშორისო ინსტიტუტთან ერთად).¹



ეს ფაქტორები და ქვეფაქტორებია:

1. ეკონომიკის მიღწევები (შეისწავლება 78 კრიტერიუმის მიხედვით,

¹ www.imd.org

ხოლო ქვეფაქტორებია: შიდა ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, დასაქმება, ფასები).

2. სამთავრობო ღონისძიებების ეფექტიანობა (71 კრიტერიუმი, ქვეფაქტორებია: სახელმწიფო ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, ინსტიტუციური ჩარჩო-სტრუქტურა, ბიზნესის კანონმდებლობა, სოციალური სტრუქტურა);

3. ბიზნესის ეფექტიანობა (68 კრიტერიუმი; ქვეფაქტორებია: მწარმოებლურობა, შრომის ბაზარი, ფინანსები, მენეჯმენტის პრაქტიკა, დამოკიდებულებები და ფასეულობები);

4. ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები (114 კრიტერიუმი; ქვეფაქტორებია: ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და გარემოს დაცვა, განათლება). აღნიშნული კრიტერიუმები მოცემულია დანართში 2.

ევროპელ მკვლევართა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სწავლობს კონკურენტუნარიანობის გამომწვევ მექანიზმს და არა მის შედეგს და საამისოდ გვთავაზობს ორი თეორიის გამოყენებას: **კუბის თეორიას (Cube theory)** და **მ. პორტერის ალმასის წესის თეორიას (Michael Porter's Diamond theory)**, რომლის ოთხ კომპონენტს ლოზანის სკოლის წარმომადგენლები უმატებენ მთავრობისა და შემთხვევის (შანსის) მნიშვნელობას.

კუბის თეორიით განისაზღვრება კონკურენტუნარიანობის **ოთხი ძალა**: **მიმზიდველობა - ეკონომიკური აგრესიულობის საპირისპიროდ; აქტივები - განვითარების პროცესების საპირისპიროდ; ბაზრების სიახლოვე - გლობალურობის საპირისპიროდ; რისკის გაწევა - სოციალური პასუხისმგებლობის საპირისპიროდ.** როგორც პროფ. ს. გარელი წერს თავის სტატიაში - „კონკურენტუნარიანობა 20 წლის შემდეგ“¹ კონკურენტუნარიანობის კუბის ფრონტალური ზედაპირი მოიცავს ერთი წლის განმავლობაში კონკურენტუნარია-

¹ <http://www.imd.org>

ნობის გენერირების აღწერას. კუბის სიღრმე წარმოადგენს დროის განმავლობაში აკუმულირებული კონკურენტუნარიანობის ილუსტრირებას და შესაბამისად, ქვეყნის სიმდიდრესაც. მაგალითად, 40 წლის სახელმწიფო სინგაპური არის საკმაოდ კონკურენტუნარიანი (2011 წ. მას მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში მე-3 ადგილი ეკავა)¹, თუმცა აისახება ნაკლები ოდენობით აკუმულირებული სიმდიდრით, რაც განსაზღვრავს მისი კუბის ფორმას, ფართო ფრონტალური ნაწილი და ნაკლები სიღრმე. აღნიშნულის საპირისპიროდ, სინგაპურისგან განსხვავებით, შვეიცარია (მე-5 ადგილი) ნაკლები სისწრაფით ვითარდება, თუმცა გაცილებით დიდი ისტორიის მატარებელია: მისი კუბი გაცილებით ნაკლებ ფრონტალურ ნაწილს მოიცავს, თუმცა, აღნიშნება მეტი სიღრმით.²

სქემაზე 1.4.2 მოცემულია მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კუბი 2011 წლისთვის (**Competitiveness Cube**),³ სადაც კარგად ჩანს ეკონომიკის მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორების სინერგიული ზემოქმედების შედეგად კონკურენტუნარიანობის მიღწევის შესაძლებლობები მიკრო და მაკრო დონეზე (კომპანიებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე).

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის შეფასების გამოთვლის მეთოდიკა*. ქვეყნების კონკურენტუნარიანობის კვლევის ზემოაღნიშნული ცენტრების მიერ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გამოსათვლელად შემუშავებული ინდექსები და მაჩვენებლები ყოველწლიურად იხვეწება. ასევე იზრდება გამოკვლეული ქვეყნების რაოდენობა, ხოლო კვლევის გა-


¹ <http://www.imd.org>

² <http://www.imd.org>

³ <http://www.imd.org>

* მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, მსოფლიო, გლობალური და მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსების შესახებ, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები", თსუ, თბ., 2012, გვ. 43-49.

მოცდილება და სამეცნიერო პაექრობა აისახება ცენტრების მიერ მომზადებულ წელიწდეულებში.



მსოფლიო კონკურენტუნარიანობის წელიწდეული (IMD World Competitiveness Yearbook) არის ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანი და დაწვრილებითი ყოველწლიური ანგარიში ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შესახებ. ანგარიშში ქვეყნები შერჩეულია მსოფლიო ეკონომიკაზე მათი გავლენისა და მათზე არსებული ინფორმაციის საერთაშორისო სტატისტიკასთან თავსებადობის გათვალისწინებით. ცალკეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლის განსაზღვრის ზოგადი სტრუქტურა მოცემულია სქემაზე 1.4.3.


კვლევაში გამოყენებული კრიტერიუმები შერჩეულია ეკონომიკური ლიტერატურის, საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული რესურსებისა და ბიზნესის წარმომდგენელთა გამოკითხვის შედეგად. სქემიდან 1.4.3 ჩანს, რომ კრიტერიუმებს შორის 132 ძირითადი სტატისტიკური მონაცემებია, 116 - გამოკითხვის შედეგები (2011 წელს თითოეულ ქვეყანაში გამოკითხა საშუალოდ 84 რესპონდენტი), ხოლო 83 მაჩვენებელი ე.წ. „უკანა ფონის“ მაჩვენებელია. ისინი არ ჩანს კრიტერიუმების ჩამონათვალში, მაგრამ გამოთვლები მიმდინარეობს მათზე დაყრდნობით.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის შეფასებაში გამოყენებული კრიტერიუმების უმეტესობა გამოითვლება სხვადასხვაგვარად, შესადარისი სტანდარტული სკალირება გამოიყენება ფაქტორების, ქვეფაქტორებისა და საერთო შედეგების გამოსათვლელად. **სტანდარტული გადახრის მეთოდი - სგმ (Standard Deviation Method - SDM)** აფასებს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის მაჩვენებლებს შორის შეფარდებით განსხვავებას, შედეგად, თითოეული ქვეყნის საბოლოო ქულა მეტი სიზუსტითაა გამოთვლილი.

დასაწყისში ყოველი კრიტერიუმისთვის გაიანგარიშება შესაბამისი ქვეყნების მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა, ხოლო სტანდარტული გადახრა გამოითვლება ფორმულით:

$$S = \sqrt{\frac{\sum(x-\bar{x})^2}{N}} \quad (1.4.1)$$

ბოლო ეტაპზე ყოველი ეკონომიკისთვის სკალირებაში გამოყენებული ყველა შესაფასებელი კრიტერიუმის მიხედვით გამოითვლება სტანდარტული გადახრის მნიშვნელობა. იგი გაიანგარიშება შესასწავლი ქვეყნის ეკონომიკის საწყისი საშუალო მნიშვნელობიდან, საბოლოო შედეგი კი, მიიღება სტანდარტული გადახრის გამოყენებით.



i ეკონომიკისთვის სტანდარტული გადახრის მნიშვნელობა გამოითვლება ფორმულით:

$$(STD)_i = \frac{x - \bar{x}}{S}, \quad (1.4.2)$$

სადაც, (1.4.1) და (1.4.2) ფორმულებისთვის:

S – არის სტანდარტული გადახრა;

x – ქვეყნის ეკონომიკის რაიმე მაჩვენებლის საწყისი მნიშვნელობა;

\bar{x} – ქვეყნის ეკონომიკის რაიმე მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობა;

N – შესწავლილი ქვეყნების რაოდენობა.

თითოეული კრიტერიუმისთვის ცალ-ცალკე გამოითვლება სტანდარტიზებული მნიშვნელობები. ძირითადი მონაცემების ინდიკატორები მოწმდება განაწილების ფორმის განსასაზღვრად. არასტანდარტული მონაცემების მიღების შემთხვევაში გამოიყენება ლოგარითმი, რომლებსაც შემდგომში სტანდარტული გადახრის გამოსათვლელად იყენებენ.

თითოეული ქვეფაქტორის რეიტინგი განისაზღვრება იმ კრიტერიუმის საშუალო გადახრის მნიშვნელობით, რისგანაც შედგება აღნიშნული ქვეფაქტორი (უკანა ფონის არსებული კრიტერიუმების ჩათვლით). ყველა მაჩვენებლის წონა 1-ის ტოლია. გამოკვლევის მასალების ხვედრითი წონა მთლიანი ქულის 1/3-ს შეადგენს. 20 ქვეფაქტორიდან თითოეულის წონაა 5%, ვინაიდან მიღებულია, რომ თითოეული ქვეფაქტორის ზემოქმედება ეკონომიკის ფუნქციონირებაზე თანაბარია. ამ სახით სტანდარტიზებული მონაცემები საბოლოოდ ჯამდება ქვეყნის საბოლოო სარეიტინგო ქულაში. გასათვალისწინებელია, რომ კონკურენტუნარიანობის ზემოჩამოთვლილი ოთხი ფაქტორიდან, თითოეულის მნიშვნელობა მხოლოდ ერთი ქვეყნისთვისაა 100-ის ტოლი და მხოლოდ ერთი მათგანისთვისაა 0-ის ტოლი. დანარჩენი გამოკვლეული ქვეყნების მაჩვენებლები გაიანგარიშება მათთან შედარების საფუძველზე. რესპონდენტთა გამოკითხვის დროს თითოეულ კითხვაზე პასუხი ვარიირებს 1-6 ქულებს შორის, სადაც 1 ყველაზე ცუდი მაჩვენებელია, ხოლო 6 – საუკეთესო. მიღებული შედეგები პირველ ეტაპზე გადაიყვანება 1-10 ქულიან სკალაში და შემდეგ გამოითვლება სტანდარტული გადახრა.

ტენდენციის ან ზრდის ტემპის გამოთვლა, ან უფრო დინამიკური შეფასების შეთავაზება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად ეკონომიკის შეფარდებითი უპირატესობა ან ნაკლი, ასევე შეფასებულია რაიმე მომენტისთვის. ტენდენციისა და ზრდის ტემპის გამოსათვლელად გამოიყენება ქვემოთ მოცემული ფორმულები

1. ყოველწლიური რეალური ზრდის დონე (i - ინფლაციის დონე):

$$\left(\frac{\text{მნიშვნელობა}_{\text{წელი}}}{\text{მნიშვნელობა}_{\text{წელი}-1} \left(1 + \frac{i_{\text{წელი}}}{100} \right)} - 1 \right) \times 100 \quad (1.4.3)$$

2. ზრდის ყოველწლიური საშუალო დონე (პროცენტებში, $n =$ პერიოდების რაოდენობა):

$$\frac{\frac{\text{მნიშვნელობა}_{\text{წელი-}n} - \text{მნიშვნელობა}_{\text{წელი-1}}}{\text{მნიშვნელობა}_{\text{წელი-1}}} + \frac{\text{მნიშვნელობა}_{\text{წელი-1}} - \text{მნიშვნელობა}_{\text{წელი-2}}}{\text{მნიშვნელობა}_{\text{წელი-2}}} + \dots}{n-1} \times 100 \quad (1.4.4)$$

თუმცა, აღნიშნული ფორმულის გამოყენების პირობები მკაცრად შეზღუდულია. მუდმივ ფასებში გამოსახული საბოლოო მნიშვნელობა (ღირებულება) იმ პირობით, რომ აღებული იქნება 5 წლიანი პერიოდის მაჩვენებლები, გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{მნიშვნელობა}_{\text{წელი}}}{\left(1 + \frac{i_{\text{წელი-4}}}{100}\right) \times \left(1 + \frac{i_{\text{წელი-3}}}{100}\right) \times \dots \times \left(1 + \frac{i_{\text{წელი}}}{100}\right)}, \quad (1.4.5.)$$

სადაც, i ინფლაციის დონეა.

ამგვარად, ჩვენ ზოგადად დავახასიათებთ ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რანგის შეფასების კრიტერიუმების გამოთვლის მეთოდოლოგიას, რითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა კოლოსალურ შრომას ეწევიან ცენტრები ანგარიშებისა თუ წელიწდეულების მომზადების პროცესში.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის პრინციპები და წესები*. პროფ. ს. გარელიმ კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ზემოჩამოთვლილი ოთხი ფაქტორის მიხედვით ჩამოაყალიბა ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის პრინციპები, კერძოდ¹:

I. ეკონომიკის მიღწევები:

1. ქვეყნის კეთილდღეობაში ასახულია მისი ეკონომიკის მიღწევები წარსულში;

* მასალა ეყრდნობა: ი. გაგნიძე, ქვეყნების მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევების შესახებ, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები", თსუ, 5 ნოემბერი, 2009, გვ. 14-19.

¹ www.imd.org

2. საბაზრო ძალების მიერ რეგულირებული და მართული კონკურენცია აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკის მიღწევებს;
3. შიდა ეკონომიკაში ფირმებს შორის არსებული მძაფრი კონკურენციის შედეგად მოსალოდნელია მათი მაღალი კონკურენტუნარიანობა გარე ბაზრებზე;
4. საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნის წარმატება აისახება შიდა ფირმების კონკურენტუნარიანობაზე (ვაჭრობის ბარიერების არარსებობის პირობებში);
5. საერთაშორისო ეკონომიკისადმი გახსნილობა ამაღლებს ქვეყნის ეკონომიკის მიღწევებს;
6. საერთაშორისო ინვესტიციები ეკონომიკური რესურსების მსოფლიო მასშტაბით უფრო ეფექტიანად განთავსებას უწყობს ხელს;
7. ექსპორტზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანობა ხშირად უკავშირდება ზრდაზე ორიენტირებას შიდა ეკონომიკაში.

II. სამთავრობო ღონისძიებათა ეფექტიანობა:

1. სახელმწიფოს ჩარევა ბიზნესსაქმიანობაში უნდა იყოს მინიმალური და ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ფორმირებას;
2. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი მაკროეკონომიკური გარემო და სოციალური პირობები, რაც იქნება პროგნოზირებადი და მინიმუმამდე დაიყვანს საწარმოთა გარე რისკებს;
3. სახელმწიფო უნდა იყოს მოქნილი საიმისოდ, რომ მოახდინოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის ადაპტირება ცვალებად საერთაშორისო გარემოსთან;
4. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც აამაღლებს მიუკერძოებლობას, თანასწორუფ-

ლებიანობასა და სამართლიანობას მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

III. ბიზნესის ეფექტიანობა:

1. ეფექტიანობა, ცვალებად კონკურენციულ გარემოსთან ადაპტირების უნართან ერთად, ის მენეჯერული ატრიბუტია, რაც გადამწყვეტია საწარმოთა კონკურენტუნარიანობისთვის;
2. ფინანსები ხელს უწყობს დამატებული ღირებულების შექმნას;
3. ქვეყანაში კარგად განვითარებული, საერთაშორისო პირობებთან ინტეგრირებული, საფინანსო სექტორი ხელს უწყობს მის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას;
4. ცხოვრების პირობების მაღალი სტანდარტები მოითხოვს ინტეგრაციას საერთაშორისო ეკონომიკასთან;
5. მეწარმეობა სასიცოცხლოდ აუცილებელია ეკონომიკური აქტიურობის საწყის ფაზაში;
6. კვალიფიციური სამუშაო ძალა ამაღლებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას;
7. მწარმოებლურობა აისახება დამატებული ღირებულების შექმნაში;
8. სამუშაო ძალის ურთიერთდამოკიდებულება ზემოქმედებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე.

IV. ინფრასტრუქტურა:

1. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ეფექტიანი ბიზნესის სისტემების ჩათვლით, ხელს უწყობს ეკონომიკურ აქტივობას;
2. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ასევე მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ქმნის პირობებს გარემოს ეფექტიანად დასაცავად;

3. კონკურენციული უპირატესობა შეიძლება შეიქმნას არსებული ტექნოლოგიების ეფექტიანი და ინოვაციური გამოყენებით;
4. ინვესტირება და საინოვაციო აქტივობა ფუნდამენტურ გამოკვლევებში ქმნის ახალ ცოდნას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად;
5. კვლევასა და განვითარებაში გრძელვადიან ინვესტიციებს შეუძლია აამალოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობა;
6. ცხოვრების ხარისხი ქვეყნის მიმზიდველობის ნაწილია;
7. ადეკვატური და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსები ხელს უწყობს ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებას.

პროფ. სტეფანე გარელიმ ნაციონალური კონკურენტუნარიანობის კვლევის ოცწლიანი გამოცდილების შედეგად ჩამოაყალიბა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ოქროს 10 წესი*:

1. შექმენით მყარი და წინასწარგანჭვრეტადი კანონმდებლობა და მართვის გარემო;
2. უზრუნველყავით სისწრაფე, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მართვაში, აგრეთვე, ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
3. გააგრძელეთ ინვესტირება ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ორივე მიმართულებით: ეკონომიკა (გზები, ტელეკომუნიკაციები და ა.შ.) და სოციალური სფერო (ჯანდაცვა, განათლება, საპენსიო უზრუნველყოფა, და სხვა);

* მასალა ეყრდნობა: ი. გაგნიძე, ნაციონალური კონკურენტუნარიანობა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირების პოლიტიკა, თსუ, ინოვაციების ცენტრი, უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - "მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო", თბ., 2009, გვ. 180-183.

4. გააძლერეთ საშუალო ფენა: ძირითადი რესურსი ქვეყნის აყვავებისა და გრძელვადიანი სტაბილურობისათვის;
5. განავითარეთ კერძო საკუთრების საშუალო ზომის საწარმოები - ეკონომიკის მრავალფეროვნების ძირითადი ელემენტი;
6. ხელი შეუწყვეთ ბალანსის არსებობას ხელფასის დონეს, მწარმოებლურობასა და გადასახადებს შორის;
7. განავითარეთ ადგილობრივი ბაზრები კერძო დანაზოგებისა და შიდა ინვესტიციების წახალისებით;
8. დააბალანსეთ საერთაშორისო ბაზრების აგრესიულობა დამატებული ღირებულების შექმნის მიმზიდველობასთან;
9. აწონდაწონეთ გლობალიზაციის უპირატესობები და ქვეყნის სოციალური ერთობისა და მისი ღირებულებითი სისტემის შენახვის მოთხოვნები;
10. ყოველთვის დაუბრუნეთ წარმატებული კონკურენტუნარიანობის შესამჩნევი კვალი მოქალაქეებს, ყველა მათგანის კეთილდღეობის მაღალი დონის უზრუნველყოფით.¹

ვფიქრობთ, ზემოაღწერილი მსოფლიო კონკურენტუნარიანობის შემსწავლელი ცენტრის მიერ შემოთავაზებული კვლევის მეთოდები, კონკურენტუნარიანობის პრინციპები და წესები კარგად ასახავს იმ ძირითად მიმართულებებს, რასაც ჩვენი აზრით, სასურველია ითვალისწინებდეს ნებისმიერი ეკონომისტი, ვისაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება ევალება.

¹ <http://www.imd.org>.

ნაწილი II. კლასტერები

2.1. კლასტერების თეორიის ჩამოყალიბების შესახებ*

გლობალიზაცია კომპანიებს საშუალებას აძლევს მიიღონ კაპიტალი, პროდუქტი და ტექნოლოგიები ნებისმიერი ადგილიდან. ფიქრობენ, რომ კონკურენციაზე სამთავრობო გავლენა გაცილებით ნაკლებია მსოფლიო მასშტაბებით მოქმედ ძალებთან შედარებით. ნაშრომში "ერების კონკურენციული უპირატესობები" (1990), პროფ. მაიკლ პორტერმა ჩამოაყალიბა ნაციონალური, სახელმწიფო და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის თეორია მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტით. ამ თეორიაში კლასტერებს ეთმობა წამყვანი როლი.

კლასტერი - ესაა გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული და მომსახურების მიმწოდებლების, შესაბამისი დარგების ფირმათა ჯგუფები, აგრეთვე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (უნივერსიტეტები, სტანდატიზაციის სააგენტოები, სავაჭრო ორგანიზაციები და სხვ.) განსაზღვრულ სფეროებში კონკურენტები, მაგრამ ამასთან ერთობლივად მომუშავენი.

კლასტერის ფენომენი ამა თუ იმ ფორმით აღიარებული და შესწავლილი იყო რიგ ნაშრომში. თუმცა, მისი გაგება შეუძლებელია, თუ მას განიხილავ კონკურენციის თეორიის უფრო ფართო ხედვისა და გლობალურ ეკონომიკაში ადგილმდებარეობის მნიშვნელობის ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად. იმის მიუხედავად, რომ გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით კლასტერების აღმოცენების მიზეზების მნიშვნელობა

* პარაგრაფში მოცემული მასალა კონსპექტური სახისაა და მთლიანად ეყრდნობა: მაიკლ პორტერ, Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002, с.162-279


სულ უფრო მცირდება, შეიმჩნევა კლასტერების ახალი როლი, რაც თავის მხრივ ეფუძნება სამეცნიერო ცოდნასა და დინამიკურ ეკონომიკას.

კლასტერის კონცეფცია წარმოადგენს ნაციონალური ეკონომიკის ხედვის ახალ საშუალებას. ეს ეხება აგრეთვე შტატის, რეგიონის და ქალაქის ეკონომიკას, მიუთითებს კომპანიების, მთავრობისა და ორგანიზაციების ახალ როლზე კონკურენციული უპირატესობების მიღწევის პროცესში.

კლასტერის თეორიის გარშემო ცოდნა ფართოვდება, რამაც გამოიწვია ინიციატივების ზრდა ფორმალური კლასტერების შექმნის მიმართულებით ქალაქის, შტატის, ქვეყნისა და რეგიონის დონეზე. კლასტერი წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ექსპორტის გაზრდასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. ის ქმნის ფორუმს, რომელშიც დიალოგი შეუძლია, ფირმებს, სამთავრობო სააგენტოებსა და ორგანიზაციებს (როგორცაა სკოლები, უნივერსიტეტები, საზოგადოებრივი დანიშნულების საწარმოები). სქემა 2.1.1 ასახავს კალიფორნიელ ღვინისმწარმოებელთა კლასტერს.

ბუნებრივია, სქემატური გამოსახვა ვერ მოიცავს ყველა კომპონენტს, რომლისგანაც შედგება არსებული კლასტერი, თუმცა, იგი მაინც გვიჩვენებს მის მნიშვნელოვან კავშირებს. ეს დარგები იყენებენ საერთო საბაზრო გარემოს და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს სავაჭრო მარკის მსგავს იმიჯსა და მომხმარებელთა სეგმენტებში. სხვა კლასტერები მოიცავს, როგორც დიდ, ასევე მცირე ფირმებს (მაგ: ჰოლივუდი ან კლასტერი გერმანულ ქიმიურ მრეწველობაში). ზოგიერთები ორიენტაციას აკეთებს უნივერსიტეტების კვლევით შესაძლებლობებზე, იმ დროს, როცა სხვებს არ აქვთ მნიშვნელოვანი კავშირები უნივერსიტეტებთან.

კლასტერების საზღვრები მუდმივად იცვლება ახალი ფირმებისა და დარგების გამოჩენასთან ერთად, აგრეთვე, არსებული დარგების შემცირებისა და დაცემის, ადგილობრივი ორგანიზაციების განვითარებასა და შეცვლასთან ერთად.



რატომ უნდა განვიხილოთ ეკონომიკა კლასტერების პრიზმიტ და არა კომპანიების, დარგების, სექტორებისა და დაჯგუფების სახით, როგორცაა წარმოება ან მომსახურება? უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტის გამო, რომ კლასტერი უკეთესად ეთანაწყობა კონკურენციის ხასიათსა და კონკურენციული უპირატესობების მიღწევის წყაროებს.

კლასტერები კონკურენციულ ბრძოლაზე გავლენას ახდენს სამი საშუალებით:

1) მასში შემავალი დარგებისა და ფირმების მწარმოებლურობის ამაღლებით;

2) ინვესტიციების მოზიდვითა და ამგვარად, მწარმოებლურობის ამაღლებით;

3) ახალი ბიზნესის სტიმულირების საშუალებით, რაც ხელს უწყობს ინოვაციებს და კლასტერის საზღვრების გაფართოებას.

კლასტერების წარმოშობა, ევოლუცია და დაცემა. აღმასის წესის სხვადასხვა მხარეში შეიძლება გამოვიცნოთ კლასტერების აღმოცენების წინაპირობები, რაც ისტორიულად ჩნდება მოცემულ რეგიონში. კომპანიის შექმნის ერთ-ერთი მამოძრავებელია ისეთი ფაქტორების საერთო ფონდთან ხელმისაწვდომობა, როგორცაა - სპეციალიზებული ჩვევები, საუნივერსიტეტო კვლევების წარმართვა, მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობა ან მოცემული შემთხვევებისათვის კარგი ან შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მაგალითად, მასაჩუსეტსის შტატის მრავალი კლასტერი სათავეს იღებს ჰარვარდში წარმოებული კვლევებით. დანიური სატრანსპორტო კლასტერი დიდადაა დამოკიდებული ევროპის ცენტრში ყოფნასთან, წყალზე გადაზიდვების ქსელი როტერდამში და მისი ეფექტიანობა დაკავშირებულია იმ ცოდნასთან, რაც დანიელებმა ზღვაზე ცურვის ისტორიული გამოცდილებით დააგროვეს.

კლასტერები შეიძლება აღმოცენდეს უჩვეულო, რთული და მაღალი ადგილობრივი მოთხოვნის შედეგად. მაგალითად: ირიგაციული მოწყობილობების და სხვა პროგრესული სასოფლო - სამეურნეო ტექნოლოგიების მწარმოებელი ისრაელის კლასტერი წარმოიშვა ქვეყნის სურვილის კვალობაზე უზრუნველყო საკუთარი თავი კვების პროდუქტებით უწ-

ყლობისა და ცხელ კლიმატურ პირობებში.

გარემოსდაცვითი კლასტერი ფინეთში აღმოცენდა მისი დაბინძურების პრობლემის შედეგად, რაც გამოიწვია ადგილობრივი გადამამუშავებელი დარგების საქმიანობამ (მაგალითად: ლითონდამამუშავებელი და ხის მრეწველობა, ქიმიკატების წარმოება, ენერგეტიკა), ანალოგიურად აღმოცენდა კლასტერი დიდ პიტსბურგში.

შემთხვევითობის ფაქტორს განსაკუთრებული როლი ენიჭება, თუმცა ის საჭიროა გეოგრაფიულ მდებარეობასთან კავშირში. უფრო მეტიც, როცა შემთხვევითობას ეთმობა მთავარი როლი განვითარების ახსნაში, ის ერთადერთი არასოდესაა. გეოგრაფიული მდებარეობის გავლენა ამაღლებს არა მარტო შემთხვევითობის აღმოცენების ალბათობას, არამედ იმის ალბათობასაც, რომ შემთხვევითი მოვლენა იწვევს კონკურენტუნარიანი ფირმების და დარგების აღმოცენებას. მხოლოდ შემთხვევითობით, თითქმის არასოდეს შეიძლება აიხსნას, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა კლასტერების აღმოცენება და რატომ შეინიშნება შემდგომში მათი განვითარება და ზრდა.

კლასტერების განვითარებაზე მიმართული ადეკვატური პოლიტიკა, უნდა აიგოს არსებული ან აღმოცენებული დარგების განვითარებით, რომელიც ბაზარმა უკვე გამოსცადა.

ჯანსაღ და სიცოცხლისუნარიან კლასტერში, ფირმების საწყისი კრიტიკული მასა აძლიერებს თვითგამლიერების პროცესს, რომელშიც ჩნდება ადგილობრივი სპეციალიზებული მიმწოდებლები; გროვდება ინფორმაცია; ადგილობრივ ინსტიტუტებში იწყება სპეციალური მომზადება, მიმდინარეობს კვლევები, ვითარდება ინფრასტრუქტურა და მუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, ამასთან კლასტერი ხდება უფრო შესამჩნევი და იზრდება მისი პრესტიჟი.

კლასტერების სრულყოფის პოლიტიკა ხშირად იცვლება. მრავალი კერძო შემთხვევის გამოკვლევის დროს შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ სიღრმეში განვითარებისა და რეალური კონკურენციული უპირატესობის მისაღწევად, კლასტერებს სჭირდებათ 10 ან მეტი წელი – ესაა ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, თუ რატომაა, რომ მთავრობები 4-წლიანი საარჩევნო პერიოდის გამო, არ არიან დაინტერესებულნი შექმნან კლასტერი.

კლასტერების ურთიერთგადაკვეთა გვიჩვენებს მათი განვითარების განსაზღვრულ იმპულსებს, როგორცაა: სხვადასხვა იდეა, უნარები, ჩვევები და ტექნოლოგიები, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა კლასტერისათვის, რომელთა ურთიერთგადაკვეთა იწვევს ბიზნესის ახალი მიმართულებების წარმოქმნას. რიგი გადამკვეთი კლასტერის არსებობა კიდევ უფრო ამცირებს ბიზნესში შესვლის ბარიერებს, ვინაიდან ასეთი შესვლის შესაძლებლობები უზრუნველყოფილია ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით. განსხვავებები აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში, ასტიმულირებს ინოვაციებს. როგორც ნაციონალურ, ასევე გლობალურ ეკონომიკაში კლასტერების განვითარება შეიძლება დაჩქარდეს მასში მონაწილეთა ჩართვით სხვა ქვეყნებიდან. მწარმოებლები ან ინდივიდები, ვისაც აქვს საკუთარი იდეა, მიგრირებენ ასეთი კლასტერის რეგიონში, ვინაიდან ზრდადი კლასტერი სიგნალია შესაძლებლობის არსებობის შესახებ. კლასტერში წარმატების მიღწევის შემთხვევები აღვივებს დაინტერესებას ყველაზე ნიჭიერი ადამიანების მხრიდან.

კლასტერი, რომელშიც მრავალი მონაწილე კონკურირებს გლობალურ მასშტაბებში, უფრო ჯანსაღია, ვინაიდან ეს არა მხოლოდ ახალ შესაძლებლობებს ხსნის ზრდისათვის, არამედ ამდიდრებს ცოდნით და ასტიმულირებს ახალი იდეების აღმოცენებას. უპირატესობის შენარჩუნე-

ბის მიზნით, კლასტერის მონაწილეთა ლოკალიზაციაზე მიმართული ნებისმიერი ძალისხმევა, გამოიწვევს განვითარების არასწორ მიმართულებას და უარყოფითად იმოქმედებს მწარმოებლურობაზე.

აღმოცენებული კლასტერი ვერ განვითარდება, თუ ბაზარზე მოქმედი ძალები და აქ აღწერილი უკუკავშირები იქნება სუსტი ან არ იმუშავებს. მაგალითად, ადგილობრივ ინსტიტუტებს შეიძლება ჰქონდეს სხვა ამოცანები, კლასტერთან დაკავშირებული უცხოური ინვესტიციები შეიძლება დაბლოკილი იყოს მთავრობის პოლიტიკით, დომინირებულმა ფირმებმა ან კლასტერებმა შეიძლება არ მიიღონ ახალი კონკურენცია, ძირითადი მიმწოდებლები შეიძლება სხვა ადგილზე მუშაობდნენ, ხელოვნურმა ბარიერებმა ახალი საქმის წამოწყების გზაზე შეიძლება შეასუსტოს კონკურენცია და შეანელოს განახლებისა და სპეციალიზაციის პროცესები.

პრინციპში, კლასტერი კონკურენტუნარიანი შეიძლება დარჩეს ასწლეულების მანძილზე, ხოლო ის, რომელიც აღწევს ნაკლებ წარმატებას, ყვავის სულ ცოტა ათწლეულების მანძილზე მაინც. თუმცა, სწორედ ისე, როგორც არ არის გარანტირებული კლასტერის განვითარება, არაა გარანტირებული მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

კლასტერის დასუსტების და დაცემის მიზეზები შეიძლება დაჯგუფდეს ორ დიდ კატეგორიად: **ენდოგენური** მიზეზები, რომელიც თავისთავად ლოკალიზაციის შედეგია და **ეგზოგენური**, დაკავშირებულია კლასტერის გაფართოებასთან ან გარემოში ნაპრალების გამოჩენასთან.

დაცემის ენდოგენური მიზეზია კლასტერის შიდა მოუქნელობა, რაც ამცირებს მწარმოებლურობას და აჩერებს ინოვაციებს. გაერთიანების შემზღვევით წესების შემოღება ან კანონმდებლობის მოუქნელობა განაპირობებს მწარმოებლურობის ზრდის შენელებას. მომეტებულმა კონსოლიდა-

ციამ, ურთიერთგაგებამ, კარტელების ან კონკურენციის სხვა ბარიერმა შეიძლება დაანგროს ლოკალური შეჯიბრება. ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა სკოლები და ინსტიტუტები, შეიძლება განიცდიდნენ საკუთარ მოუქნელობას და უუნარო აღმოჩნდნენ სრულყოფისა და ცვლილებების ასპექტით. კლასტერის წევრთა ჯგუფური აზროვნება მოქნილობის დაკარგვის კიდევ ერთი ფორმაა. კლასტერებში ასეთ მოუქნელობას აქვს ტენდენცია აღმოცენდეს იმ რეგიონებში, სადაც მთავრობა აჩერებს კონკურენციულ ბრძოლას ან ერევა მასში. შიდა სიხისტის აღმოცენებისას სრულყოფისა და განახლების ტემპი კლასტერში მცირდება. დანახარჯების ზრდა ბიზნესისათვის სპობს სრულყოფის უნარს. ასეთმა სიხისტემ, თავის დროზე გარკვეული ზიანი მიაყენა გერმანიასა და შვეიცარიას.

კლასტერების სიჯანსაღის დასტურია **განახლების სისწრაფე**. კლასტერი, რომელშიც ჩაიდება ინვესტიციები და მიმდინარეობს განახლება მისი ბაზირების ადგილზე, გაცილებით ნაკლები ალბათობით აღმოჩნდება დაცემის სტადიაში, ვიდრე ის კლასტერი, რომელიც მწარმოებლურობას ამალღებს საქმიანობის შეკვეცისა და რესურსების გარედან უზრუნველყოფით.

მთავრობის როლი. ეკონომიკაში მთავრობის ძირითადი მისიაა მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა. მთავრობა ამას ახორციელებს მყარი სამთავრობო ორგანიზაციების შექმნით, რომლებიც თანხმობაშია ეკონომიკის საბაზო სტრუქტურებთან, აგრეთვე, მაკროეკონომიკაში მყარი პოლიტიკის გატარებით, რომელიც ასევე მოიცავს სიფრთხილეს საფინანსო საკითხებსა და ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებაში.

სამთავრობო საქმიანობაში **მეორე ადგილზე** დგას მიკროეკონომიკის დონეზე საერთო მწარმოებლურობის ზრდა, საერთო მიზნობრივი დაბან-

დებების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საშუალებით იმ საქმიანობათა სახეობებში, რომელიც წარმოდგენილია "ალმასში" (განათლებული სამუშაო ძალის მიღება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, ეკონომიკური ინფორმაციის მისაღებად სიზუსტისა და თანადროულობის უზრუნველყოფა). საწარმოო ფაქტორები ყველა ეკონომიკაში წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც შენდება სხვა დანარჩენი. გამოკვლეულია, რომ უფრო გადაწყვეტია სამთავრობო ზეგავლენა მიკროეკონომიკურ დონეზე.

მთავრობის მესამე ფუნქციაა მიკროეკონომიკის დონეზე საერთო სამოქმედო წესების დადგენა და იმ მოტივების აღმოცენება-დამკვიდრება, რაც მართავს კონკურენციულ ბრძოლას იმდაგვარად, რომ მან განაპირობოს მწარმოებლურობის ზრდა. ასეთი წესები და სტიმულები გულისხმობს კონკურენციის პოლიტიკასაც, რომელიც იწვევს შეჯიბრის გაძლიერებას, საგადასახადო სისტემის და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კანონმდებლობის გაუმჯობესების საფუძველზე განაპირობებს ინვესტირებას, გასაგები და ეფექტიანი საკანონმდებლო სისტემა, კანონები, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, კორპორაციული მართვის წესებს, რომელთა შესაბამისად მენეჯერს აქვს პასუხისმგებლობა მუშაობაზე, აგრეთვე ეფექტიანი საკანონმდებლო პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მოცემული მომენტისათვის არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, არამედ მუდმივი განახლების შესაძლებლობას.

მთავრობის მეოთხე როლი კლასტერის განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობის უზრუნველყოფით ვლინდება.

საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკაში მთავრობის ფუნქციაა ნათელი, მეცნიერულად დასაბუთებული გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრა-

მის ან ცვლილებების პროცესის შემუშავება და დანერგვა, რომელიც საამისოდ მოახდენს მთავრობის, ბიზნესის, ორგანიზაციების და მოქალაქეების, ასევე ადგილობრივი კლასტერების სრული მასივის მობილიზაციას.

ეკონომიკის პროგრესი შეიძლება დაირღვეს როგორც უმოქმედობით, ასევე აუცილებელი ნაბიჯების არასათანადო აღქმითა და გააზრებით. ეკონომიკურ განახლებას ეწინააღმდეგება „ძლიერი“ ძალა, რაც აღმოცენდება როგორც კონკურენტუნარიანობაზე მოძველებული შეხედულებებით, ასევე არსებული სიტუაციის საფუძველზე ფორმირებული გაყინული ინტერესებით.

კლასტერის შექმნა გრძელი და რთული პროცესია, მასში შესაბამისი ინსტიტუტების ჩართვას შეუძლია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ძალებისადმი შეწინააღმდეგება. ამ პროცესმა უნდა მოიცვას ყველა ძირითადი მომენტი და ამაღლდეს ნებისმიერი კონკრეტული ადმინისტრაციის ან მთავრობის პოლიტიკაზე მაღლა. ასეთმა პროცესმა უნდა მოიცვას დარგებზე, აგრეთვე კლასტერების სრულყოფაზე ზემოქმედი ძირითადი პირობები. იდეალში ის უნდა ხორციელდებოდეს როგორც ნაციონალურ დონეზე, ასევე თითოეული რეგიონისა და ქალაქის დონეზე. ყველა კლასტერი პრიორიტეტულია და წარმოადგენს პოტენციალს კეთილდღეობის ამაღლებაში. მნიშვნელობა აქვს, უწინარეს ყოვლისა, არა იმას, თუ რით აღმოჩნდება კონკურენტუნარიანი კონკრეტული ქვეყანა (ან რეგიონი), არამედ ის, თუ როგორ ხორციელდება კონკურენციული ბრძოლა.


კლასტერების არსებობას შეუძლია შეამსუბუქოს ცვალებად ეკონომიკურ პირობებზე ადგილობრივი ფირმების მორგების პროცესი, რაც უფრო მეტად ამცირებს ადგილობრივი ეკონომიკის რისკს.

კლასტერები, აღმასის წესთან ერთად, აჩვენებს პროცესს, რომელშიც მიმდინარეობს რეალური კეთილდღეობის შექმნა ეკონომიკაში ცვლილე-

ბების საშუალებით - კონკურენტუნარიანობა უფრო ძლიერია, ხოლო კონკურენცია – ქმედითი. ამასთან, სტრუქტურები რომლებიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, ღია კონკურენციით გაცილებით მეტს იგებენ.

განვითარებად ქვეყნებში კლასტერის ზრდის დიდი მასტიმულირებელი ძალაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა - რომელიმე დარგში ერთი ან რამდენიმე ტრანსნაციონალური კომპანიის მოსვლა. ამას შეუძლია სხვა კომპანიების ინტერესების გაღვივება, რაც თავის მხრივ, ასტიმულირებს განვითარებას რეგიონში. თუმცა, მარტო უცხოური ინვესტიციები არასაკმარისია კლასტერის ასაგებად. აუცილებელია აგრეთვე სისტემატური ძალისხმევა ადგილობრივი პირობების გასაუმჯობესებლად, რომელიც მოცემულია ალმასის წესში.

კლასტერების კონცეფცია უზრუნველყოფს პოლიტიკას მრავალ სფეროში, აზროვნების განსაკუთრებული ფორმის განვითარებას, რაც ნაჩვენებია სქემაზე 21.2.



კლასტერის ცნებაზე დამყარებულ აზროვნებას, სხვა მიმართულებებს შორის, შეუძლია პოლიტიკა მიმართოს მეცნიერებასა და ტექნოლო-

გიასთან, განათლებასა და პროფესიულ მომზადებასთან, ექსპორტსა და უცხოურ ინვესტიციებთან თანამშრომლობაზე. ეს კი ეკონომიკის მართვაში განაპირობებს კლასტერის კონცეფციის გამოყენების დიდ უპირატესობას.

მიკროკლასტერი კატალონიაში. კატალონია ესპანეთის ერთ-ერთი ოლქია, სადაც დღეისათვის მოსახლეობის 12,3% ცხოვრობს. კატალონიაზე მოდის ქვეყნის მშპ-ს 25%, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ესპანეთში. 2011 წელს კატალონია მშპ-ს მიხედვით მსოფლიოში ქვეყნების ყველაზე განვითარებულ ქვედანაყოფთა შორის საუკეთესო ორმოცდაათეულში მოხვდა. იგი ევროპის ე.წ. „ოთხი ძრავიდან“ ერთ-ერთია¹. აღნიშნული შედეგების მიღწევას საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის 90-იან წლებში კატალონიაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. 1989 წლის დეკემბერში ესპანეთის მრეწველობის, შრომისა და ვაჭრობის სამინისტროს სათავეში ჩაუდგა ენტონი საბირა, რომელსაც პროფ. მ. პორტერის ნაშრომი „ერების კონკურენციული უპირატესობები“ ხელნაწერის სახით ქონდა. მან ნაშრომის რამდენიმე ეგზემპლარი სამინისტროში გაავრცელა და 1992 წელს ევროპის საერთო ბაზარზე ესპანეთის შესვლის წინ გადაწყვიტა კატალონიაში ახალი სამრეწველო პოლიტიკის შემუშავება კლასტერების კონცეფციის გამოყენებით. უპირველეს ყოვლისა, მინისტრმა მიმართა ბარსელონის ბიზნესის უმაღლესი სკოლის პროფესორებს: ე. ბალარინსა და ჯ. ფაუსუს წინადადებით, კატალონიის მრეწველობის შესასწავლად გამოეყენებინათ კლასტერის მეთოდი. მათ მიერ ჩატარებული წინასწარი გამოკვლევა გაფართოებული ანგარიშის საფუძველი გახდა, რომელიც მოამზადა საკონსულტაციო ფირმამ.

კატალონიაში კლასტერების გამოკვლევის პროცესი 3 ეტაპად მიმ-

¹www.en.wikipedia.org

დინარეობდა:

პირველ ეტაპზე, განისაზღვრა კლასტერისთვის არსებული პრობლემები და შესაძლებლობები. კლასტერის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა ძირითადი კონცეფციის აგება, რომელიც მოიცავდა კონკურენციული ბრძოლის შემასუსტებელი და გამაძლიერებელი ფაქტორების კვლევას. თითოეულ კვლევაში ჩართული იყო მთავრობის ქვედანაყოფები, უნივერსიტეტები, ბიზნესსკოლები, კომპანიები და სავაჭრო ასოციაციები. კატალონიაში არსებული კლასტერების ჩამონათვალი მოიცავდა: ხის თოჯინების წარმოებას, ტყავის გამოყვანას, ნაქსოვების, ხორცის მზა პროდუქტების, საგამომცემლო, საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკისა და ავეჯის წარმოებას. ყოველი მიკროკლასტერის გამოკვლევაში განიხილებოდა უნივერსიტეტები, ფირმები, მიმწოდებლები და სხვა დაინტერესებული მონაწილეები. კლასტერების საზღვრები და მათი მონაწილეები ვლინდებოდა კვლევის პროცესში. წესად იქნა მიღებული თვითგამორკვევის პრონციპი.

მეორე ეტაპზე, ცდილობდნენ მიეღწიათ კლასტერის მომავლის ერთობლივი ხედვისთვის, რომელშიც ყველა მონაწილე შეძლებდა გაერთიანებულიყო დადებითი ცვლილებების ქვეშ.

მესამე ეტაპზე, კლასტერის მონაწილეებმა შეიმუშავეს სტრატეგია და რეალური ღონისძიებები ზემოთაღწერილი რეკომენდაციების განსახორციელებლად, რაც კონკრეტული პირების მოვალეობა იყო.

კატალონიის მიკროკლასტერის გამოცდილების გაკვეთილები:

1) კლასტერის ორგანიზებისთვის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობაა ერთობლივი შესაძლებლობების კვლევა და არა საერთო პრობლემების განხილვა;

2) ლიდერები მიუთითებდნენ კლასტერების ჩამოყალიბების საწყის

პროცესში საზოგადოების მხრიდან ზედმეტი ყურადღებისა და ინფორმირებულობის უარყოფით გავლენაზე. აღნიშნული ეფექტის მინიმინააციით შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული არარეალური მოლოდინები და პოლიტიკური და სხვა სახის ოპოზიციების ფორმირება;

3) მოცემულ კლასტერში გამოჩენილმა ლიდერებმა ბევრი უნდა გააკეთონ ამ კლასტერის წარმატებისა და სრულყოფისთვის.

კლასტერთან დაკავშირებული ინიციატივები ძალზე მომგებიანი იყო მინისტრ ე. საბირას¹ მხრიდან მუდმივი მხარდაჭერისა და კონტროლის წყალობით, რომელმაც თავისი ეკონომიკური მომზადებითა და ორიენტაციით შეძლო ეკონომიკური პროცესების იზოლირება პოლიტიკისგან.

¹ პროფ. ე. საბირა დღეისათვის აქტიურადაა ჩაბმული ევროპაში კლასტერებთან დაკავშირებულ ყველა მიმდინარე ღონისძიებასა და პროცესში. იგი ყოველწლიურად ძალიან ბევრ ინიციატივას ხელმძღვანელობს ბარსელონის უნივერსიტეტში, მათ შორის კლასტერების საზაფხულო სკოლას ახალგაზრდებისთვის.

2.2. კლასტერების პოლიტიკის ევროპული ნაბიჯები

ევროპის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით შემუშავებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში კლასტერებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია, რაც დასტურდება 2006 წლიდან ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებით.

კლასტერების პოლიტიკა მოიცავს ლისაბონის თანამშრომლობის ინტერესებით გათვალისწინებულ ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას, მკვლევართა მობილობასა და ინოვაციებში ინვესტირებას, რაც ჩადებულია ევროპული კვლევითი სივრცის ფორმირების სტრატეგიაში. აღნიშნულის გარდა, ტერიტორიული თანამშრომლობის ევროპული გაერთიანებები, ბაზრის წამყვანი ინიციატივები და საწარმოთა ევროპული ქსელების შექმნა, ასევე თავსებადია კლასტერის ევროპულ პოლიტიკასთან. კონკურენტუნარიანი კლასტერები გვხვდება კანონში მცირე ბიზნესის შესახებ, ევროპული კვლევითი სივრცის შესახებ ლისაბონის დღის წესრიგსა და მეშვიდე ჩარჩო პროგრამაში.

ევროპა ხარჯავს მილიარდებს მრეწველობის მეცნიერებატევად დარგებში, მაგრამ ამის მიუხედავად, არსებობს იმის საშიშროება, რომ სათანადო კავშირები სუსტია და ინვესტიციები ტოვებს სამეცნიერო-კვლევით ინფრასტრუქტურას. დღეისათვის ევროპაში კლასტერის 2000-ზე მეტი ინიციატივაა, მაგრამ ევროკავშირის მესვეურთა სურვილია ისინი გადაიქცნენ მსოფლიო საინოვაციო ცენტრებად.

ევროკავშირში მდგრადი ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა დიდადაა დამოკიდებული ინოვაციებზე, როგორც ევროპის კონკურენტუნარიანობის ძირითად გამწევ ძალაზე. ამ ფაქტის საყოველთაოდ აღიარების შედეგად ევროკავშირმა 2006 წლის 4 დეკემბერს მიიღო

ინოვაციის ფართო სტრატეგია¹. 2006 წლის 13 სექტემბერს მიღებული იქნა ევროკომისიის კომუნიკაცია კლასტერების გაძლიერების შესახებ,² სადაც აღინიშნა საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კონკურენტული კლასტერების წახალისების შესახებ. კლასტერების მართვის ეფექტიანობის მისაღწევად 2006 წლის დეკემბერში "ევროპა ინოვა"-ს ფარგლებში შეიქმნა "მაღალი დონის მენეჯერთა კლასტერების საზედამხებ-ველო ჯგუფი".

დაეყრდნო რა რეგიონულ, ეროვნულ და ევროკავშირის დონეზე არსებულ გამოცდილებასა და კლასტერების პოლიტიკას, ევროკავშირმა 2008 წლის იანვარში მიიღო **ევროპული კლასტერების მემორანდუმი (European Cluster Memorandum)**³, რაც კლასტერების განვითარების შემდგომი სტიმულირების მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

2008 წლის 17 ოქტომბერს ევროკომისიამ მიიღო კომუნიკაცია „**ევროკავშირში მსოფლიო კლასის კლასტერებისკენ: ინოვაციის ფართო სტრატეგიის იმპლემენტაცია**“ (**Towards world-class clusters in the European Union: Implementing the broad-based innovation strategy**)⁴, სადაც მითითებულია რეგიონული კლასტერების განვითარების აუცილებლობასა და მათი საშუალებით ქსელების ფორმირებაზე.

ევროპა ინტერკლასტერი (Europa InterCluster)⁵ შეიქმნა 2007 წლის თებერვალში. იგი არის კლასტერების კოოპერაციის ევროპული პლატფორმა და შეიქმნა რამდენიმე კლასტერის ორგანიზაციის ქვემოდან-ზე-

¹ Commission Communication “Putting knowledge into practice: A broad-based innovation strategy for the EU”, COM(2006) 502 final, available at:

http://eurlex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2006/com2006_0502en01.pdf.

² http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/en/intm/91989.pdf.

³ http://www.proinno-europe.eu/NWEV/uploaded_documents/European_Cluster_Memorandum.pdf.

⁴ Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions -Towards world-class clusters in the European Union: Implementing the broad-based innovation strategy.

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0652:FIN:en:PDF>.

⁵ <http://intercluster.eu>

მოთ ინიციატივის საფუძველზე. ის კლასტერების მცირე რაოდენობის კავშირის საფუძველზე შექმნილი არამომგებიანი ორგანიზაციაა. მისი მიზანია მწვავე გლობალური კონკურენციის პირობებში ევროპული კლასტერების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და ამაღლება. ასევე მან ხელი უნდა შეუწყოს სინერგიას მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის მიზნით, რათა დამუშავდეს ახალი ევროპული სამრეწველო პროექტები. კლასტერების კოოპერაციის სამი Dშესაძლო ფორმა განიხილება:

1. თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე;
2. თანამშრომლობა კოორდინაციის საფუძველზე;
3. თანამშრომლობა ინტეგრაციის საფუძველზე.

ევროპა ინტერკლასტერში მოქმედებს **კრეატიული სამრეწველო დარგების ინტერკლასტერის კლუბი (Creative Industries InterCluster Club)**. იგი შექმნილია რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, ბიოპროდუქტები, ეკოტრანსპორტი, საინჟინრო, მშენებლობა, მდგრადი ქალაქები და სხვა ბაზრები. მრავალ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია 2011 წლის ნოემბერში ვარშავაში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ნორვეგიული, გერმანული და პოლონური კლასტერების სამომავლო კოოპერაციის საკითხებს; 2011 წლის 18 მაისს ხელმოწერილი მემორანდუმი ბრაზილიურ კლასტერებთან ურთიერთკავშირის შესახებ და სხვა.

ევროპაში შექმნილია **ევროპული კლასტერების სრულყოფის ინიციატივა (European Cluster Excellence Initiative)**¹, რომელიც თავს უყრის დიდი გამოცდილების მქონე პირებსა და ორგანიზაციებს, საიმისოდ, რომ განსაზღვრონ და შექმნან ხარისხის მაჩვენებელთა და ექსპერტულ შეფა-

¹ <http://www.cluster-excellence.eu>

სებათა დიდი ბაზა, კლასტერების მართვის პროცედურის შესაფასებლად. ინიციატივა ფინანსდება კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების პროგრამით (**Competitiveness and Innovation Programme**), როგორც საწარმოებისა და მრეწველობის ევროკომისიის გენერალური დირექტორატის (**European Commission DG Enterprise & Industry**) ერთ-ერთი საშუალება. მასში მოდულის სახით გაერთიანებულია ევროპული კლასტერების კოლაბორაციის პლატფორმა და კლასტერების მენეჯერთა კლუბი.

ევროპული კლასტერების კოლაბორაციის პლატფორმა (**European Cluster Collaboration Platform**)¹, წარმოადგენს ხარისხიან პირდაპირ ინფორმაციას და ქსელს კლასტერებისთვის (ორგანიზაციებისა და წევრებისთვის), იმ მიზნით, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის სტიმულირების საფუძველზე ამაღლდეს მათი კონკურენტუნარიანობა. სხვათა გვერდით, აქ ინტენსიურია თანამშრომლობა ბრაზილიაში, იაპონიაში, კორეის რესპუბლიკასა და ინდოეთში მოქმედ კლასტერებთან. ეს სრულიად ახალი, დიდი შესაძლებლობებისა და ინფორმაციის მქონე ონლაინ პორტალი შეიქმნა კლასტერის მონაწილეებს შორის ხიდების შესაქმნელად. მისი საბოლოო მიზანია როგორც კლასტერის მონაწილეების, ასევე თავად კლასტერების თანამშრომლობის გაღრმავება.

კლასტერების მენეჯერთა კლუბი (**European Cluster managers' Club - ECMC**)² არის ინდივიდთა ასოციაცია ევროპული კლასტერების მენეჯერთა და პრაქტიკოსებისთვის. აქ კლასტერის მენეჯერს შეუძლია კლასტერის მენეჯმენტის პრობლემები გაუზიაროს და გააანალიზოს კლუბის სტილში, მარტივადაა ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის მომსახურება მისი ყოველდღიური სამუშაოს გასაუმჯობესებლად, მოსაზრებებისა და

¹ www.cluster-collaboration.eu

² www.clustermanagersclub.eu

გამოცდილების გაზიარების საფუძველზე მას ძალუმს ახალი ამოცანების გადაწყვეტა, აქ მუდმივი სწრაფვაა კლასტერის მართვის გასაუმჯობესებლად.

ევროპული კლასტერების ალიანსი (European Cluster Alliance - ECA)¹ დაფუძნდა 2006 წლის სექტემბერში და წარმოადგენს ევროკავშირის დონეზე პოლიტიკის საკითხებში ნაციონალურ და რეგიონულ ორგანიზაციებს შორის მუდმივი დიალოგის ხელშემწყობ ღია პლატფორმას. კლასტერების ალიანსი ხელს უწყობს კლასტერის ინიციატივების რესურსების გაერთიანებას, თავიდან იცილებს დუბლირებას და ამცირებს კლასტერების ინიციატივების ფრაგმენტაციას ევროპაში. კლასტერების ევროპული ალიანსი არის "პრო ინო ევროპა" ინიციატივის ნაწილი და დაფინანსებულია კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის პროგრამით.

„პრო ინო ევროპა“ (PRO INNO Europe)² არის საწარმოებისა და მრეწველობის ევროკომისიის გენერალური დირექტორატის მიერ შექმნილი ინიციატივა საიმისოდ, რომ იყოს პოლიტიკისა და თანამშრომლობის ინოვაციური ანალიზის კოორდინატორი ევროპაში. მისი მიზანია დაეხმაროს ევროპულ საწარმოებს სწრაფად და უკეთესად მიაღწიონ ინოვაციებს, შეასრულოს შემავსებელი როლი საინოვაციო პროცესების მხარდაჭერის დროს, რაც მთელს ევროპაში მიმდინარეობს, როგორც ნაციონალურ, ასევე რეგიონულ და ლოკალურ დონეზე. აღნიშნულის განსახორციელებლად ინიციატივა ასრულებს მნიშვნელოვან როლს ნაციონალური და რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის მონაწილეთა მხარდასაჭერად. "პრო ინო" შედგება 5 ბლოკისგან, რომელიც უზრუნველყოფს კომპლექსურ სტრატეგიულ მიდგომას ახალი და უკეთესი საინოვაციო პოლიტიკის შე-

¹ <http://www.proinno-europe.eu/page/european-cluster-alliance>

² <http://www.proinno-europe.eu>

სამუშავებლად. პრო ინოს ბლოკები უზრუნველყოფს ანალიზს, ტესტირებას, ბენჩმარკინგს, მექანიზმების შემუშავებასა და მხარდაჭერას ეკონომიკური პოლიტიკის წარმართველთა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით. „პრო ინო“ ინფორმაციის, შეხედულებების, ურთიერთსწავლების და პრაქტიკული თანამშრომლობის პლატფორმაა საინოვაციო პოლიტიკის მონაწილეთა შორის.

ევროპული კლასტერების ობსერვატორია (European Cluster Observatory)¹, დაარსდა 2007 წელს და არის ყველაზე მრავალმხრივი, ამომწურავი ბაზა კლასტერებზე, კლასტერების ორგანიზაციებსა და კლასტერების ანგარიშებზე ევროპაში. ობსერვატორიას აფინანსებს ევროკომისიის დირექტორატი „ევროპა ინოვა“-ს ინიციატივის ფარგლებში. ობსერვატორიაში მომზადებულ ცნობარში მოცემულია ინფორმაცია იმ 2000-ზე მეტი კლასტერის შესახებ, რომლებიც ფუნქციონირებენ ევროპაში. კლასტერების შესახებ მონაცემები მოიცავს მათი ფუნქციონირების გეოგრაფიას ცალკეული ქვეყნის მიხედვით და სპეციალიზაციის ჭრილით.

ობსერვატორიის განახლებულ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია საინტერესო სამეცნიერო და პრაქტიკული მასალა, როგორცაა ინფორმაცია, კლასტერების განლაგებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ, კლასტერების კალენდრის (ინფორმაცია ეხება კლასტერების შესახებ კონფერენციებს, შეხვედრებს, სემინარებს, ვორქშოფებს და სხვა), კლასტერების საკლასო ოთახის (ვიდეომასალა კლასტერებისა და კლასტერების პოლიტიკის შესახებ), კლასტერ ვიკი (კლასტერების შესახებ ენციკლოპედიური მასალა), კლასტერების ბიბლიოთეკა (კლასტერებთან დაკავშირებული დოკუმენტები, პოლიტიკის ანგარიშები, რეგიონული კლასტერების

¹ www.clusterobservatory.eu

ანგარიშები და კლასტერების ქეისები) და სხვა. ხელმოწერის სისტემა და-
ინტერესებულ პირებს აწვდის მათთვის საინტერესო ინფორმაციას.

ობსერვატორიას მართავს სტოქჰოლმის ეკონომიკის სკოლის **სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ცენტრი (Center for Strategy and Competitiveness - CSC)**¹.

„ევროპა ინოვა“ (**EUROPE INNOVA**)² არის ინიციატივა, რომელიც ცდილობს გახდეს ყველა იმ უახლესი საშუალებისა და ინსტრუმენტების ლაბორატორია, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობას (**Competitiveness and Innovation Framework Programme - CIP**). ის თავს უყრის ინოვაციების ხელშემწყობ საზოგადოებრივ და კერძო პროვაიდერებს, როგორცაა ინოვაციების სააგენტოები, ტექნოლოგიების გადამცემის ოფისები, ბიზნესინკუბატორები, ფინანსური შუამავლები, კლასტერებში შემავალი ორგანიზაციები და სხვა³.

„ევროპა ინოვა“-ს ნაწილია **ევროპული საინოვაციო პლატფორმა კლასტერებისთვის (European Innovation Platform for Clusters - Cluster-IP)**⁴. იგი კლასტერში გაერთიანებული ფირმებისთვის საინოვაციო მხარდაჭერის ახალი ან უკეთესი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებით, ხელს უწყობს ტრანსნაციონალური კავშირების ჩამოყალიბებას კლასტერების ორგანიზაციებს შორის.

მსოფლიო მასშტაბით ასევე ცნობილია არა მარტო მეცნიერთა, არამედ პრაქტიკოსთა ქსელური გაერთიანებები. კერძოდ, **კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტი (TCI)** არის კონკურენტუნარიანობის, კლასტერებისა და ინოვაციების სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსთა გლობალური ქსელი.

¹ <http://www.hhs.se/csc>

² <http://www.europe-innova.eu>

³ www.europe-innova.org

⁴ www.europe-innova.eu

იგი არის არამომგებიანი, არასამთავრობო ორგანიზაცია, მას ჰყავს 1700 წევრი მსოფლიოს 98 ქვეყნიდან, რომელთა საწევრო გადასახადი შეადგენს ორგანიზაციის ძირითად შემოსავალს¹.

ზემოაღნიშნულის დიდი მნიშვნელობის გამო, 2008 წლის 22 ოქტომბერს, ევროკომისიამ დააფუძნა „ევროპული კლასტერების პოლიტიკის ჯგუფი“ (European Cluster Policy Group - ECPG)², რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და ამაღლდეს კლასტერების ავტორიტეტი და მოზიდული იქნეს ფინანსები. ეს იყო 18 თვიანი პროექტი სათანადო მიზნების მისაღწევად.

კლასტერების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირში დაწყებული ზემოაღნიშნული ინიციატივების ძირითადი სამოქმედო მიმართულებები მოცემულია სქემაზე 2.2.1³.

ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკის მესვეურთა დამოკიდებულება კლასტერების პოლიტიკისადმი განსხვავებულია. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, კლასტერები სწრაფად ხდება მრეწველობის ორგანიზაციის პოპულარული იარაღი და ეკონომიკის გააქტიურების კარგი საშუალება. კლასტერები სამეცნიერო-კვლევითი და რეგიონული პოლიტიკის შემუშავების მყარი საფუძველია.


კლასტერები, უპირველეს ყოვლისა, განიხილება როგორც საბაზრო მოვლენა და არა - მთავრობის მხრიდან შერჩეული და შემუშავებული. აღნიშნულის მიუხედავად, 1990-იანი წლების ბოლოდან, ეკ-ის წევრი სახელმწიფოს მრავალი მთავრობა ცდილობს ასტიმულიროს უნივერსიტე-

¹ <http://www.competitiveness.org>

² <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:288:0007:0011:en:PDF>. COMMISSION DECISION of 22 October 2008; setting up a European Cluster Policy Group; (2008/824/EC), (<http://www.proinno-europe.eu/ecpg>)

³ www.europe-innova.eu

ტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები საიმისოდ, რომ მონაწილეობა მიიღონ ძლიერი კლასტერების აღმოცენება-ჩამოყალიბებაში. ზოგჯერ თვლიან, რომ მთავრობის ჩარევა კლასტერების ხელშეწყობის მიზნით, არაეფექტიანია, ვინაიდან ეს ხელს უშლის დინამიკური კლასტერის ჩამოყალიბებას.



ევროკომისიის მონაცემებით, ევროპაში კლასტერები მრავლადაა, მაგრამ ბაზრის ფრაგმენტაცია, დარგობრივი გამოკვლევების სუსტი კავშირები, არასაკმარისი თანამშრომლობა ევროკავშირის ფარგლებში იწვევს იმას, რომ კლასტერს ყოველთვის არ აქვს აუცილებელი კრიტიკული მასა და მსოფლიო კლასის საინოვაციო პოტენციალი. სრულყოფისკენ სვლის სურვილმა აუცილებელი გახადა კლასტერების პოლიტიკისადმი სათანადო ყურადღების მიქცევა, რასაც შეუძლია დახმარება გაუწიოს არსებულ ჯგუფებს. ეკონომიკური პოლიტიკის მესვეურები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საწარმოთა და სამეცნიერო მუშაკთა ყველა კავშირი ერთნაირ მხარდაჭერას არ იმსახურებს. ევროკავშირში ფიქრობენ, რომ ეს საბაზრო ძალებს საშუალებას მისცემს დამალოს არაეფექტიანი კლასტერები, ხოლო ახალ დინამიკურ კლასტერებს ხელი შეუწყოს გადარჩენაში. ასეთი არაეფექტიანი ჯგუფები არ უნდა გახდეს სუბსიდიის არხები, ვინაიდან ის აფერხებს როგორც კონკურენციას, ასევე ახალი კლასტერების წარმოქ-

მნის პროცესს. ვინაიდან სრულყოფისკენ სწრაფვა არის ნებისმიერი სასურველი პოლიტიკის ქვაკუთხედი, კლასტერების პოლიტიკის შემუშავება უნდა დაეყრდნოს მოწინავე გამოცდილების მქონე საერთაშორისო ცენტრებსა და ბაზრის მოთხოვნების წინასწარგანჭვრეტას.

კლასტერი დიდ როლს ასრულებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, რაც ევროპაში განიხილება, როგორც სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი წყარო. ამიტომ იგი ხელს უწყობს წევრი-სახელმწიფოების ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის პროცესს. თუმცა, მცირე კომპანიები ხვდებიან სერიოზულ პრობლემებს ევროკავშირის მხრიდან დაფინანსების პროგრამებში მოხვედრის დროს. შესაძლებელია ისინი განიცდიდნენ საჭირო საშუალებების ნაკლებობას სიახლეების პროდუქტებად გარდაქმნის პროცესში.

კონკურენტული კლასტერი საუკეთესო გარემოა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. აქ მას საშუალება აქვს გამოიყენოს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა და უნივერსიტეტებთან კავშირი. საშუალო სიდიდის ფირმები უკავშირდება დიდ და ცნობილ ფირმებს, რაც მათ საშუალებას აძლევს დაიკავოს საკუთარი ნიშა ტრანსნაციონალური კომპანიების შესაბამის ტექნოლოგიურ ხაზში.

გარდა ამისა, კლასტერი საშუალებას აძლევს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ფირმებისა და დამწყები მეწარმეების ზრდის დინამიზმს. სწორედ ამის გამოა, რომ საწარმოთა ევროპული ქსელი ცდილობს ორგანიზება გაუკეთოს პროპაგანდისტულ კამპანიას საიმისოდ, რომ ასტიმულიროს მცირე და საშუალო ბიზნესის ფართო მონაწილეობა კონკურენტუნარიან კლასტერებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სარგებელი, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის კლასტერებში გაერთიანებას შეიძლება მოყვეს, არის ის დამხმა-

რე მომსახურება, რაც შეუძლია საწარმოებს შესთავაზოს კლასტერმა. ზოგიერთი კლასტერი წარმოადგენს კომპანიებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ადგილობრივი გაერთიანებების ორგანულ ჯგუფს, რომლებიც გაიზარდნენ ამა თუ იმ სფეროსთან ერთად, ხშირად კონკრეტული რეგიონული უპირატესობის წყალობით. თუმცა, სხვები – ისინი, ვინც ითვლება რომ „იმართება“ და რომლებსაც ჰყავთ ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოები, ძლიერდება და იღებს მაქსიმალურ კონკურენციულ უპირატესობას კლასტერის ყველა წევრისთვის. კლასტერების მენეჯერებს მცირე და საშუალო ბიზნესისა და უნივერსიტეტებისთვის ხელეწიფებათ დახმარების აღმოჩენა ტექნოლოგიის გადაცემასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებში. აღნიშნავენ, რომ „ევროპაში დასაქმებულთა 38% მუშაობს კლასტერებში. კომპანია, რომელიც გაერთიანებულია კლასტერში, მწარმოებლურობისა და ინოვაციურობის მაღალ დონეს აღწევს, ხოლო ახალი ფირმა აჩვენებს მდგრადობისა და ზრდის მაღალ მაჩვენებლებს“.¹

¹ www.clusterobservatory.eu European Cluster Policy Group, Final Recommendations – A Call for Policy Action.

2.2. კლასტერების თანამედროვე ინიციატივები ევროპაში და მისი სამეცნიერო კვლევა*

კლასტერების თეორიამ ახალი სიცოცხლე შეიძინა 2000 წლის შემდგომ, როცა ის ინტენსიურად იქნა გამოყენებული მარავალ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში. აღსანიშნავია ასევე ის, რომ კლასტერებს აქტუალურობა არ დაუკარგავს განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ისინი მას იყენებენ, როგორც საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას და უფრო დაბალი განვითარების მქონე ქვეყნებში – თავისი მიღწევებისა და ტექნოლოგიების გავრცელების იარაღს. ვფიქრობთ, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებისთვის საინტერესო იქნება იმ გამოკვლევების გაცნობა, რაც მიმდინარეობს ევროპაში კლასტერების ინიციატივების მიმართულებით.

„ტერმინი - **კლასტერის ინიციატივა** ნიშნავს კლასტერის განვითარების პროექტს ან კლასტერის ორგანიზაციას. კლასტერის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ნებისმიერი ორგანიზებული მცდელობა არის კლასტერის ინიციატივა. კლასტერის ინიციატივა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი – მხოლოდ ერთ კლასტერზე ფოკუსირების სახით ან რეგიონული და/ან ეროვნული კონკურენტუნარიანობის ფართო სტრატეგიის ნაწილი, პარალელურად არსებული და მოქმედი მრავალი კლასტერის ფორმით. ზოგადად, კლასტერის ინიციატივაში იგულისხმება მხოლოდ

* პარაგრაფში მოცემული მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, კლასტერების ინიციატივები ევროპაში და საქართველო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ. 2010, #1, გვ.81-90.

ერთი ცალკეული კლასტერი და არა მათი დაჯგუფება რაიმე დარგ(ებ)ს შიგნით¹.

ამგვარად განსაზღვრული კლასტერის ინიციატივა არის მრავალი ევროპული ქვეყნის მეცნიერთა შესწავლისა და პრაქტიკოს-ეკონომისტთა განხორციელების ობიექტი.

უწინარესად ყურადღებას გავამახვილებთ სტოქჰოლმის ეკონომიკის სკოლის **სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ცენტრზე (Center for Strategy and Competitiveness - CSC)**². იგი არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ქსელის პარტნიორი ინსტიტუტი. ასევე, ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის (ხელმძღვანელი პროფ. მ. პორტერი³) ფილიალი. სტოქჰოლმის ცენტრი ფოკუსირებას ახდენს კვლევის ხუთ მიმართულებაზე, კერძოდ: სტრატეგია, საერთაშორისო ბიზნესი, ქსელური ცოდნა, ეკონომიკური პოლიტიკა, კლასტერები და კონკურენტუნარიანობა. ცენტრის ხელმძღვანელია ჰარვარდის კურსდამთავრებული, პროფ. ო. სოლველი. სამეცნიერო წრეებში ფართოდაა ცნობილი ამ სკოლის ხელმძღვანელისა და მისი თანამოაზრეების ნაშრომები. ისინი კურირებენ ევროპული კლასტერების ობსერვატორიას.

განვიხილოთ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში მიმდინარე სამეცნიერო გამოკვლევები. პროფ. ო. სოლველი ერთ-ერთი უდავო ლიდერია ამ საკითხებში. მან თავისი ნაშრომით – „კლასტერი – ევოლუციური და კონსტრუქციული ძალების დამბალანსებელი“ განავითარა კლასტერების თე-

¹ Christian Ketels, Goran Lindqvist, Orjan Solvell, Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6. pp. 9 (<http://www.cluster-research.org>).

² <http://www.hhs.se>

³ <https://secure.hbs.edu>

ორია და გამოყო „კლასტერების დონეზე მოქმედი ახალი მოქმედი პირები (აქტორები):

1. **მრეწველობა** (მომხმარებლები, მიმწოდებლები, დაკავშირებული დარგები, მცირე და საშუალო საწარმოები, მომსახურება);
2. **სამთავრობო დაწესებულებები, ადგილობრივი მმართველობა** (თვითმმართველობები), სააგენტოები;
3. **ფინანსები** (ბანკები, ვენჩურული კაპიტალი, ბიზნეს-ანგელოზები);
4. **უნივერსიტეტი** (კოლეჯები, ტექნოლოგიების გადაცემის ოფისები, ლაბორატორიები, ტექნოლოგიური პარკები);
5. **მედია**;
6. **ურთიერთთანამშრომელი ორგანიზაციები** (ფორმალური და არა-ფორმალური ქსელები, სავაჭრო ორგანიზაციები, კლასტერის ორგანიზაციები)¹.

პროფ. ო. სოლველმა დაასკვნა, რომ „კლასტერის ზრდას ადგილი აქვს განსაკუთრებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში. ამ დროს ეკონომიკის რეგულირება და პოლიტიკა ვარიირებს ფართო სპექტრით, კერძოდ, ანტიტრესტული, რეგიონული, სამრეწველო და სამეცნიერო, საინოვაციო პოლიტიკა, პატენტებისა და ინტელექტუალური საკუთრების თანაავტორობის განსაზღვრის საკითხების ჩათვლით და სხვა. ეკონომიკური პოლიტიკის უფრო ზოგადი სტრუქტურა გავლენას ახდენს რეგიონების შიგა მიმზიდველობაზე მოქალაქეებისა (საცხოვრებელი პირობებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რეკრეაციული პროცესები და კულტურა) და კომპანიებისთვის (მიწა, ინვესტირების მიმ-

¹ <http://www.cluster-research.org/redbook.htm>; Orjan Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5. pp.16.

ზიდველობა, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე სამუშაო ძალა). ზრდადი კლასტერი უკავშირდება საერთაშორისო ბაზრებს (როგორც ფაქტორთა, ასევე საბოლოო პროდუქტების). არსებული გამოცდილების მიხედვით დინამიკური კლასტერი წარმოადგენს იდეების, უნარ-ჩვევებისა და რესურსების ცირკულაციას, „ტვინების“ ცირკულაციის ჩათვლით“¹.

თავის ნაშრომში პროფ. ო. სოლველმა ასევე განსაზღვრა კლასტერების ინიციატივებისა და პროგრამების განხორციელების მიზნით შესაძლებელი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მოქმედი სუბიექტები მართვის შესაბამისი დონეების მიხედვით (სქემა #2.3.1)², კერძოდ:

1. **ნაციონალურ დონეზე:** რეგიონული პოლიტიკა, სამრეწველო პოლიტიკა, სამეცნიერო პოლიტიკა;
2. **რეგიონულ დონეზე:** რეგიონული სამთავრობო დაწესებულებები, რეგიონული ორგანიზაციები;
3. **ადგილობრივ დონეზე:** ფირმები, ადგილობრივი მმართველობა, უნივერსიტეტები.


პროფ. ო. სოლველის თანამოაზრეები არიან დოქტორი ქ. ქეთელსი და ეკონომიკის მაგისტრი ჯ. ლინდქვისტი. ამ ჯგუფმა 2009 წელს მოამზადა ანგარიში - „კლასტერების ინიციატივები განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებში“, რომელიც არაფორმალურად კლასტერების ლურჯ წიგნად არის ცნობილი³. ავტორებმა ნაშრომი მიუძღვნეს კლასტერების ინიციატივების ხარისხის გაუმჯობესებისათვის სათანადო საფუძვლების კვლევას საიმიხოდ, რომ კლასტერები გამოყენებულ იქნეს როგორც ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. მრავალფერო-

¹ იქვე, pp.59-60.

² Orjan Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5. pp.66.

³(Christian Ketels, Goran Lindqvist, Orjan Solvell, Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6, (<http://www.cluster-research.org/devtra.htm>).

ვანი მაჩვენებლების სისტემური ანალიზის საფუძველზე მათ სურდათ იმ კოლექტიური გამოცდილების ბენჩმარკინგი, რაც უკავშირდება კლასტერების ინიციატივების მართვასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას.



ეს, ავტორთა აზრით, ამბიციური მიზანია. მათ მიერ მომზადებული ანგარიში ეფუძნება 1400 კლასტერის ინიციატივის გამოკვლევას და მოიცავს 450 იმ ინიციატივას, რომელიც დასრულდა 2005 წელს (კლასტერის ინიციატივის გლობალური გამოკვლევა **Global Cluster Initiative Survey - GCIS**).

კლასტერების უფრო ადრეული გამოკვლევების შედეგები აისახა ამავე ავტორთა მიერ მომზადებულ **კლასტერების ინიციატივის მწვანე წიგნში (The Cluster Initiative Greenbook¹)**. ვფიქრობთ, მკითხველისთვის

¹ www.cluster-research.org

საინტერესო იქნება ზემოაღნიშნულ გამოკვლევებში მოცემული ზოგიერთი ძირითადი დასკვნა.

კლასტერების ინიციატივების გამოყენების მიმართულებით განსაკუთრებული შემობრუნება აღინიშნა 2003 წლის შემდგომ, როცა განვითარებად ქვეყნებში კლასტერების ინიციატივების საერთო რაოდენობის 55% იქნა წამოწყებული (დანარჩენი ინიცირებული იყო მანამდე), ხოლო გარდამავლებში – 72%. აღნიშნულმა მაჩვენებელმა განვითარებულ ქვეყნებში მიაღწია 28%¹. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, საგულისხმოა, ვინაიდან ასეთ ქვეყნებში კლასტერები პოპულარული ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში იყო. ეს უდავოდ ადასტურებს ეკონომიკის განვითარებაში კლასტერ(ებ)ის გამოყენების პროგრესულობას. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში კლასტერ(ებ)ის ინიციატივის დანერგვა იწყება მთავრობის მხრიდან, უფრო ხშირად, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სააგენტოებიდან. მაგალითად: ჩრდილო ამერიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში კლასტერების ინიციატივების 41% ინიცირებულია მთავრობის მხრიდან, ჩრდილოეთ ევროპაში – 47%, დასავლეთ ევროპაში – 53%, და სამხრეთ ევროპაში – 61%.

კლასტერები და კონკურენტუნარიანობა უფრო ნაკლებად შეინიშნება ეკონომიკურ პოლიტიკასა და დებატებში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ვიდრე განვითარებადსა და განვითარებულლებში. დონორი ინიციატორები ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის დროს აქტიურობას იჩენენ იმ შემთხვევაში, სადაც ეროვნული მხარდაჭერა გარკვეულწილად სუსტია, ხოლო სამთავრობო ინიციატივები პოლიტიკის განსაზღ-

¹ <http://www.cluster-research.org/devtra.htm>; Christian Ketels, Goran Lindqvist, Orjan Solvell, Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6. pp. 13.

ღვრის დროს კონკურენტუნარიანობასა და კლასტერებზე უფრო მეტად აქტიურია.

განვითარებად ქვეყნებში, ნათელია, რომ ფოკუსირება ხდება სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ კვების მრეწველობაზე, ასევე საბაზისო, ტრადიციულ (უფრო მეტად შრომატევად) მრეწველობაზე. გარდამავალ ქვეყნებში უფრო ხშირად ვხვდებით დარგების ნაკრებს, კაპიტალტევადი დარგებისა და „მაღალი ტექნოლოგიების“ ჩათვლით. ამ ქვეყნებში დონორების საქმიანობა აქტიურია სოფლის მეურნეობაში, კვებისა და ტრადიციულ წარმოებებში. სახელმწიფო კლასტერების ინიციატივას ხელს უწყობს კაპიტალტევად დარგებში, კერძო ბიზნესი ხშირად ინიციატორია მაღალ ტექნოლოგიებსა და მომსახურების უახლესი ფორმების შეთავაზების დროს.

განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებში, ზოგადად, დაბალია ნდობა კომპანიებს შორის, ასევე კომპანიებსა და მთავრობას შორის, ვიდრე მოწინავე ქვეყნებში. დონორების მიერ წამოწყებული კლასტერების ინიციატივებს ადგილი აქვს იქ, სადაც ეკონომიკაში მოქმედ პირებს შორის ნდობა ძალიან დაბალია¹.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კლასტერის ინიციატივებს აქვს განსხვავებული მიზნები, ვიდრე მოწინავე ქვეყნებში. ისინი უფრო მეტად არიან ორიენტირებულები დამატებული ღირებულების გაზრდასა და ექსპორტზე და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ინოვაციებსა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას, მაშინ როცა კლასტერ(ებ)ის ინიციატივები ფოკუსირებას ახდენენ კონკურენტუნარიანობასა და ეკო-

¹ <http://www.cluster-research.org/devtra.htm>; Christian Ketels, Goran Lindqvist, Orjan Solvell, Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6. pp. 30.

ნომიკურ განვითარებაზე. ამ მხრივ საინტერესოა პროფ. ო. სოლველის მოსაზრება იმის შესახებ, რომ:

- „1. კლასტერები განსაკუთრებით აძლიერებს გარემოს ინოვაციების-
თვის;
2. კლასტერები ავითარებს ორი სახეობის ძალას, როგორც ევოლუცი-
ურს, ასევე კონსტრუქციულს. ორივე ძალა იმართება კონკრეტული
ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებებით და ამიტომაც
ყველა კლასტერი თავისთავად განსაკუთრებული და უნიკალურია
თავისი მახასიათებლებით“¹.

ამგვარად, კლასტერების ინიციატივების ამ უახლესი გამოკვლევების დეტალური ანალიზი ძალზე საინტერესო მსჯელობის თემაა და გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ისინი ინტენსიურად შეიძლება იქნეს გამოყენებული საქართველოს ეკონომიკის მართვაში.

¹<http://www.cluster-research.org/redbook.htm>; Orjan Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5. pp.7.

2.4. ცოდნის სამკუთხედი და კლასტერები ევროპის საინოვაციო პოლიტიკაში*

ევროკავშირის ინოვაციური პოტენციალის სრულად გამოყენებლობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ სათანადოდ არაა შეფასებული ინოვაციების მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. ეს ის სფეროა, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა ყველა დონეზე უნდა იმოქმედონ სწრაფად. ამ დაბრკოლების გადალახვა საშუალებას მისცემს ევროკავშირს გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ინოვაციის ერთიანი ევროპული სივრცის შესაქმნელად. განათლება წარმოადგენს ერთ-ერთ საამისო წინაპირობას. უპირველეს ყოვლისა, განათლების, როგორც ძირითადი პოლიტიკის გარეშე, ინოვაციები დარჩება მხარდაჭერის მიღმა. ლისაბონის სტრატეგიის მიხედვით იგი ადრეული ასაკიდანვე უნდა იქნეს წახალისებული.

2009 წელს ევროკომისიამ განსაზღვრა ის ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია თანამედროვე, ინოვაციებზე ორიენტირებული საზოგადოებისთვის. მათ მიეკუთვნება სამეწარმეო უნარები ფართო გაგებით, განათლების გავრცელება, ენების ცოდნა, კომპეტენციები და უნარები სამეცნიერო და მათემატიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში¹. კოორდინაციის ღია მეთოდის (**Open Method of**

* დაწვრილებით იხილეთ: ფ. წოწკოლაური, ი. გაგნიძე, "ინოვაციის მხარდამჭერი განათლების სისტემა ევროკავშირში", მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია (გზამკვლევი), უწყვეტი განათლების პროგრამა, ჟან მონეს პროგრამა, თბ. 2010.

¹ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS Putting knowledge into practice: A broad-based innovation strategy for the EU. Brussels, 13.9.2006, COM(2006) 502 final, http://ec.europa.eu/enterprise/policies/innovation/index_en.htm.

Coordination - OMC)¹ საშუალებით ევროკომისია მხარს დაუჭერს განათლების სისტემის მოდერნიზაციასა და რესტრუქტურირებას საიმისოდ, რომ შესაძლებელი გახდეს ამ კომპეტენციების მიღება. ზოგიერთი შედეგი სახეზეა. მაგალითად, ევროსტატის მონაცემებით ბოლო დროს მიღწეული იქნა მათემატიკოსთა რიცხოვნობის აბსოლუტური ზრდა.²

2009 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე ევროსაბჭომ მოამზადა მიმართვა³ განათლების, კვლევისა და ინოვაციების, სრულად ფუნქციონირებადი ცოდნის სამკუთხედის (განათლება, მეცნიერება, ბიზნესი) შესაქმნელად, რომელშიც ევროპის ინოვაციური პოტენციალის, კრეატიული და ცოდნა-ინტენსიური ეკონომიკისა და საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით შეიმუშავა რიგი ღონისძიებისა, კერძოდ:

- განათლების, კვლევისა და ინოვაციების პოლიტიკებს შორის თანხმობის განვითარება

ცოდნის სამკუთხედის თითოეული ნაწილის შესაბამისი პოლიტიკის შეთანხმებული წარმართვის მოთხოვნილება განსაზღვრავს, რომ განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოლიტიკა ერთმანეთს უნდა ავსებდეს. კოორდინაციის ღია მეთოდით გათვალისწინებული ანგა-

¹ კოორდინაციის ღია მეთოდის საშუალებით მთავრობები ინფორმაციის გაცვლით ერთმანეთისგან სწავლობენ და ინიციატივებს ადარებენ. ეს მათ საშუალებას აძლევს მიიღონ საუკეთესო გამოცდილება და თავისი ნაციონალური პოლიტიკის კოორდინირება მოახდინონ.

² COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, Towards world-class clusters in the European Union: Brussels, 17.10.2008, COM(2008) 652 final, (SEC(2008) 2637). <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0652:FIN:en:PDF>.

³ NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES. Conclusions of the Council and of the Representatives of the Governments of the Member States, meeting within the Council, of 26 November 2009 on developing the role of education in a fully-functioning knowledge triangle, (2009/C 302/03). pp.4-5. (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:302:0003:0005:EN:PDF>).

რიშგების ფარგლებში, ევროკომისიამ ევროსაბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების სფეროში ცოდნის სამკუთხედის ამ სამი მხარის ინტეგრაციის მიმართულებით. ანგარიში უნდა მოიცავდეს დაბრკოლებების გამოვლენასა და შემდგომი სრულყოფა-განვითარების წინადადებებს. ევროპის ინოვაციური პოტენციალის, კრეატიული და ცოდნა-ინტენსიური ეკონომიკისა და საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ევროკომისიამ შეიმუშავა შემდეგი ღონისძიებები:

- პედაგოგიური რეფორმების დაჩქარება:

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა სტიმული უნდა მისცეს კადრების სწავლებასა და მომზადებას საიმისოდ, რომ სასწავლო პროგრამები, ასევე, სწავლების და შეფასების მეთოდები განათლების ყველა დონეზე (მათ შორის დოქტორანტურაშიც) მოიცავდეს და ხელს უწყობდეს შემოქმედებითობას, ინოვაციებსა და მეწარმეობას. აღნიშნულის მისაღწევად ერთ-ერთი ღონისძიებაა ისეთი სასწავლო პროგრამების შემუშავება, რომლებიც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სამრეწველო და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად მუდმივი თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნება.

- პარტნიორული კავშირების გაძლიერება უნივერსიტეტებს, ბიზნესსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის:

ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები და კომისია ოპერატიულად უნდა პასუხობდნენ საბჭოს იმ დასკვნებს, რომლებიც მომზადდა 2009 წლის 12 მაისის¹ სხდომის შედეგად და მოიცავდა უწყვეტი განათლების კონტექ-

¹ NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES; Council conclusions of 12 May 2009 on a strategic framework for European cooperation in education and training ('ET 2020') (2009/C 119/02); Official Journal of the European Union 28.5.2009.
<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:119:0002:0010:EN:PDF>.

სტიტ, საგანამანათლებლო, კვლევით დაწესებულებებსა და სოციალურ პარტნიორებს (მ.შ. დამსაქმებლებს) შორის ურთიერთთანამშრომლობის გამყარების ღონისძიებებს. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმაღლესი განათლების სისტემის პერსონალის მობილობას უნივერსიტეტებს შორის და, ასევე, უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სექტორს შორის. თანამშრომლობა - „უნივერსიტეტი-ბიზნესი“ უნდა გაღრმავდეს საუნივერსიტეტო განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციების სტრატეგიების შემადგენელი ნაწილის სახით.

- ღონისძიებების შემუშავება უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ინოვაციური კულტურის განვითარების მიზნით:

წვერი სახელმწიფოები უნდა ეცადონ გაწიონ ძალისხმევა ინოვაციური კულტურის შესამუშავებლად. კერძოდ, უნდა შეიქმნას უფრო დინამიკური და ინტერაქტიული სწავლების პირობები და სტიმულები პერსონალისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ინოვაციური ასპექტის მქონე პროექტებში. ინსტიტუციონალური სტრუქტურების მიერ დაფინანსებისა და სტიმულირების მექანიზმები გამოყენებული უნდა იქნეს კულტურული ცვლილებების ხელშეწყობის მიზნით ისე, რომ წარმოებასთან თანამშრომლობა აღქმული იყოს, როგორც კარიერაში წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორი. აღიარებული უნდა იქნეს უმაღლესი განათლების ლიდერების უდიდესი როლი „ინოვაციური კულტურის“ განვითარების მხარდაჭერის საკითხებში.

- უნივერსიტეტებისთვის სტიმულების შემუშავება გადაცემადი ცოდნის გენერირების მიზნით:

წვერმა-სახელმწიფოებმა უნდა შეისწავლონ არსებობს თუ არა ადეკვატური სტიმულები უნივერსიტეტებში საიმისოდ, რომ განვითარდეს ცოდნის მის მიმართულებები, რომლებიც საჭიროა ეკონომიკისთვის ინოვაციური

პროდუქტისა და მომსახურების შესაქმნელად. უნდა შემუშავდეს ის სამართლებრივი ნორმები და მართვის სტრუქტურები და გამოიძებნოს ფინანსები, რაც უზრუნველყოფს მაღალ მოგებას ასეთი ცოდნის გამოყენებისა და გადაცემის შედეგად. წევრი-სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რომ შეიმუშაონ თავისი ინსტიტუტების ფუნქციონირების ისეთი ჩარჩოები, რომელიც, უნივერსიტეტებისთვის საკმარისი ავტონომიის მინიჭების გზით, უზრუნველყოფს ბარიერებისა და დაბრკოლებების ლიკვიდაციას. უნივერსიტეტებმა უნდა შეიმუშაონ სათანადო კონკრეტული სტრატეგიები ცოდნის მიღების, განვითარებისა და გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით.

- ხარისხის შეფასების ახალი ფორმები:

წევრმა სახელმწიფოებმა ერთობლივად უნდა შეიმუშაონ უმაღლესი განათლების განვითარების კრიტერიუმები, რომლებშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლისა და განათლების პროცესის სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებთან ინტეგრირება. უნდა შეფასდეს თუ რამდენად წარმატებულია უმაღლესი განათლების დაწესებულებების პოლიტიკა საიმისოდ, რომ სტიმული მიეცეს შემოქმედებითობასა და სამეწარმეო მიდგომას, სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სამომავლო გამოყენებას.

- ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტის განვითარება, როგორც მომავლის მოდელი:

იმის მიუხედავად, რომ ევროპაში განათლების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა და ძლიერი კვლევითი ინსტიტუტები არსებობს, ისინი ხშირად იზოლირებულია ბიზნესის სამყაროსგან და ვერ აგროვებენ ინოვაციისთვის აუცილებელ „კრიტიკულ მასას“. ინოვაციისა და ტექნოლოგიის

ევროპული ინსტიტუტის¹ (**The European Institute of Innovation and Technology - EIT**) შექმნით გადაწყდა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მცდელობა ახალი მიდგომის საფუძველზე.

აღინიშნა, რომ ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი წარმოადგენს პირველ ევროპულ ინიციატივას სრულად მოახდინოს „ცოდნის სამკუთხედის“ (უმაღლესი განათლება, სამეცნიერო კვლევა, ბიზნესი-ინოვაცია) მხარეების ინტეგრირება. კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი საშუალებას მისცემს ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებს, ბიზნესსა და ინოვაციების სხვა აქტორებს გაიზარდონ, გამოიმუშაონ კონკურენციულ გარემოში არსებული გამოწვევების გადაწყვეტის უნარ-ჩვევები და მოახდინონ თავისი ინოვაციური პოტენციალის კაპიტალიზაცია.

ბიზნესზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე მისი საგანმანათლებლო კომპონენტის საშუალებით, ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი ხელს შეუწყობს მეწარმეთა ახალი თაობის აღზრდას, რომლებსაც ექნებათ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები საიმისოდ, რომ იდეები გარდაქმნან ბიზნესის ახალ შესაძლებლობებად.

2008-2013 წლებში ინსტიტუტისთვის გამოყოფილი 300 მლნ ევროს გამოყენებით, იგი შექმნის ცოდნისა და ინოვაციის გაერთიანებებს (**The Knowledge and Innovation Communities - The KICs**) ეფექტიანად მოახდენს იდეების, ტექნოლოგიების, კულტურისა და ბიზნესის მოდელების გაცემას, აღმოაჩენს ბიზნესის ახალ სახეობებს არსებული დარგებისა და ახალი წამოწყებებისთვის.

¹ <http://eit.europa.eu/about-eit>

ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურა ამ ამოცანის გადასაწყვეტად იმოქმედებს ორი მმართველით:

1) მმართველი საბჭო დაადგენს სტრატეგიულ პრიორიტეტებს მომავალი შვიდი წლის მანძილზე, ანუ „სტრატეგიულ ინოვაციებს“, მათი გრძელვადიანი საფინანსო უზრუნველყოფით. პირველი ჩამონათვალი ევროპარლამენტისა და კომისიის საბჭოსთვის წარდგენილი იქნა 2011 წლის ივნისში;

2) ცოდნისა და ინოვაციის გაერთიანებები მმართველთა მიერ შერჩეული იქნება სტრატეგიულ საფუძველზე, რაც უპასუხებს ევროკავშირის ამოცანებს. პირველი-სამი თემაა:

1. ცვალებად კლიმატთან ადაპტაცია-შეგუება;
2. განახლებადი (მდგრადი) ენერჯია;
3. სამომავლო საინფორმაციო-საკომუნიკაციო საზოგადოება.

2010 წლის 2-3 ივნისს ბარსელონაში ოფიციალურად აღინიშნა ზემოაღნიშნული სამი გაერთიანების დაფუძნება.¹

აღსანიშნავია, რომ ევროპაში 2010 წლის შემდგომი პოლიტიკა განათლებას განსაზღვრავს, როგორც ცოდნის სამკუთხედის საფუძველს და ხაზს უსვამს სამკუთხედის ყველა მონაწილეს შორის მხარდაჭერის აუცილებლობას. განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაში, რაც ცოდნის სამკუთხედის სასურველ დონეზე ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. ევროკომისია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განხორციელდეს ყოველმხრივი თანამშრომლობა და კოორდინაცია ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიისა, ევროპული სა-

¹ <http://eit.europa.eu/about-eit/events/single-view/article/kic-launch-conference.html>

მეცნიერო კვლევების სივრცისა (European Research Area - ERA) და ინოვაციების სფეროს ინიციატივებზე. ევროკომისია ითვალისწინებს რა 2010 წლის შემდგომი პერიოდის ზრდისა და დასაქმების სტრატეგიის მოთხოვნებს, მუშაობს იმ საკითხებზე, თუ როგორ მოხდეს სტრუქტურული ფონდების¹ გამოყენება ისე, რომ ინიციატივა - განათლება, როგორც ცოდნის სამკუთხედის საფუძველი, განსაკუთრებულად იქნეს მხარდაჭერილი.

2020 წლამდე პერიოდში ევროპული თანამშრომლობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებში განათლებისა და გადამზადების სფეროს შემდგომ განვითარებას. ამ მიმართულებით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ევროსაბჭოს 2009 წლის 12 მაისის სხდომაზე შემუშავებულ იქნა დოკუმენტი – *განათლებისა და გადამზადების სფეროებში ევროპული თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო-პროგრამა*, რითაც განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

მიზანი #1. უწყვეტი განათლების და მობილობის რეალობად გადაქცევა:

უწყვეტი განათლება და მობილობა დაკავშირებული დემოგრაფიულ ცვლილებებთან, ეკონომიკური და სოციალური პირობების განახლებასთან, მოითხოვს მუდმივად განვითარდეს უნარები და ჩამოყალიბდეს უწყვეტი განათლების მიდგომა. კვლავაც აუცილებელია უწყვეტი განათლების თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი სტრატეგიის განხორციელების დროს განვითარდეს ნაციონალური საკვალიფიკაციო ჩარჩო, სწავლების შესაბამისი ჩარჩოების საფუძველზე და უზრუნველყოფილი იქნეს მათი კავშირი საერთოევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოებთან. შემუშავებულ იქნეს სწავლების უფრო მოქნილი გზები. უწყვეტი განათლების

¹ ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებია (EU Structural Funds) - რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი, ევროპული სოციალური ფონდი, კავშირის ფონდი. იხილეთ: <http://www.eufunds.bg/index.php?cat=27>

მნიშვნელოვანი ელემენტია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მობილობა, რაც უნდა იყოს არა გამონაკლისი, არამედ – წესი. საამისოდ ხარისხის მობილობის ევროპული ქარტია¹ უნდა იქნეს გამოყენებული.

მიზანი #2. განათლებისა და ტრენინგის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება:

განათლებისა და გადამზადების სისტემის ხარისხის ამაღლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის წარმატებისა და ინდივიდთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდისთვის. ამ მიმართულებით უმთავრესი ამოცანაა მოქალაქეებისთვის ძირითადი კომპეტენციების მიღების უზრუნველყოფა განათლებისა და ტრენინგის ყველა დონეზე. ეს ევროპას საშუალებას მისცემს შეინარჩუნოს ძლიერი გლობალური როლი. ამის მისაღწევად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბაზისო უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას, რაც მათემატიკის, მეცნიერებისა და ტექნიკისადმი მიმზიდველობის ზრდით უნდა განხორციელდეს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თავად სწავლების დონის ამაღლებასა და მასწავლებელთა მომზადების სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესებას. ასევე, მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტის ეფექტიანობის პრობლემების გადაწყვეტის გზების გამონახვა.

¹ ხარისხის მობილობის ევროპული ქარტია (European Quality Charter for Mobility) – ყურადღებას ამახვილებს მობილობის ხარისხის ასპექტზე და აწესრიგებს უცხოეთში ყოფნის შემთხვევაში ინდივიდის განათლებისა და პროფესიული მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების საკითხებს, იხ. http://europa.eu/legislation_summaries/education_training_youth/lifelong_learning/c11085_en.htm

მიზანი #3. თანასწორობის, სოციალური ერთობისა და აქტიური სამოქალაქო პოზიციის წახალისება:

განათლების სისტემისა და ტრენინგების გამოყენებით ყველას უნდა მიეცეს საშუალება, შრომითი მოწყობისა და ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების მიზნით, მათი პირადი, სოციალური ან ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მთელი ცხოვრების მანძილზე შეძლონ როგორც კონკრეტული ჩვევების განახლება, ასევე ძირითადი კომპეტენციების განვითარება. განათლების სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს კულტურათაშორისი კომპეტენციების, დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემას, ასევე გარემოს დაცვის მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას.

მიზანი #4. განათლებისა და ტრენინგის ყველა დონეზე შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ამაღლება, სამეწარმეო საქმიანობის ჩათვლით:

პირადი თვითრეალიზაცია და შემოქმედებითობა ითვლება ინოვაციების წყაროდ. შემოქმედებითობასა და ინოვაციურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეობისათვის. იგი ევროპის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი საფუძველია. სასწავლო დაწესებულებების გაფართოებამ სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედებისთვის სასურველი კლიმატის შექმნასა და პროფესიული და სოციალური მოთხოვნილებების საუკეთესო შეთავსებას.

აღმოსავლეთის პარტნიორობა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით - "ევროპა 2020" - განათლების პოლიტიკის ნაწილი. 2009 წლის 16-17 ნოემბერს ბრიუსელში აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე სამუშაო დოკუმენტით მიღებული იქნა რეკო-

მენდაციები აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისთვის (რომელთა შორის საქართველოცაა) განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით.

განათლების სფეროში მოცემული რეკომენდაციებია:

- არაფორმალური განათლება და უწყვეტი სწავლება;
- დისტანციური სწავლების სტიმულირება;
- ახალგაზრდების უცხოეთში სასწავლებლად გასვლის შესახებ ქვეყნების რეგიონებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტიმულირება;
- მოხალისეების გაგზავნა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში გადამზადების პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით (ევროპის მოხალისეთა სამსახური);
- აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისთვის მეტი რაოდენობით სტაჟირების უზრუნველყოფა ევროკავშირის ქვეყნებში;
- სასკოლო გაცვლითი პროგრამები (სტუდენტები, მოსწავლეები და მასწავლებლები);
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამებში.

სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მოცემული რეკომენდაციებია:

- ერთობლივი კვლევების განვითარება;
- ჰუმანიტარულ სფეროში კვლევების წახალისება;
- ევროკავშირისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან მკვლევართა ქსელის ინსტიტუციონალიზაცია და სწავლებისა და კვლევების უფასო წვდომის მონაცემთა ბაზის შექმნა.¹

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შინაარსს წითელ ზოლად გასდევს ის მიზნები და პრინციპები, რაც შემუშავებულია

¹ EASTERN PARTNERSHIP CIVIL SOCIETY FORUM, Recommendations, working Group 4: Contacts Between People, (Brussels, 16-17 November 2009); (<http://www.eap-csf.eu/en/resources/eap-csf-2009-documents/>), p. 2-3.

ევროკომისიის მიერ 2009 წელს და წარმოადგენს ევროპული თანამშრომლობის 2020 წლამდე სტრატეგიას განათლების სფეროში, რომელსაც ამ პარაგრაფის დიდი ნაწილი დავუთმეთ.

ცოდნის სამკუთხედზე დაფუძნებული საინოვაციო პოლიტიკა, კერძოდ ის, რომელიც ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპულმა ინსტიტუტმა უნდა განავითაროს *ცოდნისა და ინოვაციის გაერთიანებების* ფორმით, სრულადაა თავსებადი კლასტერების პოლიტიკასთან. ჩვენი აზრით, ცოდნის სამკუთხედი არის კლასტერის როგორც საწყისი, ასევე განვითარების მამოძრავებელი ძალა, ვინაიდან კლასტერიც და ცოდნის სამკუთხედიც ეკონომიკაში ძალებს წარმართავს ერთიდაიმავე მიმართულებით (შეადარეთ პარაგრაფი 2.1. და სქემა 2.1.2).

აღნიშნულის პრაქტიკული მაგალითით დასაბუთება შესაძლებელია კემბრიჯის უნივერსიტეტის ტექნოპოლის განხილვით. **კემბრიჯის მაღალი ტექნოლოგიების კლასტერი** (იგივე კემბრიჯის უნივერსიტეტის ტექნოპოლი - **The Cambridge Technopole**¹) მსოფლიო სტანდარტის ერთობად ჩამოყალიბდა ბოლო 30 წლის მანძილზე. გაერთიანებული სამეფოს ქალაქებს შორის კემბრიჯს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ინოვაციებში და ევროკავშირის მიერ აღიარებულია, როგორც ინოვაციების საუკეთესო ცენტრი. კლასტერი ეყრდნობა ინოვაციური ტექნოლოგიების მქონე მრავალი მცირე კომპანიების ჯგუფს, რომელთათვისაც დამახასიათებელია „ქვემოდან ზემოთ“ განვითარების ხაზი. აქ 1500-მდე საწარმოში დასაქმებულია 43 000 კაცი და მისი გეოგრაფიული არეალი მოიცავს ქალაქ კემბრიჯს და მის გარშემო 25 მილის რადიუსის ზონას. მეცნიერებატევადი დარგები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების 1/3-ს. კლასტერი ინგლისის აღმოსავლეთით მდებარეობს, იმ რეგიონში, რომელიც ყველაზე დი-

¹ <http://www.ifm.eng.cam.ac.uk/ctm/teg/cambridgetechnopole.html>

ნამიკური ზრდის ტემპით ხასიათდება, რაც სწორედ კემბრიჯის ტექნოპოლის არსებობის შედეგია. კლასტერის უპირატესობები ეფუძნება წარმატებებს მდალ ტექნოლოგიებსა და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში.

„კემბრიჯის მაღალი ტექნოლოგიების კლასტერის შემდგომი განვითარებისთვის თვლიან, რომ აუცილებელია:

- კვლევისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა შედეგების კომერციალიზაციის მიზნით;
- მეწარმეთა კონსულტაცია და სათანადო ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- კლასტერის ძირითადი უპირატესობების მხარდაჭერის მიზნით უცხოელი ინვესტორების მიზანმიმართულად მოზიდვა;
- მაღალტექნოლოგიური ემბრიონული ადგილობრივი საწარმოების განვითარება, საიმედოობისა და სიმყარის უზრუნველყოფის მიზნით;
- ბიზნესის მოთხოვნების შებამისი პროფესიული კადრების მომზადება¹.

აღნიშნული კი აბსოლუტურად თავსებადია იმ მოსაზრებასთან, რომ ცოდნის სამკუთხედი არის კლასტერის საწყისი და მამოძრავებელი ძალა.

¹Greater Cambridge Sub-Regional Economic Strategy 2009-2012, Nigel Brown Chairman Greater Cambridge Partnership, <http://www.gcp.uk.net/downloads/SRES09-12.pdf>. p.33-34.

ნაწილი III. საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარება – გზა ცოდნის სამკუთხედიდან კლასტერებისკენ

3.1. საქართველოს საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირები – ეკონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების საფუძველი*

განათლებისადმი ქართველთა განსაკუთრებული სწრაფვა ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რასაც ამ მცირერიცხოვანი ერის მიერ, მსოფლიოს 14 ანბანიდან ერთ-ერთის შექმნა მოყვა შედეგად. ერის განათლებისადმი აღნიშნულმა განწყობამ დიდ სირთულეებსა და ქარტეხილებს გაუძლო მისი ისტორიის მანძილზე, თუმცა, ხშირად, სწორედ ეს მისწრაფება იყო მისთვის მხნელი.

დღეს, როცა განვითარებულ ქვეყნებში სამთავრობო პოლიტიკის დომინანტი ცოდნის ეკონომიკის მეშვეობით, ინოვაციური ეკონომიკისკენ გადაადგილდა, დღის წესრიგში დადგა „ცოდნის სამკუთხედის“ შემადგენელ მხარეებს შორის (განათლება, სამეცნიერო კვლევები და ინოვაცია-ბიზნესი) ეფექტიანი კავშირის უზრუნველყოფა. ცოდნის სამკუთხედის ორი მხარეა, განათლება და სამეცნიერო კვლევები, რომელთა ეფექტიანი კავშირს დიდი როლი ენიჭება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ხელშეწყობაში. აღნიშნულის გამო, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძლიერ კატალიზატორად სწორედ განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მიგვაჩნია. ამ მიმართულებით კი, თანამედროვე სტანდარტებამდე სწრაფი სვლა სწო-

* პარაგრაფში მოცემული მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, საქართველოს საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირები – ეკონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2011, #2 გვ.31-40.

რედ ეფექტიანი საერთაშორისო კავშირებითაა შესაძლებელი. ასეთი კავშირები საქართველოში უკვე მრავლადაა.

2003 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა დაიწყეს უმაღლესი განათლების პროგრამების რეორგანიზაცია ახალი მიდგომის საფუძველზე, რომელსაც XVI საუკუნის ჰოლანდიელი ჰუმანისტის ერაზმ როტედამელის საპატივცემულოდ უწოდეს ერაზმუს მუნდუსი. დღეისათვის ერაზმუს მუნდუსი არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხებსა და კულტურებს შორის მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ერაზმუს მუნდუსის 2009-2013 წლების მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 1 მლრდ ევროს¹.

ერაზმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა, სამოქმედო მიმართულება 2, არის ევროკავშირის საგანმანათლებლო სქემა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გამყარება ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებთან. ამ პროგრამის შემადგენელი ნაწილია ლოტი 6², რომელიც ფარავს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უნივერსიტეტების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას ევროკავშირის ქვეყნებში. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს, ასევე პოსტ-დოქტორანტებს სამხრეთ კავკასიიდან, აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურ-

¹ <http://eacea.ec.europa.eu>

² <http://www.erasmusmundus5.gr>

რული და საგანმანათლებლო გამოცდილება ევროპაში აკადემიური სწავლით.

ერაზმუს მუნდუსის აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 87 ბენეფიციარს I სამიზნე ჯგუფიდან*, 15 ბენეფიციარს II სამიზნე ჯგუფიდან** და 24 ბენეფიციარს III სამიზნე ჯგუფიდან***, სამხრეთ კავკასიის პარტნიორი და ასევე არაპარტნიორი ინსტიტუტებიდან, ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან².

საქართველოდან ერაზმუს მუნდუსის პარტნიორობაში ჩართული არიან: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გორის უნივერსიტეტი. ევროპული უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან პროექტის პარტნიორები არიან: თესალონიკის უნივერსიტეტი ათეი (საბერძნეთი), სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (გაერთიანებული სამეფო), რომის საპიენზას უნივერსიტეტი (იტალია), ვიანა დოკასტელოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (პორტუგალია), რუსეს უნივერსიტეტი (ბულგარეთი), რეზეკნეს აუგუსტსკოლა (ლატვია) და ბრიუსელის ვრიჯის უნივერსიტეტი (ბელგია).

* I სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი რეგისტრირებული უნდა იყოს მესამე ქვეყნის რომელიმე პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელში. ბაკალავრიატის სტუდენტს წარმატებით უნდა ჰქონდეს დამთავრებული სულ მცირე ერთი სასწავლო წელი მაინც.

** II სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი უნდა იყოს რეგისტრირებული ლოტით განსაზღვრული მესამე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (რომელიც არ არის ჩართული პარტნიორობაში) ან ჰქონდეს საუნივერსიტეტო ხარისხი ან ამ მესამე ქვეყნის ინსტიტუტის ეკვივალენტური ხარისხი. მათ უნდა დაასაბუთონ - რა სარგებელს მისცემთ საზღვარგარეთ ყოფნა (და როგორ იმოქმედებს მათ სოციო-ეკონომიკურ გარემოზე) და ინდივიდუალურ განაცხადთან ერთად მოეთხოვებათ მხარაჰქერის წერილები.

*** III სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი უნდა იყოს სამი ქვეყნიდან რომელიმე ეროვნების და წარმოადგენდეს სოციალურად დაუცველ ჯგუფს.

² <http://www.erasmusmundus5.gr>

ერაზმუს მუნდუსის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გარე თანამშრომლობის ფანჯრის პროექტით, 2010-2011 აკადემიური სასწავლო წელს საქართველოდან გათვალისწინებულია 18 ბაკალავრის, 15 მაგისტრანტის, 10 დოქტორანტის, 3 პოსტ-დოქტორანტისა და 4 აკადემიური პერსონალის მონაწილეობა¹.

მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო კავშირები, რომელიც ჩამოყალიბდა ტემპუსის პროექტებში მონაწილეობით. **ტემპუსი** ევროკავშირის პროგრამაა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში. პროგრამა შეიქმნა 1990 წელს და მოქმედებს 27 ქვეყანაში.

ტემპუსი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას, თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, უნივერსიტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას, უნივერსიტეტის ბაზაზე არაკადემიური კადრების მომზადებას და სხვა აქტივობებს.

1996-2009 წლებში საქართველოში განხორციელდა ტემპუსის 31 პროექტი². 1995 წლიდან ტემპუსის ფარგლებში, საქართველოსთვის გამოიყო 13 მლნ ევროზე მეტი.

2010 წელს საქართველოში მიმდინარეობდა ტემპუსის 12 პროექტი¹, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობდნენ: ივ. ჯავახიშვილის სახე-

¹ <http://www.erasmusmundus5.gr>

² <http://www.tempus.ge>

ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, წნორის კოლეჯი, ბათუმის საზღვაო აკადემია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობის ერთ-ერთი მიმართულებაა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები. "საქსტატის" მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში სასწავლებლად შემოვიდა (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებელში) 832 სტუდენტი (შესაბამისად: 452; 380), ხოლო საქართველოდან გაგზავნილ იქნა სულ 215 სტუდენტი (125; 90).²

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო კავშირები ყველაზე დიდი მასშტაბით, თავს იყრის სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. ფონდი დაარსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის ბრძანებით. იგი არის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) უფლებამონაცვლე.³

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი პროექტებს აფინანსებს 10 სამეცნიერო მიმართულებით, ესენია: ქართველოლოგიის მეცნიერებები; ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებე-

¹ <http://www.tempus.ge>

² <http://www.geostat.ge>

³ <http://www.mes.gov.ge>

ბი; საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; მათემატიკური მეცნიერებები; ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; სამედიცინო მეცნიერებები; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; აგრარული მეცნიერებები.

2006-2009 წლებში საგრანტო კონკურსის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600-მდე სამეცნიერო პროექტი დაფინანსდა, საერთო ბიუჯეტით 25 მლნ ლარამდე.¹ პროექტების შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 1195 უცხოელმა და 35 ქართველმა ექსპერტმა.

2006-2009 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსოფლიოს 52-ზე მეტ ქვეყანაში გასამგზავრებლად დაფინანსდა 311 მეცნიერი (საერთო ბიუჯეტი - 749303 ლარი). 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა კიდევ 70-მდე მეცნიერი მსოფლიოს 18 ქვეყანაში გასამგზავრებლად (საერთო ბიუჯეტი - 176855 ლ.).² საკონფერენციო გრანტების კონკურსით 2008-2010 წლებში დაფინანსდა 10 საგრანტო კონფერენცია.³

მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, 2007-2009 წლებში დასაფინანსებლად შეირჩა 134 პროექტი (10 სამეცნიერო მიმართულებით), საერთო ბიუჯეტით 1812522 ლარი.⁴

უცხოეთში ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების საგრანტო პროექტის ფარგლებში 2009 წელს კონკურსი გამოცხადდა 4 სამეცნიერო მიმართულებით და დაფინანსდა 3 მეცნიერი საერთო

¹ <http://www.rustaveli.org.ge>
² <http://www.rustaveli.org.ge>
³ <http://www.rustaveli.org.ge>
⁴ <http://www.rustaveli.org.ge>

ბიუჯეტით - 26906 ლარი. 2010 წელს კონკურსი გამოცხადდა 8 მიმართულებით, დაფინანსდა 16 მეცნიერი საერთო ბიუჯეტით - 137 953 ლარი¹.

საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელია წამყვანი ქვეყნების აკადემიურ სფეროსთან თანამშრომლობის გააქტიურება, გამოცდილების გაზიარება, ერთობლივ კვლევებში ჩართულობის გაზრდა და სხვა. ამ მიმართულებით საქმიანობის განხორციელების მიზნით ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან, კერძოდ: ფონდში ფუნქციონირებს NATO-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ (NATO SPS) ეროვნული საინფორმაციო ბიურო, რომელიც პროგრამის შესახებ შესაბამის ინფორმაციას ავრცელებს და ქართველ მეცნიერთა საკონსულტაციო დახმარებას ეწევა².

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი ახორციელებს ერთობლივ „ბიზნეს-პარტნიორობის პროგრამას“, რომლის მიზანია გამოავლინოს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე სამეცნიერო პროექტები, ხელი შეუწყოს მათი ავტორების კოოპერაციას ადგილობრივ საწარმოებთან, სტიმული მისცეს ახალი ტექნოლოგიების გადაცემას და მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებას.³

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი ახორციელებენ ერთობლივ „მიზნობრივი ინიციატივების პროგრამას“. პროგრამით გათვალისწინებულია ერთობლივი კონკურსის ორგანიზება, რომლის მიზანია საქართველოში გამოყენებითი კვლევების დონის ამაღლება, მასობრივი განადგურების

¹ <http://www.rustaveli.org.ge>

² <http://www.rustaveli.org.ge>

³ <http://www.rustaveli.org.ge>

იარაღის შექმნასთან დაკავშირებულ სამეცნიერო თემებში ადრე დაკავებული ქართველი მეცნიერების ჩართვა მშვიდობიან/კონვერსიულ პროექტებში, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის გაფართოება¹.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი ანხორციელებენ ერთობლივ „საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამას“, რომლის ფარგლებშიც სრულდება ერთობლივი სამეცნიერო პროექტები სამ პრიორიტეტულ სფეროში: მათემატიკა, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, დემიწის შემსწავლელი მეცნიერებები. 2011 წლის გაზაფხულზე იგეგმება პროგრამის ფარგლებში მეორე ერთობლივი კონკურსის გამართვა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, როგორც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის უფლებამონაცვლე, დაკავშირებულია იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსთან - „შეთანხმებით სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ“². ფონდი ასევე მონაწილეობს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის სამეცნიერო სექტორის მუშაობაში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მონაწილეობს ევროკავშირის კომისიის მიერ ევროკავშირის კვლევისა და განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ორ პროექტში:

1. „აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში“ (IncoNetEECA). პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერთა კოოპერაციის გაღრმავებას ევროკავშირის ქვეყნებთან და მეცნიერების პოლი-

¹ <http://www.rustaveli.org.ge>

² <http://www.rustaveli.org.ge>

ტიკის ჰარმონიზაციას, ერთობლივი კვლევების ხელშეწყობას, ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას, რეგიონის მეცნიერთა მე-7 ჩარჩო პროგრამაში მონაწილეობის ხელშეწყობას და სხვა. პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის 23 ორგანიზაცია. ხანგრძლივობა შეადგენს 54 თვეს (2008 წლის იანვარი – 2012 წლის ივნისი);

2. „შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება“, პროექტის ძირითადი მიზანია შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამაღლება, ეროვნული პროგრამების ურთიერთკოორდინაცია, ერთობლივი რეგიონული კონკურსის ორგანიზება, რეგიონისთვის სამეცნიერო პროგრამის მომზადება. პროექტში მონაწილეობს 13 ქვეყნის 17 ორგანიზაცია, ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს (2009 წლის იანვარი – 2011 წლის დეკემბერი).¹

დაწყებულია მოლაპარაკებები გერმანიის სამეცნიერო ფონდთან სამეცნიერო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადების თაობაზე. ასევე გააქტიურებულია მუშაობა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან სამეცნიერო და ტექნოლოგიური ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადების მიმართულებით.²

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის საქართველო ხასიათდება მყარი საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირებით, რაც მთლიანად ქვეყნის მასშტაბითაა განფენილი. ამაზე მიუთითებს საერთაშორისო პროექტებში მონაწილე რეგიონული უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ჩამონათვალი, რაც

¹ <http://www.rustaveli.org.ge>

² <http://www.rustaveli.org.ge>

რეგიონებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას გაცილებით გაამარტივებს.

ნაშრომში საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირების ერთობლივად წარმოდგენის მიზანი იყო ის, რომ გვეთქვა **როგორ, ვინ და რის საფუძველზე** უნდა დაიწყოს ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უმოკლეს ვადაში შექმნის ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარების საფუძველს. მიგვაჩნია, რომ:

- ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სისტემაში, ასევე ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით მიმდინარე რეფორმები საკმაოდ წინააღმდეგობრივია, ხოლო მისი მეცნიერული კვლევა მხოლოდ ცალკეული შეფასებების სახით არსებობს. ეს ჩვენი აზრით, ეფექტიანი შედეგების მისაღებად საკმარისი არაა. რეფორმები, უმჯობესია გაერთიანდეს გრძელვადიან საინოვაციო პოლიტიკაში, რომელიც აიგება ცოდნის სამკუთხედისა და კლასტერების კონცეფციების გამოყენებით;
- აღნიშნული პოლიტიკის ინიცირება დაიწყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ვინაიდან ის მართავს რეფორმებს განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით;
- აუცილებელია შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია მისი იმ დარგების გამოყოფით, რაშიც ქვეყანას აქვს რეგიონში კონკურენციული უპირატესობები (განათლება და მეცნიერება; მედიცინა; სოფლის მეურნეობა; ტრანსპორტი; ტურიზმი);
- განათლებისა და მეცნიერების განვითარების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს მრავალი მიმართულებით, კერძოდ: განათლება განათლებისთვის, განათლება როგორც ბიზნესი, განათლება – მეცნიერე-

ბის საერთაშორისო კვლევებში ჩასართავად; განათლება ქვეყნის პრიორიტეტული დარგების მიხედვით (მედიცინა; სოფლის მეურნეობა; ტრანსპორტი; ტურიზმი; ასევე თითოეული მათგანის მრავალი ქვე-მიმართულება). აღნიშნულის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით;

- პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს ცოდნის სამკუთხედის სამი მხარის მიხედვით პრიორიტეტულ დარგებში არსებული რგოლები;
- იმ დარგებში, სადაც არ იქნება ცოდნის სამკუთხედის მოდელის შემადგენელი მხარეები, უნდა დაიგეგმოს მათი შექმნა. იქ კი, სადაც სამკუთხედის სამივე მიმართულებით ფუნქციონირებს სუბიექტები, ხელი უნდა შეეწყოს მათ შორის ეფექტიანი კავშირების ჩამოყალიბებას და კლასტერების აგებას;
- კლასტერში სინერგიული ეფექტების მიღება სწრაფად მიმდინარეობს. აქ ფორმალური და არაფორმალური განათლება ერთმანეთს ავსებს, ბიზნესის დასაწყებად ბარიერები დაბალია, ინვესტიციები მიზანმიმართულად შემოდის, განათლება მაღლდება, დასაქმება იზრდება და დარგის განვითარებას მდგრადი ხასიათი აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში, ვფიქრობთ, გაცილებით სწრაფად შეიძლება მიღწეულ იქნეს დასაქმების დონის ამაღლება, ინვესტიციების მოზიდვა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც დღეს საქართველოს მთავრობას აქვს პრიორიტეტულად აღიარებული.

საქართველოში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობები რეკრეაციული ტურიზმის მაგალითზე*.

მრავალფეროვანი კლიმატური პირობები, მაღალი ვერტიკალური ზონალობა საქართველოს ანიჭებს ტურიზმის მრავალი მიმართულებით განვითარების დიდ შესაძლებლობებს. მათ შორის ერთ-ერთი და ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი – რეკრეაციული ტურიზმია. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ საქართველოში 340 საკურორტო ადგილია, რომლებიც გამოიყენება ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის. საკურორტო ადგილებისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული მიკროკლიმატი, მინერალური წყლების ან სამკურნალო ტალახების არსებობა. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ მინერალურ წყლებზე.

კავკასიის რეგიონში საქართველო სარგებლობს კონკურენციული უპირატესობით უნიკალური სამკურნალო მინერალური წყლების დიდი რაოდენობის მიხედვით. ცნობილია მინერალური წყლების თითქმის ყველა ტიპის 2000-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავალი. 1982 წელს წარმოებდა 16 დასახელების წყლის ჩამოსხმა: წლიური პროდუქცია 370 მლნ. ბოთლზე (0,5ლ) მეტი¹.

მინერალური წყლის მოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე ხორცილედება ნერვული და ჰუმორული გზით, რომელთა შორისაც მჭიდრო კავშირი არსებობს. კუჭში ჩასული მინერალური წყალი იწვევს მის გაღიზიანებას (ქიმიურ, თერმულ და სხვა ხასიათის). ეს გაღიზიანება გადაეცემა თა-

* პარაგრაფში მოცემული მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობები რეკრეაციულ ტურიზმში საქართველოში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი, 2011, გვ. 719-723.

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბ., 1983, გვ.712-713.

ვის ტვინის ქერქს, საიდანაც სათანადო იმპულსები ბრუნდება შესაბამის ორგანოებში. გარდა ამისა, მინერალური წყალი შეიწოვება, ნაწლავიდან გადადის სისხლში, შემდეგ კი სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში. მინერალური წყალი ნერვულ-ჰუმორული გზით მოქმედებს ქსოვილთა და ორგანოთა ნივთიერებათა ცვლაზე და აწესრიგებს ორგანოთა დარღვეულ ფუნქციებს.

მინერალური წყლების სამკურნალო მოქმედებას განსაზღვრავს მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები: ტემპერატურა, მინერალიზაცია, იონური შემადგენლობა, წყალში გახსნილი აირები, რადიოაქტიურობა, ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნაერთებისა და მიკროელემენტების შემცველობა და ა.შ. ტემპერატურის მიხედვით გამოიყოფა მინერალური წყლების შემდეგი ჯგუფები: ძლიერ ცივი 4 გრადუსამდე, ცივი 4-20 გრადუსამდე, თბილი 20-37 გრადუსამდე, ცხელი (თერმული) 37-42 გრადუსამდე, ძლიერ ცხელი (ჰიპოთერმული) 42 გრადუსზე მეტი.

წყლის მინერალიზაცია განისაზღვრება მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების საერთო რაოდენობით. განარჩევენ წყლის სუსტ (2 გ/ლ-მდე), მცირე (2-5 გ/ლ), საშუალო (5-15 გ/ლ), მაღალ (15-30 გ/ლ), ნაჯერ (30-150 გ/ლ) და ზენაჯერ (150 გ/ლ-ზე მეტი) მინერალიზაციას. კურორტებზე მინერალური წყლებს იყენებენ სასმელად, აბაზანებისთვის, შხაპების, შესხურების, ინჰალაციისა და გამოვლებისათვის.¹

მინერალური წყლის ორგანიზმზე მოქმედება არ შეიძლება განხილულ იქნეს სხვა სამკურნალო ფაქტორთაგან (ჰავა, ლანდშაფტი, პეიზაჟი, სანატორიუმები, რეჟიმი, კვება) იზოლირებულად. აღნიშნული ფაქტორები გარკვეულ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბ., 1983, გვ. 713.

საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული მინერალური წყლები შედგება ნახშირბადი მჟავებისაგან. ასეთებს განეკუთვნება ბორჯომი, ნაბეღლავი და საირმე. სხვა ბალნეოლოგიური კურორტებიდან აღსანიშნავია უწერა, სურამი, წყალტუბო. აღნიშნული მინერალური წყლები გამოიყენება რევმატიზმის, საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური და კარდიოვასკულარული დაავადებების ეფექტურ სამკურნალო საშუალებად.

მთის ბალნეოლოგიურ-კლიმატურ კურორტებს განეკუთვნება აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ჯავა, კოჯორი, კიკეთი და მანგლისი, რომლებიც განლაგებულია 1000-1500 მეტრის სიმაღლეზე. მაღალმთიანი კურორტები შოვი, ბახმარო, ლებარდე და აუდხარა, რომლებიც მდებარეობენ 1500-2000 მეტრის სიმაღლეზე, წარმოადგენენ ფილტვის, ტუბერკულოზის, ბრონქიალური ასთმის, ანემიის, ზოგიერთი კარდიოვასკულარული დაავადებების, ნევროზის და სხვა დაავადებების წარმატებული მკურნალობის საშუალებას¹.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ საირმის მინერალურ წყალსა და მთლიანად კურორტზე. კურორტი საირმე მდებარეობს იმერეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მდინარე წაბლარას ხეობაში, ზღვის დონიდან 915-950 მ სიმაღლეზე. ქუთაისიდან 50 კმ-ის დაშორებით. საირმეში მოხვედრა ასევე შესაძლებელია აბასთუმანი-ბენარას გზითაც. საირმის წყლების მინერალიზაცია მერყეობს 2,3 გ/ლ-დან 9,8გ/ლ-მდე.² მათი მთავარი შემადგენელი ნაწილია ნატრიუმის, კალციუმის და მაგნიუმის ბიკარბონატები, გარდა ამისა, ყველა წყარო მდიდარია ნახშირმჟავათი³.

¹ <http://www.mfa.gov.ge>

² ა. ჯანელიძე, მკურნალობა საირმის წყაროებით, გამომცემლობა "ინოვაცია", ბაღდათი, 2008, გვ. 35.

³ იქვე, გვ. 36-37.

დღეს, როცა თირკმელებში, ნაღვლის ბუშტსა და სხვა ორგანოებში კენჭების გასაქრობად ძვირადღირებული ურთულესი ოპერაციები ლაზერით ტარდება, საირმის წყაროებს იგივე შეუძლია უმტკივნეულოდ და ქირურგიული ჩარევის გარეშე. საირმის წყლები აწესრიგებს თირკმლის, ღვიძლის და კუჭ-ნაწლავის დარღვეულ ფუნქციებს, ხელს უწყობს ორგანიზმზე ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოქმნილი მავნე პროდუქტების გამოყოფას.

საირმის საკურორტო ზონის ერთ-ერთი ნაწილია უდაბნოს ბუნებრივი წყალი. იგი ამოდის მიწის წიაღიდან, რომლის ტემპერატურაა 39 გრადუსი და გამოიყენება, როგორც აბაზანების სახით, ასევე სასმელად. იგი უებარი საშუალებაა ყელის კატარისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ. აბაზანები ავადმყოფებს ენიშნებათ მოძრაობის ორგანოების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, კანისა და ზოგიერთი სხვა დაავადებების სამკურნალოდ¹.

ცნობილია საირმის სილამაზის წყარო, რომელიც მდებარეობს საირმე-აბასთუმნის გზის მარჯვენა შესახვევში, გზიდან 20 მეტრში. წყარომ სამართლიანად დაიმკვიდრა სილამაზის წყაროს სახელი, ანალიზმა და დაკვირვებებმა აჩვენა, რომ წყარო შეიცავს კანის გამწმენდ მრავალ მინერალს. წყარო ასუფთავებს კანს მიკრობებისგან, ხდის ელასტიკურს და ნაზს. ეფექტურია გამოსაყენებლად, როგორც მშრალი, ასევე ცხიმიანი კანისთვის, უბადლოა გამონაყარის გასაქრობად. სამკურნალოდ იყენებენ როგორც წყაროს, ასევე მინერალებით გაჯერებულ წებოვან მიწას². საირმეს ამ მხრივაც აქვს განვითარებისა და სეზონურობის აღმოფხვრის საშუალება, თუ შეიქმნება პარფიუმერული ნაწარმის გამომშვები მცირე საწარ-

¹ იქვე, გვ. 45.

² ა. ჯანელიძე, მკურნალობა საირმის წყაროებით, გამომცემლობა „ინოვაცია“, ბაღდათი, 2008, გვ. 44.

მო. გავიხსენოთ, რომ მსოფლიოში ცნობილი „ვიში“-ს კოსმეტიკური საშუალებები მზადდება ამავე სახელწოდების თერმული წყლის გამოყენებით და მისი შემცველობა ქართული „ბორჯომი“-ს ანალოგიურია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საირმის კურორტი რეკრეაციული ტურიზმის ერთ-ერთი ძალზე დიდი პოტენციის მქონე კერაა, მაგრამ სამწუხაროდ (მცირეოდენი გამოწვევის გარდა), იგი სავალალო მდგომარეობაშია. ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს როგორც საცხოვრებელი, ასევე სამკურნალო-სარეაბილიტაციო დანადგარები და ინფრასტრუქტურა. თითქმის არ არსებობს გასართობი და კულტურული პროგრამები დამსვენებლებისთვის. არადა, მეზობელი ქვეყნებიდან (აზერბაიჯანი, სომხეთი) ჩამოსული დამსვენებლების რიცხოვნობა წლიდან-წლამდე იზრდება. არ მუშავდება ღონისძიებები საირმის კურორტის მოკლევადიანი სეზონურობის (სეზონი მხოლოდ სამი თვე გრძელდება) გახანგრძლივების მიზნით. მიუღებლად მიგვაჩნია საირმის კურორტის გასხვისება უცხოელ ინვესტორზეც, ვინაიდან ამისი ცუდი მაგალითი ლიკანის შემთხვევაშიც სახეზეა.

ტურიზმის განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის გვსურს აღვნიშნოთ, რომ უნიკალური რეკრეაციული საკურორტო ზონების განვითარება და მათი შესაბამისი სათანადო მარკეტინგული კამპანია დიდი შემოსავლის მომცემი იქნება, როგორც მთლიანად ქვეყნის ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ რეკრეაციული ტურიზმის განვითარება უკავშირდება უნიკალურ გარემო პირობებსა და მინერალურ წყლებს, რაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, იმ რაოდენობით რაც საქართველოშია, არ გააჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოთხოვნა (და შესაბამისად მასზე გასაწევი დანახარჯები) არაელასტიკურია, რაც იმას ნიშნავს,

რომ ინდივიდი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად თანხებს ყოველთვის გამონახავს, ხოლო სამოგზაუროდ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, როცა ამ სახის დანახარჯები მის შემოსავალზე დიდ გავლენას არ ახდენს (გავიხსენოთ საბერძნეთის მაგალითი, როცა ფინანსური კრიზისის პირობებში შემეცნებითი და სამოგზაურო ტურიზმის ინდუსტრია მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა). ეკონომიკის თეორიიდან კი ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არელასტიკური მოთხოვნის დროს მოგების მაღალი ნორმის მიღებაა შესაძლებელი¹.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ტურიზმის დარგის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია შეიქმნას ტურიზმის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რაც დღემდე არ არის შემუშავებული;
- ტურიზმის განვითარების პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს ამ დარგში ცოდნის სამკუთხედის სამი მხარის (განათლება, მეცნიერება, ბიზნესი-ინოვაცია) შესწავლა-გამოყენებას;
- რეკრეაციული ტურიზმის განვითარების მიზნით საჭიროა საქართველოს კურორტების პოტენციალის მეცნიერული შესწავლა;
- აუცილებელია შეიქმნას თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც ჩატარდება მინერალური წყლების გამოკვლევა სამკურნალო წყლების შემადგენლობის, მკურნალობის თანამედროვე მეთოდებში მათი გამოყენების და პარფიუმერული ბიზნესისთვის ვარგისიანობის დასადგენად;

¹ დაწვრილებით იხილეთ: მიკროეკონომიკა (სახელმძღვანელო), ე. ხარაიშვილი, ი. გაგნიძე, მ. ჩავლეიშვილი, ი. ნაცვლიშვილი, მ. ნაცვალაძე, გამომც. "უნივერსალი", თბ., 2008, გვ. 264-282.

- თანამედროვე კვლევები უნდა დაეფუძნოს იმ მდიდარ სამეცნიერო მასალას, რაც შეიქმნა XX საუკუნის 60-70-იან წლებში კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მისი გაცნობა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში;
- სამედიცინო განათლების მიხედვით რეგიონში კონკურენციულ უპირატესობაზე მიუთითებს სამკურნალო მიზნით ჩამოსულ ტურისტთა დიდი რიცხვი, ასევე, ამ მიმართულებით განათლების მიღების მსურველ უცხოელ სტუდენტთა დიდი რაოდენობა;
- სამედიცინო განათლების სფეროში აუცილებელია აღორძინდეს გამაჯანსაღებელი, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო სასწავლო პროგრამები ადგილობრივი კურორტების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- საკურორტო ადგილებზე ხელი უნდა შეეწყოს ბიზნესის განვითარებას იმავე პირობებით, რაც მთავრობის მიერ იქნა შეთავაზებული შავიზღვისპირა კურორტებზე, არამარტო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, არამედ სათანადო სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის, შესაქმნელად;
- კოსმეტიკური და პარფიუმერული პროდუქტების წარმოების განვითარების მიზნით, სასურველია ფრანგი სპეციალისტების მოწვევა და მათი გამოცდილების შესწავლა;
- კურორტების პოპულარიზაციის მიზნით შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს სხეულის გამაჯანსაღებელი მოკლევადიანი (3

დღე) პროგრამები. ის დანერგილია და წარმატებით ხორციელდება წყალტუბოში¹.

- საჭიროა შემუშავდეს ეფექტიანი მარკეტინგი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის პროფილაქტიკურ მკურნალობაში გათვითცნობიერების ამაღლების მიზნით.

ყოველივე აღნიშნულის განხორციელებით, ვფიქრობთ, მიღწეული იქნება საქართველოს სამკურნალო წყლების ეფექტიანი გამოყენება, უამრავი ავადმყოფი ადამიანი იგრძნობს შევებას, ხოლო საქართველოსა და მის მოსახლეობას ამ კეთილშობილური საქმით დიდი შემოსავლების მიღება შეუძლია.

3.2. საქართველოს ეკონომიკაში პოტენციური

კლასტერების შესახებ

თანამედროვე მსოფლიოს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მართვა ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით. ეს განპირობებულია მათი განსხვავებული სასტარტო პირობებითა და მემკვიდრეობით, ტრადიციებითა და ეროვნული კულტურის ფასეულობებით, ინოვაციურობით, პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების მომზადების დონითა და სხვა ფაქტორებით. აღნიშნულის მიუხედავად, მაინც არსებობს ეკონომიკის მართვის ისეთი უნივერსალური მეთოდები, რომლებსაც მრავალ ქვეყანაში წარმატებული და ეფექტიანი შედეგები მოაქვს. ჩვენი აზრით, ასეთ მეთოდებს განეკუთვნება კლასტერის კონცეფცია და მისი გამოყენება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების მართვაში.

ნებისმიერი მთავრობის წინაშე დგას ორი ამოცანა: პირველი, კონკურენტუნარიანობის მისაღწევად მას ესაჭიროება კერძო სექტორსა და

¹ <http://www.welcome.ge>

სხვა მხარეებს შორის ეფექტიანი დიალოგისა და საქმიანობის წარმართვა. მეორე, საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისთვის, ესაჭიროება ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკა, ინვესტიციების მიზიდველობა, სათანადო უნარების განვითარება და ინოვაციურობა. **ორივე აღნიშნული ამოცანა წარმატებით წყდება კლასტერების საშუალებით.**

აღნიშნულთან ერთად გავისხენოთ, რომ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამერიკელი მკვლევარები კლასტერებს თვლიან მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ნაწილად (იხ. სქემა 1.3.1 „ბ“), ხოლო ევროპაში საინოვაციო პოლიტიკის განუყრელ ნაწილად მოიაზრებენ კლასტერებს (იხ. პარაგრაფი 2.4).

აღნიშნულის გამო, შევჩერდებით იმ პოტენციურ კლასტერებზე, რომელთა შესახებ ჩვენს სტატიებში გვაქვს აღნიშნული. ვფიქრობთ, მათი შექმნა საქართველოს ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ესენია: სოფლის მეურნეობის, ხე-ტყის გადამამუშავებელი და ტურიზმის კლასტერი.

სოფლის მეურნეობის კლასტერი საქართველოში*. საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის კლასტერის ფორმირება, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება დარგის განვითარების დაჩქარების მიზნით. აღნიშნულის დასაბუთებისათვის გადავწყვიტეთ მოგვეძებნა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მწარმოებელი მსოფლიოში ცნობილი და წარმატებული კლასტერების მაგალითები.

* მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, კლასტერი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი გარანტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, თსუ, 2011.

ევროპული კლასტერების ობსერვატორიაში 2010 წლის II კვარტალში მომზადებულ ცნობარში მოცემულია ინფორმაცია 1307 კლასტერის შესახებ.¹ მათ შორის არის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამამზადებელი 55 კლასტერი, საკვები პროდუქტების მწარმოებელი 45 კლასტერი. მათ გარდა ვიწრო სპეციალიზაცია აქვს ხორცის და ხორცპროდუქტების მწარმოებელ 4 კლასტერს, ღვინის მწარმოებელ 6 კლასტერს, ხილისა და ბოსტნეულის 4 კლასტერს და ა.შ. აღნიშნული კლასტერები ფუნქციონირებს საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, დანიაში, ფინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში. ზემოჩამოთვლილ კლასტერებს შორის საფრანგეთში არის 19, რომელთაგან სამი არის ამ ქვეყნის ეკონომიკაში მოქმედ ყველაზე ძლიერ 15 კლასტერს შორის.

იმის გამო, რომ საფრანგეთს დიდი გამოცდილება აქვს სასოფლო-სამეურნეო მიმართულების კლასტერებში და მისი და საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები მეტ-ნაკლებად მსგავსია, ვთვლით, რომ საინტერესო იქნება მათი გამოცდილების გაცნობა ქართველი სპეციალისტებისთვის.

საფრანგეთში ლოირის ველზე (ქალაქები ანჟერი, ნანტი, საუმური) მსოფლიოში ცნობილ კლასტერში გაერთიანებულია 4000 კომპანია, 30000 სამუშაო ადგილი, 450 მკვლევარი, 2500 სტუდენტი, 25 უმაღლესი ტრენინგ-კურსი.² საქმიანობა ხორციელდება 8 დიდი მიმართულებით, იწარმოება მარცვლეული, ხილი, ღვინო, ბოსტნეული, სამკურნალო და სურნელოვანი მცენარეები, სოკო, სიდრი და სხვა.

¹ აღნიშნული გამოშვება ჯერჯერობით ბოლოა (ი.გ.).

² www.vegepolys.eu

საფრანგეთში ქ. რეიმსის რეგიონში (პარიზთან ახლოს) განვითარებულია ასევე ბიოტექნოლოგიისა და ფრანგული მწვანე ქიმიის კლასტერი.¹ კლასტერის საქმიანობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: სასოფლო-სამეურნეო მასალები, ბიომოლეკულები, ბიო-ენერჯია, მცენარეული ექსტრაქტები და სხვა.

ანტიციპას ტექნოპოლი მდებარეობს ტრეგორ-გოელოს ტერიტორიაზე. ოლქში განვითარებულია საკვების წარმოება, აქ მოქმედი 37 კომპანიიდან რამდენიმე საფრანგეთის „ნაციონალური მოთამაშეა“².

მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული ფრანგული საკვები პროდუქტების კლასტერი ჩამოყალიბდა აგრამიპის, ვალორიალისა და ვიტაგორას სამი კონკურენტუნარიანი კლასტერის გაერთიანებით. შუა პირენეის სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის ამ ფლამანდიურ კლასტერში გაერთიანებულია 106 კომპანია, 19 კვლევითი, ტექნოლოგიის გადამცემი და ტრენინგ ორგანიზაცია, ასევე 128 სხვა ინსტიტუციონალური წევრი. ეს კლასტერი რეგიონში ქმნის 100 000 სამუშაო ადგილს, აწარმოებს 5 მლრდ ევროს პროდუქტს, ხოლო ამ პროდუქტების მომხმარებელთა რიცხვი შეადგენს 19,6 მლნ მომხმარებელს. 99 კომპანია ჩართულია ინოვაციურ პროექტებში.³

აქვიტანიაში, ბორდოში მიმდინარეობს მუშაობა ინოვაციური პროცესების გასავითარებლად საკვები და ჯანდაცვის პროდუქტების წარმოებაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აქვიტანიის რეგიონში გაერთიანებულია სამრეწველო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო რესურსები აგრო-წარმოების, ბიოტექნოლოგიების, ფარმაკოლოგიისა და მედიცინის მიმარ-

¹ www.iar-pole.com

² www.technopole-anticipa.com

³ <http://www.agrimipinnovation.com>

თულებით. აქ კლასტერი ინტენსიურად ეძებს და სწრაფად პოულობს კონკრეტულ ინოვაციურ წინადადებებსა და მათი დაფინანსების გზებს.¹

ქალაქ მონპელიეს გარშემო ფუნქციონირებს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი, ოცდახუთწლიანი თანამშრომლობის ისტორიის მქონე, კლასტერი. მისი საქმიანობა მოიცავს სოფლის მეურნეობას, საკვების, ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის საკითხებს.² მონპელიეში კლასტერის წევრი კომპანიების, კვლევისა და ტრენინგების ორგანიზაციების საერთო რაოდენობა 130 აჭარბებს.³ აღნიშნული კლასტერის სამუშაო პრობლემატიკაა: მცენარეთა ჯიშობრივი გაუმჯობესება, ბიოტექნოლოგია და გენური ინჟინერია, კვება და დაცვა, მწვანე ქიმია, სასოფლო-სამეურნეო პროცესების მოდელირება, მონიტორინგი, წყლის რესურსების მიწოდების სიზუსტე და მართვა, პროდუქტების მოყვანა, აღება, გადამუშავება და კონსერვირება, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მცენარეებისა და მარცვლეული კულტურების წარმოება. სამიზნე ბაზრებია: აგრო-ინტელექტუალური მოწყობილობები, საკვები პროდუქტების წარმოება სამ სექტორში: ყურძენი, ხილი და ბოსტნეული, მარცვლეული კულტურები.⁴ კლასტერის წევრთა მიზანია ხმელთაშუაზღვისპირეთში სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ რეგიონში ახალი პროდუქტებისა და მათთან დაკავშირებული პროცესების შემუშავება.

ქალაქ აპტში კლასტერი სპეციალიზებულია ალუბლის წარმოებაზე. ესაა ხმელთაშუაზღვისპირეთში ყველაზე დიდი ალუბლის (ცნობილია ნაპოლეონის სახელით) გამომყვან-მწარმოებელი კლასტერი. აქ მზადდება დაშაქრული ალუბალი, ალუბლიანი მზა ნამცხვრები და სხვა სახეობის

¹ www.prodinnoov.fr

² www.agropolis.fr

³ <http://www.qualimediterranee.fr/nos-adherents/annuaire.htm>

⁴ <http://www.qualimediterranee.fr/le-pole/notre-strategie.html>

ტკბილეულობა და საკონდიტრო ნაწარმი. რეგიონში 3000 ჰა მიწაზე 26 მწარმოებელ ორგანიზაციას და 6000 ფერმერს ყოველწლიურად მოყავს 18000 ტ ალუბალი¹.

ქალაქ რენეს გარშემო არსებულ ვალორიის კლასტერში გაერთიანებულია 200-ზე მეტი კომპანია, კვლევითი და სატრენინგო ორგანიზაცია, აქ ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს სამომავლო საკვების დასამზადებლად. კვლევის მიმართულებებია რძე და მისი პროდუქტები, კვერცხი, საკვების მიკრობიოლოგია, ბოსტნეული, ხორცი და ხორცპროდუქტები, ჯანსაღი კვება, დიეტა და სხვა².

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში, ბელორუსისა და საქართველოს გარდა, მიმდინარეობს კლასტერების შექმნა. 2009 წლის მაისში მომზადებულ „USID-ის მხარდაჭერით მოქმედი ევროპისა და ევრაზიის რეგიონების კონკურენტუნარიანობის პროექტების მიმოხილვა“-ზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, კლასტერებზე დაფუძნებული პროექტების განხორციელების პირველი ფაზა მოლდოვასა და სომხეთში დაიწყო 2004 წელს, აზერბაიჯანში - 2008 წელს, უკრაინაში – 2009 წელს³. ალბათ, დასაფიქრებელია, რატომ იგვიანებს მართვის ასეთი ეფექტიანი მოდელის დანერგვა საქართველოს ეკონომიკაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონულ გვერდზე განთავსებულ სამინისტროს დებულებაში⁴ მითითებულია, რომ „სამინისტრო ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მისი შეს-

¹ www.anibi.com

² http://www.pole-valorial.fr/valorial/nos_partenaires.php

³ www.clusterobservatory.eu; Overview of USAID-Supported Competitiveness Projects Europe and Eurasia Region, p.3-4.

⁴ <http://www.moa.gov.ge/index.php?pg=db>

რულების კონტროლს“ (მუხლი 1. პარაგრაფი 3,) თუმცა, დღემდე შემუშავებული არ არის დარგის განვითარების სტრატეგია.¹ ძალზე მწირია სამინისტროს მიერ მომზადებული პუბლიკაციების ჩამონათვალი და ის საერთოდ არ შეიცავს ანალიტიკურ მასალას იმ მიმდინარე პროექტებისა თუ სამომავლო გეგმების შესახებ, რაც სამინისტროში იგეგმება და ხორციელდება. ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, სამინისტრომ სწრაფად უნდა დაიწყოს დარგის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა, რისთვისაც კლასტერების კონცეფციის გამოყენება ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია იქნება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის კლასტერის შემადგენელ ნაწილებად შეიძლება განვიხილოთ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სახელმწიფო სხვადასხვა სააგენტო, კავშირი და ასოციაცია; საგანამანათლებლო დაწესებულებები (ინსტიტუტები, სპეციალური სასწავლებლები, კოლეჯები, გადამზადების ცენტრები), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები; სანერგე და სანაშენე მეურნეობები; სასათბურე კომპლექსები; ვეტერინარული მომსახურება; საირიგაციო სისტემები; სასუქებისა და პესტიციდების წარმოებისა და მომარაგების ფირმები, სალიზინგო კომპანიები (მანქანები, ტრაქტორები), საკრედიტო და სადაზღვევო ორგანიზაციები, პროდუქტების შემნახველი, გადამზიდავი და გასაღების ორგანიზაციები; საკვები პროდუქტების მწარმოებელი ფერმერები და ფირმები, მარკეტინგული და სარეკლამო სამსახურები და სხვა. ეს სამსახურები ცალკეული რეგიონისა და დარგის მიმართულებით უნდა ამუშავდეს და დაუკავშირდეს ერთმანეთს.

¹ <http://www.moa.gov.ge/index.php?pg=stg>

ხე-ტყის გადამამუშავებელი კლასტერი*.

რატომ უნდა განვიხილოთ ეკონომიკა კლასტერების პრიზმით და არა კომპანიების, დარგებისა და სექტორების სახით? სიტუაციის განხილვა დარგისა და საკმაოდ ვიწრო სექტორებისათვის, დაიყვანება ამ პროცესებში მონაწილე კომპანიების ინტერესების ლობირებამდე, სუბსიდიების გამოყოფამდე ან საგადასახადო წნეხის შემსუბუქებამდე. შედეგად, მიღებული სუბსიდიები იწვევს სხვა დარგებში სარგებლის გადადინებას და შეიძლება ბაზრის დეფორმირებაც კი გამოიწვიოს.

საკითხის განხილვის გამარტივების მიზნით, მოვიყვანთ ხე-ტყის გადამამუშავების პორტუგალიური კლასტერის¹ მაგალითს (იხ. სქემა 3.2.1). ვფიქრობთ, იგი ძალზე საინტერესო იქნება ისეთი ქვეყნისთვის, სადაც ბუნებრივ რესურსებს შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტყის რესურსებს.

სქემიდან 3.2.1 ჩანს, რომ ხე-ტყის გადამამუშავებელი კლასტერი აერთიანებს ისეთ საწარმოებს, როგორცაა: ქაღალდისა და ცელულოზის წარმოება, ქაღალდის დასამზადებელი ქიმიური საშუალებები, საღებავები, კარდონებისა და შესაფუთი ქაღალდების წარმოება, მეორადი გადამამუშავება, საბეჭდი ქაღალდის წარმოება, ხელსახოცებისა და სანიტარული მასალების წარმოება, ასევე სამშენებლო მასალები, სუვენირები და სათამაშოები, საცობები და კასრები ღვინის წარმოებისთვის, საინჟინრო კონსალტინგი, სახერხი მანქანები, ხე-ტყის გადაზიდვა, ავეჯის წარმოება, შე-

* მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, კლასტერების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2008, #3, გვ. 47-56.

¹ Маикл Портер – Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002, с. 209.

დახარისხების პროცედურები, ხოლო ხის მხერხავ სექტორს ხე უნდა დაემუშავებინა უფრო პროგრესული მეთოდებით. ასევე განხორციელდა ხის მასალაზე კლასიფიკაციის სტანდარტების შემუშავება. მსგავსი კავშირები ყოველთვის უკეთესადაა გააზრებული და დადგენილი კლასტერის შიგნით, ვიდრე ცალცალკე მყოფ მონაწილე-ფირმებს შორის.

ურთიერთშევსების სხვა მიზეზები კლასტერის შიგნით ეხება კლასტერის მონაწილეთა საქმიანობის საუკეთესოდ დაგეგმვასა და რიგობის განსაზღვრას. მაგ.: ხის ნაწარმის წარმოების კლასტერში ხის სახერხი ქარხნების მწარმოებლურობა დამოკიდებულია მაღალხარისხიანი ხის მიწოდების სიმყარეზე ავეჯის წარმოებისთვის (უმადლესი ხარისხი) ან ტარისა და ყუთებისთვის (შედარებით დაბალი ხარისხი), ან ჩხირების, სუვენირების და სხვა მცირე ნაკეთობებისთვის (ყველაზე დაბალი ხარისხი) ხის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების უნარზე.

საქართველოში სატყეო მეურნეობის მართვა მხოლოდ გასხვისებით არაეფექტიანია. იგი სხვა ქვეყანაში გადაიტანს იმ კონკურენციულ უპირატესობებს, რაც შესაძლებელია აქ შეიქმნას. გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტის "საქართველოს სატყეო პოლიტიკა", თანხმად „ტყის ფონდის ტერიტორიის ძირითადი მესაკუთრე სახელმწიფოა, თუმცა, ტყის ფონდის გარკვეული ტერიტორიების საკუთრების საკითხი სამართლებრივ ვაკუუმშია მოქცეული და ჯერ კიდევ გაურკვეველია (იხ. ცხრილი 3.2.1).“ საქართველოს ტყის ფონდი, აღრიცხვის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით შეადგენს 3 მლნ ჰა-ს, ხოლო ტყით დაფარული ფართობი – 2 772 400 ჰა-ს, ანუ ტერიტორიის 39,6%. მერქნის მთლიანი მარაგი შეადგენს 434 მლნ მ³-ს. საქართველოს ტყეები მდიდა-

* ტყის კოდექსი ითვალისწინებს საკუთრების სხვა ფორმებსაც _ ადგილობრივ თვითმმართველობას, საპატრიარქოს და ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, თუმცა შეუმუშავებელია შესაბამისი ნორმატიული აქტები.

რია მრავალსახოვანი ხის ჯიშებით, რომელთა უმეტესობა გამოიყენება ხის დამამუშავებელ მრეწველობასა და სხვა დარგებში.

წარმოებაში ტყის ფართო მასშტაბებით გამოყენების პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ მისი ძირითადი მასივები მთის ფერდობებზეა, მათ შორის თითქმის 78% - ციცაბო (21–35°) და ძლიერ ციცაბო (36° და მეტი) დაქანების მქონე ფერდობებზე. ეს ტყეები კი, უპირველეს ყოვლისა, წყალმარეგულირებელ, ნიადაგდაცვით, სანიტარულ-ჰიგიენურ და საკურორტო-გამაჯანსაღებელ ფუნქციებს ასრულებს.¹

აქედან გამომდინარე, ტყის ჭრა საქართველოში შეზღუდულ ხასიათს უნდა ატარებდეს. დღეისათვის საანგარიშო ტყეკაფის მოცულობა შეადგენს 170-180 ათას მ³-ს. სატყეო მეურნეობის განვითარებისთვის, ეროვნული პროგრამის თანახმად, მდგრადი მეტყევეობის პრინციპების გათვალისწინებით, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებით და ბუნებაზე ზიანის მიუყენებლად შესაძლებელია დამზადდეს 1,0 მლნ მ³ ხეტყე, საიდანაც საქმიანი მერქნის რესურსი საშუალოდ შეადგენს 430-450 ათას მ³-ს. არადა, სპეციალისტთა მიახლოებითი გათვლებით, მოსახლეობა გათბობის მიზნით (შემად) ყოველწლიურად ჭრის 5-6 მლნ მ³, რაც საქართველოს ტყეებში ეკოლოგიური კატასტროფის ტოლფასია.²

ქართველი მეცნიერები ტყის გამოყენების ორ ძირითად მიმართულებას განიხილავენ: 1. გაიცეს ტყეები სოფლებსა და ქალაქების მიმდებარე ტერიტორიაზე – კერძო საკუთრებაში, სახელმწიფო მონიტორინგის დაწესებით; 2. ფართოდ გაიშალოს სარეკრეაციო და ტურისტული თვალსაზრისით ტყეების გამოყენების ეფექტიანი სამუშაოები.³

¹ მ. ჩიქოვანი, ტყის მიწების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების გზები, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2008, #2, გვ. 61-62.

² იქვე, გვ. 62.

³ იქვე, გვ. 62-63.

ზემოთ განხილულ სქემაზე 3.2.1 წარმოდგენილი კლასტერი უშუალო კავშირშია სამშენებლო, ავეჯის, სატრანსპორტო, ღვინის და საგამომცემლო-საგანმანათლებლო კლასტერებთან. ვფიქრობთ, საქართველოს შემთხვევაში დამატებით უნდა განვიხილოთ ხე-ტყის კლასტერის ძლიერი კავშირი ტურისტულ კლასტერთან სათავგადასავლო ტურიზმის ჭრილში. ამ კონტექსტით ტურიზმი, თავის მხრივ, სპეციფიკურ დაგეგმვას საჭიროებს.

ცხრილი 3.2.1. საქართველოს სატყეო ფონდის სტრუქტურა (3ა) საკუთრებისა და მმართველი სუბიექტების მიხედვით (1996 წ.)¹

	ფართობი	სატყეო ფონდი	ტყით დაფარული
საქართველო (სულ)	6 950 481	3 005 300 (100%)	2 772 400 (100%)
აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკა	863 950	369 047 (12,27%)	345 962 (12,47%)
აჭარის ავტ. რესპუბლიკა	290 000	99 786 (3,32%)	95 293 (3,43%)
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	282 711	36 864 (1,22%)	33 301 (1,2%)
დაცული ტერიტორიები		216 314 (7,19%)	176 455 (6,36%)
ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი		53 582 (1,78%)	42 093 (1,5%)
ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები		531 451 (17,68%)	531 451 (19,16%)
სატყეო დეპარტამენტი		2 024 275 (67,35%)	1 908 988 (68,85%)
და სხვა		179 678 (5,9%)	

¹ <http://garemo.itdc.ge>

საქართველოს კლიმატის მრავალფეროვნება ხელს უწყობს ძვირფასი ხის ჯიშების მოშენებას. ამის გამო ხე-ტყის კლასტერის შიგნით, ვფიქრობთ, ძალზე ეფექტიანი იქნება უნიკალური, ხელნაკეთი მოჩუქურთმებული ავეჯის ქვეკლასტერის ჩამოყალიბება. ეს საქმე ქართველ ოსტატებს ტრადიციულად ხელეწიფებათ, რისი დასტურიც ჩვენში საეკლესიო კარებები, სახატეები თუ სამეუფო სავარძლებია. ამ დარგის განვითარებით შესაძლებელია ცნობილი ფირმების დაინტერესება და ხე-ტყის მცირე დანახარჯებით, ძალზე მაღალი შემოსავლების მიღება.

ეფექტიანი იქნება, აგრეთვე, კარდონებისა და შესაფუთი მასალების წარმოება, რაც მეორადი გადამუშავების პროდუქტებია და აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკვები თვისებების შესანარჩუნებლად, სათანადო დონეზე ტრანსპორტირებისა და უცხოელი მომხმარებლისთვის მისაღები ფორმით მისაწოდებლად.

მისასაღმებელია, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აწესრიგებს სარწყავ-საირიგაციო სისტემას. თუ, კლასტერის პრიზმაში დავინახავთ ამ საქმიანობას, მაშინ იმავდროულად გამოჩნდება შესაწამლი მასალების, სანერგე და სათესლე მეურნეობების ეფექტიანად და სწრაფად ორგანიზების აუცილებლობა, რაც სასურველი შედეგის კიდევ რამდენიმე წლით ადრე მიღებას შეუწყობდა ხელს.

ტურიზმის კლასტერი*. საინტერესო და აქტუალურია საქართველოში ტურიზმის მრავალპროფილიანი კლასტერის შექმნის შესახებ. სამწუხაროდ, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ვებგვერდზე შეუძლე-

* მასალა განახლებულია და ეყრდნობა: ი. გაგნიძე, ტურიზმის კლასტერი – ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი ნაწილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი-ტრაპიზონი, 2010, გვ.598-602.

ბელია ტურიზმის სტრატეგიის გაცნობა,¹ რაც ქვეყანაში მისი განვითარების ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი გარემოებაა.


ტურისტულ ბიზნესში დამთვალიერებლის მიერ მიღებული შთაბეჭდილებების ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო მათთვის შეთავაზებული ობიექტების მიწოდებაზე (მაგ: პლაჟი ან ისტორიული ღირსშესანიშნაობა), არამედ ამ რეგიონის სასტუმროების მომსახურებისა და კომფორტის დონეზე, რესტორნებში მომსახურებაზე, უსაფრთხოებაზე, სამწვრთნელო და სამაშველო სამსახურის, სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების, აეროპორტებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე, შესაბამისი საგანმანათლებლო ინსტიტუტების მომზადების დონეზე, სუვენირების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე და ა.შ.

განვიხილოთ ტურიზმის კლასტერი, რომელიც მოცემულია სქემაზე 3.2.2. სქემიდან ჩანს, რომ ტურიზმის კლასტერის აგება ცალკე რომელიმე ქვეყანასა და რამდენიმეში ერთად, გამოიწვევს ბიძგს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ეკონომიკური საქმიანობის გასაშლელად. სქემაზე 3.2.2 მოცემულ კლასტერში ჩართული ორგანიზაციები თუ სამსახურები, კერძო სექტორი თუ სახელმწიფო დაწესებულებები ერთობლივი საქმიანობის შედეგად მომხმარებელს მიაწვდიან მაღალი სტანდარტის ტურისტულ პროდუქტს. ამავე დროს, ტურიზმის, როგორც ცალკე დარგის სახით განხილვა (მაგ: ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორების და ტურისტული მარშუტები), ტურისტული პროდუქტებისთვის დამახასიათებელი ურთიერთშევისების გამო, შეზღუდულია, ამ სფეროს კლასტერის საშუალებით მართვასთან შედარებით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კლასტერების შესახებ ჩატარებული გამოკვლევების ანალიზი ასახულია მრავალ სამეცნიერო ნაშრომში.

¹ <http://www.dotr.gov.ge/geo/strategia.php>

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ეგვიპტის ტურიზმის კლასტერის გამოცდილების გაცნობა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია, როგორც წარმატებული პროექტი. მართალია, ტურისტებისთვის ეგვიპტური პირამიდების მიმზიდველობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში სტუმრობა, მაგრამ საქმიანობის დაგეგმვის პროცესის და წარმატების განმაპირობებელი პოლიტიკის ძირითადი ნაბიჯების გაცნობა, საქართველოში ტურიზმის განვითარებით დაინტერესებული ყველა პირისთვის იქნება საინტერესო.

კლასტერის პოლიტიკის განხორციელების სასტარტო პერიოდისთვის ეგვიპტეში ტურიზმით დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 14%, მაგრამ არ იყვნენ იმ უნარ-ჩვევების მქონე ინდივიდები, ვინც შეძლებდა სტუმრების სათანადო დონეზე მომსახურებას მაღალი დონის სასტუმროებში. ამ სფეროს კლასტერის საშუალებით მართვა USAID-ის ინიციატივით გადაწყდა 1999 წელს. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კლასტერის ორგანიზაციაში ჩაერთნენ წარმომადგენლები სამთავრობო სტრუქტურებიდან, კერძო სექტორიდან, განათლებისა და სასწავლო დაწესებულებებიდან. გადაწყდა პირველი-ორი წლის განმავლობაში აქცენტი გაკეთებულიყო 2000 პირის მომზადებაზე, სამიზნე ჯგუფად შერჩეული 2-4 ვარსკვლავიანი სასტუმროებისთვის, ვინაიდან მათში დასაქმებული იყო დაახლოებით 100000 კაცი. ჩანაფიქრი დიდი გადაჭარბებით შესრულდა. მომზადდა 9755 ინდივიდი, მათ რიცხვში 22 უფროსი ინსტრუქტორი, ვისაც შეეძლო შემდგომში მოემზადებინა სხვა ინსტრუქტორები. 500-ზე მეტი სასტუმროს ხელმძღვანელი გახდა სერთიფიცირებული მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად.



ანალიტიკოსების აზრით, წარმატების მიღწევა შესაძლებელი გახდა, ასევე, ორი „ადგილობრივი ჩემპიონის“ ეფექტიანი ხელმძღვანელობის შედეგად, კერძოდ: ორგანიზაცია (ეგვიპტის ტურიზმის პალატის ფედერაცია) და ინდივიდი (ბატონი ჰუსეინ ბადრანი – ტურიზმის მინისტრის ყოფილი მოადგილე და ტურიზმის სამმართველოს დირექტორი). კლასტერის პოლიტიკის განხორციელების დროს მუდმივი კავშირი ხორცილედებოდა კერძო სექტორთან, სასტუმროების, რესტორნების, ატრაქციონების მფლობელებსა და სხვა ფირმების მენეჯერებთან, ასევე სასწავლო დაწესებულებებთან. ეგვიპტის უნივერსიტეტები და სასწავლო ცენტრები ცდილობდნენ სასწავლო

პროგრამები დაეხლოვებინათ ტურიზმის ინდუსტრიის მოთხოვნებსა და მიზნებთან.¹

აღსანიშნავია, რომ დიდია კლასტერების ფუნქციონირების გამოცდილება თურქეთში, რაც ჩანს კლასტერების ევროპული ობსერვატორიის მიერ 2010 წლის I კვარტალში მომზადებული ცნობარის საშუალებით. აქ მითითებულია თურქეთში არსებული მრავალი კლასტერის შესახებ², კერძოდ: მერსინის აგრო-პროდუქტების წარმოების, გადამამუშავებისა და მომარაგების, ასევე ლოგისტიკაში მსოფლიო სტანდარტებზე ორიენტირებული კლასტერი³, ოჯახებში დამზადებული ქსოვილების კლასტერი დენიზლში⁴, სადაც აღნიშნული პროდუქტის წარმოებით მყიდველისთვის თურქული კულტურის გაცნობა ხდება, ბოდრუმში არსებული ტურისტული იახტებისა და საზღვაო ტურიზმის კლასტერი⁵ და ა.შ. ეს იმის დადასტურებაა, რომ ჩვენს მეზობლებს აქვთ კლასტერის შექმნისა და მართვის გამოცდილება, რაც უდავოდ წაადგება ტურიზმის კლასტერის ჩამოყალიბებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეს საქართველოში.

ინტერნეტის ქსელში ვხვდებით ისეთ ფირმებს, რომლებიც ტურისტებს სთავაზობს მოკლევადიან მოგზაურობას კავკასიის სამ ქვეყანაში: საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, ესენია: ინ-ტური⁶, გეორგიკა თრაველი⁷, გალანტ თრეველი¹, და ა.შ. ვფიქრობთ, ამ სამ ქვეყანასთან ერ-

¹<http://www.cluster-research.org/devtra.htm>; Christian Ketels, Goran Lindqvist, Orjan Solvell, Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6. p. 20.

² <http://www.clusterobservatory.eu/upload/directory.pdf>.p.102-103.

³<http://islenmisgida.clusterturkey.com/EN/islenmisgida/Default.aspx?17A16AE30572D313AAF6AA849816B2EFC3D47B01A893E657>

⁴<http://evtekstili.clusterturkey.com/EN/evtekstili/Default.aspx?17A16AE30572D313AAF6AA849816B2EF12EC577C8063BD42>

⁵<http://yatcilik.clusterturkey.com/EN/yatcilik/Default.aspx?17A16AE30572D313AAF6AA849816B2EFFB0FF6CAD6E83E4E>

⁶ <http://itour.8m.com>

⁷ <http://www.georgica.caucasus.net./tours&services.htm>

თად, თურქეთის ღირსშესანიშნაობათა მონახულების ჩართვა, მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში, რომელმაც თავისი დადი ტურიზმსაც დაასვა, საინტერესო და ფინანსურადაც მიზიდველი იქნება მომხმარებლის განსაზღვრული ჯგუფისთვის. ასეთ დროს კი, საქმიანობის დაგეგმვა კლასტერში კოორდინაციის შედეგად გაცილებით ეფექტიანად და მაღალი მოგებიითაა შესაძლებელი.

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური საქმიანობის კლასტერების პრიზმით დაგეგმვა ეფექტიანი და განსაკუთრებით მაღალი შედეგების მომცემია რამდენიმე ქვეყნის შემთხვევაში, ვინაიდან იქ შესაძლებლობები უფრო ფართოა და სინერგიული ეფექტიც - დიდი. ამ მიმართულებით წამართულ ძალისხმევას კავკასიის, რეგიონის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გვჯერა, რომ შესაბამისი სამთავრობო და სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, ერთიანი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და სხვა მრავალი მიმართულებით ძალისხმევის გაერთიანება, კავკასიის ხალხებს შორის გართულებულ პოლიტიკურ პროცესებსაც დაარეგულირებს.

¹ <http://travelgeorgia.gol.ge./caucasus.htm>

About Potencial Clusters in Georgias's Economy*

Key Words: Clusters; cluster initiatives; competitive advantages; competitiveness; transition economies.

A country cannot be competitive in all industries or even in the majority of industries. There are considerable differences between the competitiveness structures of any country. Certain countries attain competitiveness because under certain circumstances their internal conditions may appear to be better, more dynamic and prospective compared to other countries¹. "In the global economy the most important competitive advantages are often originated from clusters"².

Competitiveness of a country is the result of combination of its organizational model and the management practices, which are the most acceptable for certain countries and competitiveness sources of certain industries. Differences in national values, culture, economic structure, functioning organizations and development history make contribution to obtaining competitive advantages. Only the government policy, which creates favourable environment for companies to obtain competitive advantages can be successful.

According to the European Commission, Europe lacks not clusters, but market fragmentation, weak industry-research linkages and insufficient

* I. Gagnidze, ABOUT POTENCIAL CLUSTERS IN GEORGIA'S ECONOMY, Vestnik Chernivetskogo Torgovelnno-ekonomichnogo Instituta, Ekonomichni nauki, Vipusk II (42), Chastichna II, Tom 1 (in English), Ukraine, Chernivtsi - Lutsk, 2011, p. 158-162.

¹ М. Портер, Конкуренция., Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002, p.162.

² М. Портер, Конкуренция., Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002, p.275.

cooperation within the EU mean that clusters do not always have the necessary critical mass and innovation capacity to be of world class. At present, there are 2,000 or so European competitiveness clusters. The EU executives define a “cluster” as a group of firms, related economic actors and institutions that are located near each other and have reached a sufficient scale to develop specialized expertise, services, resources, supplies and skills. Clusters are primarily viewed as a market-driven phenomenon, rather than something designed and propped up by governments. Another major benefit of joining clusters for SMEs is the support services that they provide. Some clusters are merely organic groups of co-located industries and research organizations which have grown up together in a particular area, often due to a specific regional advantage. Excellence should be at the centre of policymaking when new cluster initiatives are being designed, and clusters must be based on knowledge hubs of international excellence and market foresight.

In our opinion it is important to discuss these issues through modern scientific studies. Clusters do exist whether companies are aware of it or not. Researchers sometimes use the term underlying cluster to stress that clusters exist independently of any intervention, project or organization¹.

The term Cluster Initiative (CI) is used to specifically denote a cluster development project or cluster organization. Any organized effort to enhance the competitiveness of a cluster is thus cluster initiative. Cluster initiatives can stand alone, focusing on only one cluster, or they can be part of a broader regional or national competitiveness strategy with multiple cluster initiatives going on in parallel. In this report, we use the term cluster initiative to refer to

¹O. Solvell, G. Lindqvist, C. Ketels, Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6; Center for Strategy and Competitiveness, Stockholm, First edition, May 2006, p. 9.

each individual effort, so that a national competitiveness program with efforts in textile, tourism, and agricultural products would feature with three cluster initiatives, not one.

Why should we consider the economy through cluster prism and not in terms of companies, branches, sectors and groupings? First of all because clusters better adjust to competition character and sources of competitive advantages.

In developing countries CIs often focus on “basic” industries. In transition economies there is more of a mix between industry types, but donors emphasize “basic” industries more than other initiators. In all economies, CIs target clusters that are relatively strong and the main difference across levels of economic development is that the competitive position is stronger and the innovative capacity is higher in advanced economies. In developing and transition economies, donors target clusters that are less developed than those targeted by other initiators.

A dominating role of government that leaves businesses on the sidelines of CIs is of major concern in advanced economies. In developing and transition economies the challenge is different. While business tends to be involved, government often lacks the capacity to do its part. Donors take measures when government is unable to act, but donors seem to have no strategy to involve government over time. In modern studies, it's noted that the main actors on the stage of clusters' are the following:

1. Upstream and downstream firms involving both large firms and SMEs. Private industry includes competitors, suppliers of goods (e.g. machinery and input components) and services (e.g. consulting, legal and business

- services), buyers, and firms in related technologies sharing common factors, such as labor skills or technologies.
2. Financial institutions, involving traditional banks, commercial banks, venture capital, private equity and angel networks.
 3. Public actors including:
 - National ministries and agencies involved in: industry and economic development policy (SME, entrepreneurship, networking, cluster, and investment attraction), regional policy (e.g. readjustment funds, infrastructure, and cluster programs), science and technology policy (innovation, incubator, university-industry cooperation and technology transfer, and technology cluster).
 - Regional agencies and regional units of national bodies (e.g. county administrative boards), and regional public bodies based on federative initiatives from local communities.
 - Local communities.
 4. Academic actors including universities and colleges, research institutes, technology transfer offices and science parks.
 5. Private and public-private organizations for collaboration (NGOs, chambers of commerce, formal networks, cluster organizations, etc.).
 6. Different kinds of media creating “stories” around clusters and building a regional brand¹.

One of the most important clusters in the modern world, Silicon Valley, where CIs have been almost absent, has become a metaphor or role model for CIs all around the world, including Motorsport Valley in the U.K., Arve

¹ O. Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5, Second edition, January 2009, p.17.

Technik Valley and the Paris Optics Valley in France, Flanders multimedia Valley and DSP Valley (microelectronics) in Belgium, Dommel Valley in the Netherlands, Material Valley in the Rhein-main area of Germany, Strangnas Biotech Valley and Dalarna Crystal Valley (displays) in Sweden, and Medicon Valley in the Oresund area around Copenhagen and Malmo-Land. Among the new EU members, Cis using the Valley metaphor include Plastics Valley in Poland and Sunrise Valley (lasera) in Lithuania. In the USA, the Photonic Valley is located in the northeastern of Massachusetts.

Cluster Initiatives have developed as a new policy agenda, most often as an outgrowth from traditional policy areas such as regional policies, innovation policies and industry policy. Sometimes it is simply a re-labeling of traditional policy measures, but in more and more countries the new micro-focused agenda is setting the phase for a new policy paradigm – often contradicting the old paradigm built on subsidies and “help” with static competitiveness based on cost.

In the Cluster’s Greenbook we can read about CIs in a transitional economy, namely, the case of Slovenia. The case illustrates several factors that are particularly challenging in transitional economies:

- Trust in government initiatives is low, and there is little experience in industry collaboration to build on.
- Clusters are often weak, lacking domestic rivalry and foreign investments.
- General knowledge of clusters and cluster initiatives is poor and there is lack of expertise needed to communicate the concepts. This makes it difficult to build common frameworks for CIs.

- There are several obstacles to entrepreneurship, including bureaucracy and lack of venture capital.
- The government's long-term commitment in CIs might be under question if CI programs are not supported by other microeconomics policies, such as education policies or FDI policies¹.

For the economic development strategy to be consistent with new circumstances, at the first stage it is necessary to determine the main international functions of a country. According to them we can distinguish the industries, in which Georgia can achieve competitive advantages.

We think for Georgian policymakers' it is critically important to know modern cluster initiatives in Europe and use them in practice for Georgia's economy. Unfortunately, Georgian government doesn't use the concept of clusters in its economic policy. Proceeding from what was mentioned above and taking into account the interests of Georgia's economic development, we can consider formation of clusters, such as: transport (due to geographical location of the country this function has already been recognized as the Silk Road: railway, highway, air, pipeline, gas pipeline, marine sub-clusters), education (historically, education has been competitive advantage for Georgia, as Georgians are the authors of one of the fourteen alphabets of the world), tourism (eco-tourism, recreational and resort tourism, pilgrimage, etc), division of subclusters within a large agricultural cluster, such as: timber, wine-making, vine growing, gardening, and other food products, etc.

In the process, described above, as it's pointed out in the example of Slovenia, it's of critical importance to pay attention to the educational policy in

¹ O. Solvell, G. Lindqvist, C. Ketels, The Cluster Initiative Greenbook, ISBN 91-974783-1-8, First edition, 2003. p.13.

the industries, where the country has regional competitive advantages. According to this strategy the integrated multi-level policy of education and science development should be designed. For the first step, the situation in priority industries should be assessed against the three dimensions of knowledge triangle (education, science, innovation - business).

We think the “Knowledge Triangle” is the first step and also the “Perpendo mobile” for clusters. So, the dimensions of knowledge triangle model should be created in those industries, where they do not exist. And where the agents operate in the parts of the triangle, formation of effective links and clusters among them should be encouraged. Within clusters synergies are gained quickly. The barriers of starting business are low, investments inflows are purposeful, knowledge is deepened, employment increases and the development of industries is stable.

In the Internet we can find the firms, which offer trips around Caucasus countries, namely: In-tour, Georgica Travel, Concord Travel, Gallant Travel, Intourist Caucasus Ltd, etc. In our view, planning their activities through the coordination within the cluster can be more efficient and profitable.

In our opinion, creation of transport clusters will encourage development of the types of business and cooperation, such as rehabilitation of the infrastructure and service of each transport type so as to meet the international standards, repair and spare-part provider firms, coordination of the activities of the appropriate governmental and educational institutions, implementation of the modern training standards, design of the general investment policy and coordination of the activities in other directions too.

Formation of tourism cluster in Georgia’s economy will be an incentive for the development of infrastructure and economic activities. Discussion of

tourism as a single branch would be limited because tourism products are characterized by mutual supplement (tourism agencies, touroperators and tourist routes) and would not be so efficient as management of this field through tourism cluster (conducting activities in the above mentioned direction).

To summarize, the role of government in the economy is to elaborate and implement a clear, positive and long-term economic program or process of changes, which will mobilize the government, businesses, organizations and citizens, general economic situation as well as complete mass of local clusters. Usage of regional cluster policy in economics will be helpful to regulate the uneasy political processes within the nations of the Caucasus, as well as the Black Sea region countries.

References

1. М. Портер, Конкуренция., Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002.
2. O. Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5, Second edition, January 2009.
3. O. Solvell, G. Lindqvist, C. Ketels, The Cluster Initiative Greenbook, ISBN 91-974783-1-8, First edition, 2003.
4. O. Solvell, G. Lindqvist, C. Ketels, Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6; Center for Strategy and Competitiveness, Stockholm, First edition, May 2006.
5. I. Gagnidze, Clusters and Georgia's Economic Development Strategy. 4th International Conference "Via Egnatia: Peoples and States – Cultural,

Political, Regional Identities in the Past and Today”, November 20-23, 2009, Tbilisi, Georgia (In English).

6. I. Gagnidze, Turism Claster – The Main Part of Turism Policy, Proceedings of the I International Conference “Turism: Economy and Business”, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia – Trabzon, Turkey, 2010.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ნ. ფარესაშვილი, კლასტერი, როგორც კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი, ჟურნალი „ეკონომიკა“, #1, 2011;
2. ი. გაგნიძე, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შესახებ, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ #12; 2007;
3. ი. გაგნიძე, კლასტერების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, თსუ-ს ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ თბ. #3 2008;
4. ი. გაგნიძე, კონკურენტუნარიანობის მიღწევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები გარდამავალ ქვეყნებში, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“, თსუ, 22-24 ოქტომბერი, 2008;
5. ი. გაგნიძე, კლასტერი – მეწარმეობის მასტიმულირებელი პოლიტიკის ძირითადი ფაქტორი, „ივერონი“ თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალი, #2, თბ. 2009;
6. ი. გაგნიძე, ნაციონალური კონკურენტუნარიანობა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირების პოლიტიკა, თსუ, ინოვაციების ცენტრი, საუნივერსიტეტოშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“, თბ. 2009;
7. ი. გაგნიძე, მსოფლიო კონკურენტუნარიანობის სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები და ქართული რეალობა, I საუნივერსიტეტოშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვე-

ნებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“ თსუ, გამომც. „უნივერსალი“ თბ. 2009;

8. ი. გაგნიძე, ქვეყნების მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევების შესახებ, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“, თსუ, 5 ნოემბერი, 2009;
9. ი. გაგნიძე, კლასტერების ინიციატივები ევროპაში და საქართველო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ. #1 2010;
10. ი. გაგნიძე, ტურიზმის კლასტერი – ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი ნაწილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი-ტრაპიზონი, 2010;
11. ი. გაგნიძე, კლასტერების პოლიტიკის ევროპული ნაბიჯები და საქართველო, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, I საუნივერსიტეტო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, თბ. 2010;
12. ი. გაგნიძე, განათლება და მეცნიერება საქართველოში მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების ასპექტით, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები“, თსუ, ნოემბერი, 2010;

13. ი. გაგნიძე, საქართველოს საერთაშორისო საგანმათლებლო კავშირები – ეკონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ. #2 2011;
14. ი. გაგნიძე, ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობები რეკრეაციულ ტურიზმში საქართველოში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი, 2011;
15. ი. გაგნიძე, მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა – ცნებიდან პოლიტიკამდე, II საუნივერსიტეტაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“ თსუ, გამომც. „უნივერსალი“ თბ. 2011;
16. ი. გაგნიძე, კლასტერი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი გარანტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, თსუ, 2011;
17. ი. გაგნიძე, აღმოსავლეთის პარტნიორობა: განათლებისა და მეცნიერების როლი ადამიანთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაში, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტით მომზადებულ გამოცემაში „ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“, თბ. 2011;

18. ფ. წოწკოლაური, ი. გაგნიძე, ინოვაციის მხარდამჭერი განათლების სისტემა ევროკავშირში, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია (გზამკვლევი), უწყვეტი განათლების პროგრამა, ჟან მონეს პროგრამა, თბ. 2010;
19. მ. ლობჯანიძე, გერმანიაში უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდების დასაქმება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, თბ. 2010.
20. ი. მესხია, საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა: ანალიზი და პროგნოზები, II საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“, თბ., 2011;
21. ი. ნათელაური, მსოფლიო რეიტინგი ბიზნესის რეგულირების ინდექსის მიხედვით და დასაქმების აქტუალური პრობლემები პოსტკომუნისტურ საქართველოში, II საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“, თბ., 2011;
22. რ. ფუტკარაძე, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2010;
23. ლ. ჩიქავა, ინოვაციური ეკონომიკა, თბ. 2009;
24. მ. ჩიქვანი, ტყის მიწების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების გზები, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“ #2, 2008;

25. Майкл Портер – Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002;
26. Г. В. Куликов – Японский менеджмент и теория международной конкурентоспособности; Москва: “Экономика” 2000;
27. EASTERN PARTNERSHIP CIVIL SOCIETY FORUM, RECOMMENDATIONS, WORKING GROUP 4: CONTACTS BETWEEN PEOPLE, (Brussels, 16-17 November 2009); (<http://www.eap-csf.eu/en/resources/eap-csf-2009-documents/>);
28. NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES; Council conclusions of 12 May 2009 on a strategic framework for European cooperation in education and training (‘ET 2020’) (2009/C 119/02); Official Journal of the European Union 28.5.2009. (<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:119:0002:0010:EN:PDF>);
29. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Accompanying document to the Proposal for a DECISION OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL establishing an action programme for the enhancement of quality in higher education and the promotion of intercultural understanding through co-operation with third countries (Erasmus Mundus) (2009-2013), *Extended Impact Assessment* integrating ex ante evaluation requirements, [COM(2007) 395 final], [SEC(2007)950]. (http://ec.europa.eu/education/programmes/mundus/doc/sec949_en.pdf);
